ევგენი ბარათაშვილი
ბაღრი გეიბაია
ვლადიმერ ლლონტი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ევგენი ბარათაშვილი, ბადრი გეჩბაია

ვლადიმერ ღლონტი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ძირითადი პრობლემები, შემუშავებულია კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, თანამედროვე გამოწვევების ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო და კონკურენტუნარიანობაზე მისი ზემოქმედების მექანიზმები, გაანალიზებულია საქართველოს კონკურენტუნარიანობა საგარეო ვაჭრობაში, ეკონომიკური კრიზისის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გლობალური კონკურენტუნარიანობის პრობლემებზე და სხვ.

მონოგრაფიაში გამოკვლევები და შედარებითი ანალიზი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს.

წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების, ასევე, მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: **ეთერ ხარაიშვილი** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სრული პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ასიკო ცინცაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: **გიორგი მალაშხია** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ნათია წიკლაშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

გელა მამულაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მარინა ჩავლეიშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

© ევგენი ბარათაშვილი, ბადრი გეჩბაია, ვლადიმერ ღლონტი, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები.

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-473-5

Shota Rustaveli Shtate University

Georgian Technical University

EVGENI BARATASHVILI,

BADRI GECHBAIA

VLADIMER GLONTI

COPMETITIVENESS OF GEORGIAN ECONOMY: MODERN CHALLENGES

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2012

The monograph considers the cardinal problems of the competitiveness in Georgian economy. The authors of the monograph have developed the conception of competitiveness and estimated the business surroundings as well as the ways of their influencing on competitiveness. The work also reviews the competitive abilities of Georgia in foreign trade. In the conditions of economical crisis the particular attention is paid to the problems of global competitiveness.

The researches and comparative analyses in the work are based on the statistic data of different international organizations and countries.

The monograph is intended for scientist-economists, doctoral candidates, and young researchers, as well as for the wide circle of readers

Editor: **Eter Kharaishvili** Doctor of Economic Sciences, Full professor of Iv. Javakhishvili State University, Head of the Department of Macroeconomics. The Member of Scientific Academy of Economy of Georgia

Asiko Cincadze PHD in Economics, Associated Professor of Shota Rustaveli State University

Reviewers: **Giorgi Malashkhia** Doctor of Economic Sciences, Full Professor of Georgian Technical University, the prize winner of State Award.

Natia Tsiklashvili PHD in Economics, Associated Professor of Shota Rustaveli State University, the Deputy Rector in scientific field

Gela Mamuladze PHD in Economics, Associated Professor of Shota Rustaveli State University

Marina Chavleishvili PHD in Economics, Associated professor of Iv. Javakhishvili State University

© E. Baratashvili. B. Gechbaia, Vl. Glonti. Competitiveness of Georgian Economy: Modern Challenges

Publishing House **"UNIVERSAL"** , **2012**

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-473-5

Государственный университет Шота Руставели

Грузинский технический университет

Евгений Бараташвили, Бадри Гечбаия,

Владимир Глонти

Конкурентоспособность экономики Грузии: современные вызовы

Издательство **„Универсал“**

Тбилиси 2012

В монографии рассмотрены основные проблемы конкурентоспособности экономики Грузии, разработана концепция конкурентоспособности, на основе анализа современные вызовы оценена существующая в Грузии бизнес среда и механизмы его воздействия на конкурентоспособность, проанализировано конкурентоспособность во внешней торговле, особое внимание уделено проблемам глобальной конкурентоспособности в условиях экономических кризисов и т.д.

Исследования и сравнительные анализы, приведенные в монографии, основываются на статистических данных различных международных организации и стран.

Книга рассчитана для ученных-экономистов, докторантов и молодых исследователей а также для широкого круга читателей.

Редакторы: **Этер Хараишвили** – доктор экономических наук, профессор государственного университета имени иване джавахишвили, руководитель кафедры микроэкономики. Академик экономических наук Грузии

Асико Цинцадзе - доктор экономики, профессор государственного университета имени Шота Руставели

Рецензенты: **Гиоргий Малашхия** - доктор экономических наук, профессор государственного технического университета Грузии. Лауреат государственной премии

Натия Циклашвили - доктор экономики, профессор государственного университета имени Шота Руставели, заместитель ректора в научной части

Гела Мамуладзе - доктор экономики, профессор государственного университета имени Шота Руставели

Марина Чавлеишвили - доктор экономики, профессор государственного университета имени иване джавахишвили

© Евгений Бараташвили, Бадри Гечбаия, Владимир Глонти.
Конкурентоспособность экономики Грузии: современные вызовы.

Издательство **“УНИВЕРСАЛ”, 2012**

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-473-5

სარჩევი

შესავალი **13**

თავი I კონკურენტუნარიანობა: კონცეფცია, შეფასება და ანალიზი **15**

1.1. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია. კონკურენტუნარიანობის არსი 15

1.2 საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასება 25

1.2.1 კონკურენტუნარიანობის ანალიზი მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის IMD-ს მიხედვით 27

1.3 კონკურენტუნარიანობის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)-ის მიხედვით 29

1.4. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 33

1.5. საქართველოს კონკურენტუნარიანობა: პრობლემის დასმა 34

1.6 მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი 40

თავი II
ბიზნეს - გარემო საქართველოში: პრობლემები და ზემოქმედება კონკურენტუნარიანობაზე **44**

2.1 ინსტიტუციონალური სფერო და მისი მახასიათებლები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 45

2.1.1 ინსტიტუტების როლი ეკონომიკის ტრანსფორმაციაში 45

2.1.2 ინსტუტების ტრანსფორმაცია და ცვლილებებთან წინააღმდეგობა 48

2.1.3 საბაზრო რეფორმებისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაცია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 51

2. 2 კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს-გარემო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 52

2.2.1 კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს-გარემოს ურთიერთკავშირი 52

2.2.2 მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია "doing business" მართვის რეიტინგი და მისი კავშირი კონკურენტუნარიანობასთან 59

თავი III
საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება 70
3.1. საქართველოს კონკურენტუნარიანობის შეფასება საერთაშორისო ვაჭრობაში 71
3. 2 ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები 84
3. 3 ექსპორტის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები 87
3.3.1 ვაჭრობის ფუნქციონირების ინდექსი 87
3.3.2 გამოვლენილი შედარებითი უპირატესობების კოეფიციენტები 89

თავი IV
გლობალური კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური კრიზისი: ურთიერთკავშირი 95
4.1 ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიის ანალიზი - თეორიული მიდგომები 95
4.2. გლობალური კონკურენცია და ეროვნული ინტერესები 108
4.3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საქართველოს რეალობა 115

თავი V
საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება და რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკა 122
5. 1. კონკურენტუნარიანობა და რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკა 122
5. 2. რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინოვაციური ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში 129
5.3. კლასტერების როლი რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში 136
5.4. რეგიონული კონკურენტუნარიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი 152
5.5. რეგიონული პოლიტიკის ევროპული გამოცდილება. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები 160
5.6. კონკურენტუნარიანი რეგიონების სხვა ინდიკატორები 170
5.7. რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მეთოდი 172

CONTENTS

INTRODUCTION 13
CHAPTER I
COMPETITIVENESS: CONCEPTION, ESTIMATION AND ANALYSES. 15
1.1. Conception of competitiveness. The essence of competitiveness 15
1.2. Estimation of international competitiveness..... 25
1.2.1 Competitive analyses according to the IMD – International Managing Department..... 27
1.3. Competitive analyses according to the World Economical Forum (WEF)..... 29
1.4. Competitiveness of a Country 33
1.5. Competitiveness of Georgia: problem formulation 34
1.6. Analyses of current situation 40

CHAPTER II
BUSINESS SITUATION IN GEORGIA: PROBLEMS AND INFLUENCE ON COMPETITIVENESS..... 44
2.1. Institutional field and its traits in the countries of transition economy 45
2.1.1. The role of institutes in transformation of economy..... 45
2.1.2. Transformation of institutes and resistance to changes 48
2.1.3. Transformation of market reformations and institutions in the countries of transition economy 51
2.2. Competitiveness and business surroundings in the countries of transition economy 52
2.2.1. Interrelation of competitiveness and business surroundings 52
2.2.2. Rating of managing simplicity of the World Bank and international financial corporation “Doing Business” and its link with competitiveness 59

CHAPTER III
RISING THE FOREIGN TRADE COMPETITIVENESS OF GEORGIA 70
3.1. Estimation competitiveness of Georgia through the international trade 71
3.2. Competitive factors of export 84
3.3. Competitive indexes of export 87
3.3.1. Index of trade functioning 87
3.3.2. Ratios of ascertained comparative advantages 89

CHAPTER IV
GLOBAL COMPETITIVENESS ANF ECONOMICAL CRISIS: INTERRELATION 95
4.1. Analyses of national competitiveness category – theoretical approach 95
4.2. Global competitiveness and national interests.....
4.3. Index of global competitiveness and Georgian reality 115

CHAPTER V
GROWTH OF COMPETITIVENESS OF GEORGIA AND REGIONAL UNDERTAKING POLICY..... 122
5.1. Competitiveness and regional undertaking policy..... 122
5.2. Innovative trends of regional competitiveness development in conditions of globalization 129
5.3. Role of clusters in the growth of the competitiveness of region 136
5.4. Some aspects of estimation of regional competitiveness..... 152
5.5. European experience of regional policy. Competitiveness indicators 160
5.6. Other indicators of competitive regions 170

СОДЕРЖАНИЕ

ВВЕДЕНИЕ 13

Глава 1.
Конкурентоспособность: концепция, оценка и анализ 15
1.1. Концепция конкурентоспособности. Сущность конкурентоспособности..... 15
1.2. Оценка международной конкурентоспособности. 25
1.2.1. Анализ конкурентоспособности согласно международного института управления IMD. 27
1.3. Анализ конкурентоспособности согласно мирового экономического форума WEF 29
1.4. Конкурентоспособность страны. 33
1.5. Конкурентоспособность Грузии: постановка проблемы..... 34
1.6. Анализ существующего положения. 40
Глава 2.
Бизнес-среда в Грузии: проблемы и воздействие на конкурентоспособность. 44
2.1. Институциональная сфера и ее характеристика в странах с переходной экономикой. 45
2.1.1. Роль институтов в трансформации экономики. 45
2.1.2. Трансформация институтов и противостояние к изменениям. 48
2.1.3. Трансформация институтов и рыночных реформ в странах с переходной экономикой. 51
2.2. Конкурентоспособность и бизнес-среда в странах с переходной экономикой..... 52
2.2.1. Взаимосвязь конкурентоспособности и бизнес-среды. 52
2.2.2. Рейтинг управления мирового банка и международной финансовой корпорации "doing business" и ее связь с конкурентоспособностью..... 59

Глава 3.
Повышение конкурентоспособности внешней торговли Грузии. 70
3.1. Оценка конкурентоспособности Грузии во внешней торговле. 71
3.2. факторы конкурентоспособности экспорта 84
3.3. Показатели конкурентоспособности экспорта. 87
3.3.1. Индекс функционирования торговли. 87
3.3.2. Коэффициенты выявленных сравнительных преимуществ. 89

Глава 4.
Глобальная конкурентоспособность и экономический кризис: взаимосвязь..... 95
4.1. Анализ категории национальной конкурентоспособности – теоретические подходы. 95
4.2. Глобальная конкуренция и национальные интересы. 108
4.3. Индекс глобальной конкуренции и реалии Грузии. 115

Глава 5.
Повышение конкурентоспособности Грузии и региональная предпринимательская политика. 122
5.1. Конкурентоспособность и региональная предпринимательская политика. 122
5.2. Инновационные тенденции развития конкурентоспособности в условиях глобализации. 129
5.3. Роль кластеров в повышении конкурентоспособности регионов. 136
5.4. Некоторые вопросы оценки конкурентоспособности регионов. 152
5.5. Европейский опыт региональной политики. Индикаторы конкурентоспособности. 160
5.6. Другие индикаторы конкурентоспособных регионов..... 170
5.7. Метод оценки инвестиционной привлекательности региона..... 172

შესავალი

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრი მცდელობა იყო იმისა, რომ აეხსნათ ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება და სხვების წარუმატებლობა, აგრეთვე პასუხი გაეცათ კითხვაზე რატომ არის, რომ ერთ ქვეყანაში ესა თუ ის დარგი წარმატებით ვითარდება, ხოლო მეზობელ ქვეყნებში საერთოდ არ ვითარდება? აღნიშნული პრობლემების შესწავლისათვის აუცილებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ანალიზი.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს ეკონომიკური მაჩვენებლები კერძოდ, ექსპორტის მოცულობა, მსოფლიო ბაზრის წილი, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ინვესტიციები. უფრო ნათლად იგი გამოიხატება შრომის მწარმოებლურობის ზრდაში, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ეკონომიკის მყარ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, რაც ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანია.

კონკურენტუნარიანობის ანალიზი მაკრო და მიკროეკონომიკური ანალიზის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. დაბალი ინფლაცია, პროგნოზირებადი სავალუტო კურსი, დაბალანსებული სახელმწიფო ფინანსების სექტორი, რეზერვების მაღალი დონე ეკონომიკის მყარი განვითარების აუცილებელი პირობებია. თუმცა, თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა არ არის საკმარისი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის, რადგან ის მხოლოდ პროდუქტის შექმნას განაპირობებს. ეს უკანასკნელი კი მიკროდონეზე იქმნება. ამიტომაც ეკონომიკური ზრდის ახსნისას კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ფარგლებში ტრადიციულ ანალიზს მიკროეკონომიკური სფეროს ღრმა შესწავლა ემატება. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს-გარემოს შესწავლა, მოთხოვნისა და ახალი წარმოების ფაქტორების თავისებურებების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და წარ-

მოების ორგანიზაციის დონეზე, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთობების ანალიზი.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია კონკურენტუნარიანობის კონცეფციის გამოყენებისა და იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენის მცდელობა, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს კონკურენტული უპირატესობების წარმოქმნას; თეორიულ ჭრილში საერთაშორისო და ცალკეული სახელმწიფოების დონეზე გაანალიზებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონცეფცია; შეფასებულია კონკურენტუნარიანობა შრომის მწარმოებლურობისა და სხვა კრიტერიუმების ანალიზის მიხედვით, რომლებიც გამოხატავენ საქართველოს კონკურენტულ პოზიციას საერთაშორისო ბაზრებზე.

თავი I
კონკურენტუნარიანობა: კონცეფცია, შეფასება და ანალიზი

1.1 კონკურენტუნარიანობის კონცეფცია. კონკურენტუნარიანობის არსი

ეკონომიკაში ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ როგორც პროდუქტთან ან საწარმოსთან, ასევე დარგთან და სახელმწიფოსთან მიმართებაშიც ფართოდ გამოიყენება. ამასთან, არ არსებობს კონკრეტული განსაზღვრება იმისა, თუ რა მოიაზრება კონკურენტუნარიანობაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობასთან მიმართებაში კი გამოითქმება მოცემული ტერმინის გამოყენების მართებულობის შესახებ ეჭვი[2]. ძირითადი იდეა, რომელიც ამ ტერმინში იგულისხმება, შეიძლება გავიგოთ იმ განსაზღვრებებიდან გამომდინარე, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება.

კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ცენტრალური მექანიზმი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პროგრესს ეკონომიკური სისტემის ყველა – მიკრო, მეზო, მაკრო და მეგა - დონეზე. ბოლო პერიოდში გაიზარდა ყურადღება ქვეყნებს შორის კონკურენციაზე, რაც ქვეყნების რეიტინგთა სხვადასხვა სისტემაში ვლინდება. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციები რეგულარულად ახორციელებენ ქვეყნების შედარებას სხვადასხვა პარამეტრების – კონკურენტუნარიანობის, ტექნოლოგიური განვითარების, ადამიანური პოტენციალის განვითარების, საინფორმაციო განვითარების დონის და სხვა პარამეტრების მიხედვით. ჩნდება ახალი რეიტინგული სისტემები.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდიკებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს

[2] Krugman, P. (1996). Making Sense of the Competitiveness Debate, *Oxford Review of Economic Policy*, Oxford University Press, 12(3), 17–25.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) და განვითარების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD) მეთოდები. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრა ხორციელდება საერთაშორისო განვითარების ჰარვარდის ინსტიტუტის (CID) მიერ და ყოველწლიურად „The Global Competitiveness Report"-ში პოულობს ასახვას. მას საფუძვლად უდევს ჯ. საქსისა და გ. სტოუნის მიდგომები კონკურენტუნარიანობის შესახებ. აღნიშნული რეიტინგის შემუშავების დროს გათვალისწინებულია რვა ძირითადი ფაქტორი, რომელთა მდგომარეობაც განსაზღვრავს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. კონკურენტუნარიანობის თითოეულ კომპლექსურ ფაქტორს გააჩნია თავისი ფაქტორული წილი და განისაზღვრება მაჩვენებელთა სისტემით.

კონკურენტუნარიანობის დონე განისაზღვრება შემდეგი ინდექსების საფუძველზე:

- ✓ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები;
- ✓ ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსები;
- ✓ გლობალური საინოვაციო ინდექსები;
- ✓ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ინდექსები და სხვ.

მ. პორტერის თანახმად, კონკურენტუნარიანობას აღწევენ არა მარტო ცალკეული დარგები, არამედ დარგების მთელი ერთობლიობებიც (კლასტერებიც), რომლებშიც კომპანიები ინტეგრირებულია ვერტიკალური ან ჰორიზონტალური პრინციპით.

პორტერმა აჩვენა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობენ კონკურენტუნარიან ინდუსტრიათა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მცირე ტერიტორიული სივრცის მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებენ. რეგიონულ კლასტერებზე დაფუძნებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორიის შექმნით პორტერმა დაასაბუთა, რომ კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია კლასტერებზე დამყარებულ რეგიონულ და ადგილობრივ ინოვაციურ სისტემებზე.

კონკურენციის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ა. სმითმა (ნაშრომი – „გამოკვლევა ხალხთა ბუნების სიმდიდრისა და მიზეზების შესახებ“, 1776), დ. რიკარდომ, ჯ. მილმა, ჯ. რობინსონმა და ე. ჩემბერლენმა, ჯ. კეინსმა, პ. ჰაინემ, ი. შუმპეტერმა, ფ. ჰაიეკმა, ფ. ნაითმა, კ. მაკკონელმა, მ. პორტერმა და სხვ.

ბოლო ათწლეულების მოვლენებმა განსაკუთრებით თვალნათლივ წარმოაჩინეს კონკურნეციის მნიშვნელობა საწარმო ძალების განვითარებაში, მისი უნივერსალური მოქმედება ეროვნულ ეკონომიკასა და მსოფლიო მეურნეობის პროცესებზე.

თანამედროვე ეკონომიკაში ერთ-ერთ საკვანძო მოვლენას წარმოადგენს კონკურენტუნარიანობა. მაგრამ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება არ გვაძლევს მის ზუსტ განმარტებას, რადგან შემუშავებული არ არის ერთიანი მიდგომა კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და ფორმირებისადმი.

საერთოდ კონკურენტუნარიანობის ქვეშ მიზანშეწონილია ვიგულისხმოთ კონკურირების შესაძლებლობა საქონლის და მომსახურების ბაზრებზე.

XXI საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ზოგადი წარმოდგენები კონკურენციის არსისა და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალების შესახებ, რაც გამოისახა ბაზრის სამ კლასიკურ მოდელში: სრულყოფილი (წმინდა) კონკურენცია, მონოპოლისტური კონკურენცია და ოლიგოპოლია.

კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელი მაიკლ პორტერი აღნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მწარმოებლურობით, ქვეყანა იყენებს თავის ბუნებრივ, ადამიანურ რესურსებსა და კაპიტალს, რადგან მწარმოებლურობა არის ქვეყნის და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი.

პორტერმა გამოყო კონკურენტუნარიანობის შემდეგი ძირითადი ასპექტები[3]:

1. მწარმოებლურობა დამოკიდებულია როგორც წარმოებული პროდუქტის ან გაწეული მომსახურების ღირებულებაზე (მის უნიკალურობაზე, ხარისხზე), ასევე წარმოების ეფექტიანობაზე;
2. წინსვლისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რომელ დარგებშია ქვეყანა, კონკურენტული არამედ ამ დარგში როგორი კონკურენციაა ფირმებს შორის.

ქვეყნის მწარმოებლურობა - არის იმის გამოხატულება, რისი წარმოებაც გადაწყვიტეს ადგილობრივმა და უცხოურმა ფირმებმა ამ რეგიონში. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საბოლოო მიზანს მისი სიმდიდრის ანუ ქვეყნის კეთილდღეობის ზრდა წარმოადგენს. თვითონ მ. პორტერის თანახმად, ქვეყნის სიმდიდრე არსებობს ორი სახით: არსებული (მემკვიდრეობითი) და შექმნილი. მემკვიდრეობითი სიმდიდრე მიიღება ბუნებრივი რესურსების ან უძრავი ქონების გაყიდვის ხარჯზე. თავისი ბუნებით იგი შეზღუდულია. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო, რადგან ზუსტად ის აწარმოებს რესურსებს მოსახლეობის ფენებს შორის, რასაც შეიძლება თან ახლდეს კორუფცია და ფავორიტიზმი. ასევე ასეთი სახის სიმდიდრის ერთ-ერთი მახასიათებელია ბუნებრივი რესურსების უზომოდ და არაეფექტიანად გამოყენება და სუბსიდიების ხელმისაწვდომობა.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებს იგი ეროვნულ ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. ამავე დროს, ნებისმიერი კონკურენცია, გარკვეულწილად ეკონომიკის სრულყოფის სტიმულს წარმოადგენს.[4]

---

[3] Porter, Michael E. (1998), The Competitive Advantage of Nations, The Free Press: New York.

[4] ისმაილოვი ე., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. 2007 წ. გვ., 167

შექმნილი სიმდიდრე იქმნება კომპანიების დონეზე, რომლებიც ფასიან პროდუქტებსა და მომსახურებას აწარმოებენ. სიმდიდრე განისაზღვრება მხოლოდ ფირმის ინოვაციური შესაძლებლობებითა და მწარმოებლურობით. სახელმწიფოს როლი კი იმაში ვლინდება, რომ კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, ბიზნესს ხელსაყრელი პირობები შეუქმნას. პორტერის კონცეფციაში გამოიყოფა კონკურენტუნარიანობის ოთხი ძირითადი ფაქტორი: შემომავალი ფაქტორების პარამეტრები (წარმოება), ფირმის კონკურენციის პირობები და ბიზნესის გაძღოლა, შიდა მოთხოვნის პარამეტრები, მონათესავე და მოკავშირე დარგების განვითარების დონე. აღნიშნული ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ქმნიან „კონკურენტუნარიანობის ალმასს" (იხ. სქემა 1.1).



სქემა 1.1. „კონკურენტუნარიანობის ალმასი" [5]

მ. პორტერის მიხედვით, მთელი ეკონომიკური სისტემის მთავარ კატალიზატორს შიდა დარგობრივი კონკურენცია

[5] Porter, Michael E. (1998), Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance, The Free Press: New York.

წარმოადგენს. როდესაც ქვეყანაში არსებობს ერთი და იმავე ტიპის პროდუქტებისა და მომსახურების რამდენიმე ეროვნული მწარმოებელი, ამით ეროვნული ეკონომიკის განვითარებას დიდი სტიმული ეძლევა. კონკურენციის წყალობით კომპანიები პროდუქტის ხარისხს ამაღლებენ, ამცირებენ ხარჯებს, ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს:

- ✓ ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის გარდა, პორტერი შემომავალ ფაქტორებს მიაკუთვნებს: საბაზრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობას; კაპიტალის ბაზრის განვითარების დონეს, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემას; მეცნიერული და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხს; ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ✓ შემომავალი ფაქტორების ეფექტიანი გამოყენება ქვეყანაში ბიზნესის წარმართვის ხელსაყრელ საკანონმდებლო, ინსტიტუციონალურ და კონკურენციის შეზღუდვის არარსებობის პირობებში არის შესაძლებელი. ეკონომიკაში სახელმწიფოს დაბალი ჩარევა, სახელმწიფო სუბსიდიების არადისკრიმინაციული გამოყენება საწარმოებისა და დარგების ეფექტიანი განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს ქმნის. ასევე მნიშვნელოვანია ღია ეკონომიკა, რომელსაც ქვეყანაში დამატებითი კონკურენცია და მასთან ერთად ტექნოლოგიები და ინვესტიციები შემოაქვს;
- ✓ შიდა მოთხოვნის თავისებურებები გამოშვებული პროდუქტის ნაკრებს და მის ხარისხს განსაზღვრავს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის უხეში მოთხოვნები ან ეკოლოგიური სტანდარტები, ერთის მხრივ, ზღუდავს ინვესტიციის შესაძლებლობებს, ხოლო, მეორეს მხრივ - ახდენს ინვესტიციების სტიმულირებას, რომლებიც არამარტო აუმჯობესებს, მაგალითად, ეკოლოგიურ მაჩვენებლებს, არამედ ასევე წარმოების ეფექტიან ზრდას განაპირობებს;
- ✓ განვითარებული და მხარდამჭერი დარგები ეკონომიკაში კლასტერების წარმოქმნის ძირითად ფაქტორს

წარმოადგენს, რომლებიც გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური ზრდის მთავარი წყაროა.

პორტერის თანახმად[6], კონკურენტუნარიანობას არა მარტო ცალკეული დარგები, არამედ დარგების ერთობლიობებიც (კლასტერებიც) აღწევენ, რომლებშიც კომპანიები ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მიმართულებითაა ინტეგრირებული.

პორტერის მიერ შემუშავებული „კონკურენტუნარიანობის ალმასი" სისტემას წარმოედგენს.

საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ამოცანად მიჩნეულ იქნეს საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. იგი მჭიდრო კავშირშია ინოვაციური საქმიანობის პრინციპულ გაუმჯობესებასთან, არსებული პოტენციალის გონივრული გამოყენებასა და შესაბამისი კლასტერების შექმნასთან.

კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ყველაზე ტიპიურ ნოვაციად ითვლება: ახალი ტექნოლოგიები, მყიდველთა ახალი ან შეცვლილი მოთხოვნა, ბაზრის ახალი სეგმენტის გამოჩენა, ღირებულებისა და წარმოების კომპონენტთა ცვლილება და ა.შ.

კლასტერი არის გეოგრაფიულად ახლოს განლაგებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, მომწოდებლების, ფირმებისა და ინსტიტუტების ჯგუფები, რომლებიც ერთ სფეროში მუშაობენ[7]. მაგალითად, კლასტერს წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილების აწყობა სლოვაკეთში, საათების წარმოება ჟენევაში, ფინანსური კლასტერი ლონდონში, კე-

---

[6] Porter, Michael E. (1998), Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance, The Free Press: New York.

[7] Porter, Michael E. (1998), Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance, The Free Press: New York.

რამიკული ნაკეთობები იტალიაში და ა.შ. კლასტერები კონკურენტუნარიანობაზე სამი მიმართულებით მოქმედებენ:

- ზრდიან მათ შემადგენლობაში შემავალი ფირმების ან დარგების მწარმოებლურობას;
- სპეციალიზებული მომწოდებლები, თანამშრომლები და ტრენინგები კლასტერში არსებული ფირმებისათვის უფრო ხელმისაწვდომია ვიდრე იზოლირებული ფირმებისათვის;
- ასევე კლასტერები - „საუკეთესო ბიზნეს-პრაქტიკები" სწრაფ გავრცელებასა და კონკურენტებთან საკუთარი თავის შედარების მუდმივ შესაძლებლობას უზრუნველყოფენ.

კლასტერები ინოვაციებისა და მწარმოებლურობის ზრდის პოტენციალს ამაღლებენ. კლასტერში გაერთიანების შემთხვევაში უფრო მარტივია აუცილებელი ინოვაციური მიდგომების აღმოჩენა. რესურსების არსებობა იძლევა ექსპერიმენტების მარტივად ჩატარების საშუალებას, ხოლო საკანონმდებლო და კვლევითი ინსტიტუტები აუცილებელ კომპეტენციებს წარმოადგენენ.

საზღვარგარეთის გამოცდილება მოწმობს, რომ კლასტერული მიდგომა მთელს მსოფლიოშია აღიარებული, როგორც ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკა. კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციისათვის საჭიროა რიგი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდამჭერი ინსტიტუტების მიერ ხდება საწარმოთა კლასტერებად ასოციაციის, მათ შორის არაფორმალურ ურთიერთდამოკიდებულებათა და ქსელური თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ტარდება ანალიზი და მუშავდება შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსი.

საქართველო შორს ვერ იქნება ამ პროცესებისაგან რამდენადაც კლასტერული მიდგომის წანამძღვრები ქვეყანაში არსებობს. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისათვის აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონე-

ბისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის. გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც, ერთის მხრივ, სტიმულს აძლევს საერთაშორისო კონკურენციას, კონკურენტუნარიანობას, ინოვაციებს, და, მეორე მხრივ, სუბიექტებს შორის ქსელური, არაფორმალური კავშირების ზრდამ, როგორც საპასუხო რეაქციამ ამ პროცესებზე, სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამის შემუშავებასა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გვაძლევს საშუალებას ჩამოვაყალიბოთ კლასტერული პოლიტიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განსახორციელებული საქმიანობა, კლასტერებისა და ქსელური ურთიერთკავშირების ორგანიზაციისა და განვითარების სტიმულირების მიზნების, პრინციპებისა და მეთოდების შესამუშავებლად. კლასტერული პოლიტიკა პრაქტიკაში რეალიზდება კლასტერული სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე. კლასტერული პოლიტიკის ფორმირების საზღვარგარეთის გამოცდილების ჩატარებული ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ✓ არსებობს კლასტერული პოლიტიკის ეროვნული თავისებურებები;
- ✓ არ არსებობს ერთგვაროვნობა კლასტერული პოლიტიკის საშუალებათა შემადგენლობაში;
- ✓ ისინი ერთიანია მხოლოდ ერთი კლასტერული პროექტის მონაწილე ქვეყნებში;
- ✓ კლასტერული პოლიტიკის უზრუნველყოფის მეთოდების მრავალფეროვნება ეროვნული თავისებურებებითა და კლასტერული მიდგომის მიღებული კონცეფციით განისაზღვრება;
- ✓ სახელმწიფოთა კლასტერული პოლიტიკა კლასტერიზაციის პროცესში მთავრობის ჩარევის ხარისხის შესაბამისად განსხვავებულია;

- ✓ კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბების მეთოდური საფუძვლები არ არის შემუშავებული.

მთავრობის პოლიტიკა არ უნდა იყოს მკაცრად ორინეტირებული მრეწველობის დარგებისა და საწარმოების პირდაპირ სუბსიდირებაზე ან ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვაზე. კლასტერული ინიციატივები შეიძლება გამომდინარეობდეს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიდან.

მთავრობის პოლიტიკა არ შეიძლება იყოს ორიენტირებული პირდაპირ ჩარევაზე, არამედ უნდა გადავიდეს კლასტერების სტიმულირებაზე. კლასტერიზაციის პროცესში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ გამჭვირვალე ბაზრის არსებობის ან ინოვაციური სისტემების არასრულყოფილების შემთხვევაში. მთავრობამ თავის თავზე არ უნდა აიღოს დამწყები კლასტერების ხელმძღვანელობა ან საკუთრების უფლება, არამედ იგი შუამავლის როლში უნდა გამოვიდეს, რომელიც თავს უყრის მწარმოებლებს, მომწოდებლებსა და მყიდველებს, უზრუნველყოფს კლასტერიზაციისა და ინოვაციების პროცესის ხელშემწყობ სტრუქტურებსა და სტიმულებს.

კლასტერული პოლიტიკა კონცენტრირებული უნდა იყოს კონკურენტუნარიან კლასტერებზე, მაგრამ არ უნდა უგულებელყოფდეს მცირე და ემბრიონულ კლასტერებს.

ეროვნული კლასტერული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა, კლასტერების სტიმულირების საფუძველზე, მდგრადი განვითარებისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის პირობების შექმნა. ჩამოყალიბებული მიზნის საფუძველზე განისაზღვრება კლასტერული პოლიტიკის შემდეგი ამოცანები:

- ✓ ბაზრების დინამიური მუშაობისათვის (ინფრასტრუქტურა, კონკურენტული პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები, სტრატეგიული ინფორმაციის მომზადება) ხელსაყრელი პირობების შექნა;
- ✓ ეკონომიკის პრობლემური ხედვის ჩამოყალიბების წყალობით ინოვაციების უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა;

- ✓ კლასტერული ურთიერთკავშირების უპირატესობების შესახებ ბაზრის სუბიექტების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- ✓ კავშირების დამყარების, ცოდნის გაზიარების სისტემის მართვა და შუამავლობა; ცოდნის ფორმალურ და არაფორმალურ გაზიარებაში დახმარება;
- ✓ კლასტერული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;
- ✓ ერთობლივი კვლევებისა და განვითარების პროგრამების ხელშეწყობა;
- ✓ კლასტერული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- ✓ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით სამრეწველო კავშირების კულტივირება (სკოლები, უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები);

კლასტერების მიერ ხდება ახალი ფირმების და ბიზნესის ახალი ხაზის შექმნის სტიმულირება, რაც ხელს უწყობს ინოვაციებს და აფართოებს კლასტერს.

1.2 საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასება

არსებობს ორი მსხვილი ორგანიზაცია, რომლებიც მსოფლიოში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზს ახორციელებენ. ეს არის მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი IMD და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum). თითოეული ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს (World Competitiveness Yearbook და Global Competitiveness Report შესაბამისად), რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებსა და კონკურენტუნარიანობას ეძღვნება. ისინი მსოფლიო ტენდენციებისა და ბენჩმარკინგის ანალიზისათვის აუცილებელ მონაცემებს იძლევიან. ორივე ანგარიშში სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის შეფასე-

ბის რთული მეთოდოლოგია გამოიყენება, სადაც განიხილება ფაქტორების ფართო სპექტრის ერთობლიობა, რომელიც მსოფლიო დონეზე ქვეყნის წარმატებას განსაზღვრავს და მისი მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველჰყოფს.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის კვლევა საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ თეორიული შეხედულებები ქვეყანათაშორის კონკურენციის თავისებურებებზე და დავაფუძნოთ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და გლობალური კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციის მიმართულებები.

მსოფლიო მეურნეობის ევოლუციურ განვითარებაში XX საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს კონკურენციის ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა სფეროში – არა მარტო გადამამუშავებელ დარგებში, არამედ მომსახურების სფეროშიც. საერთაშორისო კონკურენცია იძლევა ქვეყნის რესურსების გამოყენების პროდუქტიულობის ამაღლების პროგრესულ-სინერგიულ შესაძლებლობებს და ამავდროულად წარმოადგენს დესტრუქციულ-სინერგიულ საფრთხეს. მაგალითად, კონკურენტული უპირატესობის თეორიის თანახმად: ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონის ქვეყნებიდან ნებისმიერ მათგანს გააჩნია განსაზღვრული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გლობალური კონკურენტული უპირატესობები. როგორც წესი, ეს უფრო მაღალი: ამა თუ იმ დარგების შრომის მწარმოებლურობის დონე, ამა თუ იმ დარგების, წარმოების, სამეწარმეო ჯგუფების, სამეწრმეო, ტექნოლოგიური, კომერციული, პერსონალის კვალიფიკაცია, წარმოებული ნაკეთობების ხარისხი და ტექნიკური დონე, მართვის ხელოვნება, სტრატეგიული აზროვნება მმართველობის სხვადასხვა დონეზე და მრავალი სხვა.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო კონკურენცია უნდა განისაზღვროს როგორც ეკონომიკური სუბიექტების მოქნილობა მიკროსამეურნეო ურთიერთობების სისტემაში მათი ინტე-

რესების რეალიზაციის საუკეთესო პირობების მიღწევისათვის თანამედროვე საერთაშორისო კონკურენცია, როგორც მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მექანიზმი, არსებულ ცვლილებებს განიცდის გლობალიზაციის ფენომენის ზემოქმედების ქვეშ, რაც თავისმხრივ აისახება ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობების გლობალურ გადანაწილებაზე.

1.2.1 კონკურენტუნარიანობის ანალიზი მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (IMD-ს) მიხედვით

IMD World Competitiveness Yearbook გამოიცემა ყოველწლიურად 1989 წლიდან. 2009 წელს მასში 57 ქვეყნის კონკურენტუნარიაობის ანალიზი იყო წარმოდგენილ. იგი ფასდებოდა როგორც ქვეყნის მაჩვენებლების შედეგობრივი ერთობლიობა 329 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ოთხ ფაქტორშია დაჯგუფებულია:

- ეკონომიკური მდგომარეობა (მაკროეკონომიკური გარემო);
- სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობა;
- ბიზნესის ეფექტიანობა;
- ინფრასტრუქტურა.

ყველა ფაქტორი ხუთ ქვეფაქტორად, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი ქვეჯგუფებად არის დაყოფილი. კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა გარკვეული თანმიმდევრობით მიმდინარეობს. პირველ ეტაზე, ყველა 329 კრიტერიუმი რაოდენობრივად ფასდება, ამასთან 84 კრიტერიუმი არ გამოიყენება უშუალოდ ინდექსის გამოთვლისას. დანარჩენი 245 კრიტერიუმი ნაწილობრივ სტატისტიკური (135) და გამოკითხვის მონაცემებია (110). შემდგომ ეტაპზე, ქვეყნების მიხედვით კრიტერიუმების მნიშვნელობების განსაზღვრისათვის მათი ნომინალური მნიშვნელობის ნაცვლად გამოიყენება სტანდარტული გადახრა. იგი ყველა კრიტერიუმისათვის შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

$$SDT = \frac{x - \bar{x}}{S}, \quad (1.1)$$

სადაც x- არის საანალიზო ქვეყანაში კრიტერიუმის მნიშვნელობა; $\bar{x}$ მოცემული კრიტერიუმის საშუალო მნიშვნელობა ყველა 57 ქვეყნისათვის; S-საშუალო კვადრატული უარყოფა. სტანდარტული უარყოფა გამოითვლება როგორც სტატისტიკური მონაცემების, ისე გამოკითხვის მონაცემებისათვის.

კონკურენტუნარიანობის ფაქტორები და ქვეფაქტორები[8]

ცხრილი 1.1

ეკონომიკური მდგომარეობა	**სახელმწიფოს ეფექტიანობა**	**ბიზნესის ეფექტიანობა**	**ინფრასტრუქტურა**
შიდა ეკონომიკა	სახელმწიფო ფინანსები	მწარმოებლურობა	საბაზო ინფრასტრუქტურა
საერთაშორისო ვაჭრობა	ფისკალური პოლიტიკა	შრომის ბაზარი	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა
საერთაშორისო ინვესტიციები	ინსტიტუციური სტრუქტურა	ფინანსები	მეცნიერული ინფრასტრუქტურა
დასაქმება	ბიზნესის კანონმდებლობა	მენეჯმენტის პრაქტიკა	ჯანდაცვა და გარემო
ფასები	სოციალური სტრუქრურა	ურთიერთობები და ფასეულობები	განათლება

შემდეგ ეტაპზე ხდება SDT-ს საშუალო შეწონილი მნიშვნელობის გამოთვლა თითოეული 20 ქვეყნისათვის. ერთის ტოლი წონები გამოიყენება სტატისტიკური კრიტერიუმებისათვის და 0,55 – გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებისათვის. წონების ასეთი ურთიერთკავშირი შერჩეუ-

[8] IMD (2009). *World Competitiveness Yearbook 2009.*

ლია იმისათვის, რომ გამოკითხვის მონაცემები კონკურენტუნარიანობის ინდექსის მესამედს განსაზღვრავდნენ. ბოლო ეტაპი არის მთლიანობაში ფაქტორებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გამოთვლა, როგორც SDT ქვეფაქტორების საშუალო მნიშვნელობა (ყველა ქვეფაქტორს აქვს ერთი წონა, ანუ 0,2-ფაქტორის კონკურენტუნარიანობისათვის და 0,05-ქვეყნისათვის).

1.2 კონკურენტუნარიანობის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)-ის მიხედვით

მეფ-ის კვლევაში უფრო რთული მეთოდოლოგია გამოიყენება, რომლის მთავარ თავისებურებას, სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონესთან კავშირში, ფაქტორებისათვის სხვადასხვა წონების გამოყენება წარმოადგენს. ბოლო World Competitiveness Report-ში 2009-2010 წლებში მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის დახმარებით (Global Competitiveness index) 125 ქვეყნის შედარებითი კონკურენტუნარიანობა შეფასდა, რომელიც შემუშავდა მაიკლ პორტერის მიერ მეფ-ის კოლექტივთან თანამშრომლობით შექმნილი წინა ინდექსის საფუძველზე. საბოლოო ინდექსში გაითვალისწინება როგორც ეკონომიკური გარემოს ფუნქციონირება (მაკროეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.), ისე ქვეყანაში ბიზნესის მართვის (გაძღოლის) თავისებურებები (მიკროეკონომიკა). ყველა ფაქტორი, რომლებიც მოქმედებს კონკურენტუნარიანობაზე იყოფა 12 ჯგუფად:

- ✓ ინსტიტუტები;
- ✓ ინფრასტრუქტურა;
- ✓ მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- ✓ ჯანმრთელობა და საბაზო განათლება;
- ✓ უმაღლესი და პროფესიული განათლება;

- ✓ პროდუქტის ბაზრის ეფექტიანობა (დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ კონკურენციასა და მოთხოვნის ხარისხობრივ მახასიათებლებზე);
- ✓ შრომის ბაზრის ეფექტიანობა;
- ✓ ფინანსური ბაზრის განვითარების დონე;
- ✓ ტექნოლოგიური მზადყოფნა-სიჩქარე, რომლითაც ქვეყანა არსებულ ტექნოლოგიებს მწარმოებლურობის ამაღლებისათვის იყენებს;
- ✓ ბაზრის ზომა;
- ✓ ბიზნეს-ტექნოლოგიების სირთულე;
- ✓ ინოვაციები.

მოცემული ფაქტორების გავლენა არათანაბარია სხვადასხვა ქვეყნისათვის. ამ მიზნით 12 ფაქტორი 3 გუფად გაიყო, რომლებიც ქვეყნის განვითარების შესაბამის სამ სტადიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 1.2).

პირველი სტადია ხასიათდება წარმოების ფაქტორების ხარჯზე ზრდით: უფრო იაფი მუშახელი, ბუნებრივი რესურსები და ა.შ. ამ სტადიაზე ქვეყნები შეკავებულ (შეფერხებულ) კონკურენტულ სტრატეგიას იყენებენ. ეკონომიკის განვითარებით, შრომის მწარმოებლურობითა და გადასახადებით სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია შეფერხებით კონკურირება და იძულებული ხდება ორიენტირება მოახდინოს კონკურენციასა და ეკონომიკურ ზრდაზე, წარმოების ეფექტიანობისა და გამოშვებული პროდიუქტის ხარისხის ამაღლების ხარჯზე. ამ სტადიაზე მნიშვნელოვანი ხდება უმაღლესი და პროფესიული განათლების განვითარება, პროდუქტის ეფექტიანი ბაზრის არსებობა, კონკურენციის ზრდის განმაპირობებელი მოქნილი შრომის ბაზარის, განვითარებული ფინანსური სექტორის არსებობა, ინვესტიციების ზრდის მხარდაჭერა, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობა და მზადყოფნა მათი გამოყენებისათვის. სახელმწიფოს განვითარების შემდეგი სტადია გულისხმობს მოსახლეობის მაღალ ცხოვრების დონეს. ამ შემთხვევაში ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე შეუძლიათ კონკურენტუნარიანი იყვნენ ძირითადად უნიკალური პროდუქტის ხარჯზე, რომელიც ინოვა-

ციური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბიზნესი, ტექნოლოგიები და ინოვაციები.

ეკონომიკის ზრდაზე დამოკიდებული
კონკურენტუნარიანობის ფაქტორები

ცხრილი 1.2

ეკონომიკის ზრდის სტადიები	**ფაქტორები**
<u>ზრდა ფაქტორების ხარჯზე</u> (ქვეყნები კონკურირებენ თავიანთი ბუნებრივი რესურსების, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ბაზაზე. ფირმები ამჯობინებენ საფასო კონკურენციას.)	**<u>საბაზო მოთხოვნები</u>** –ინსტიტუტები –ინფრასტრუქტურა –მაკროეკონომიკა –ჯანდაცვა და საბაზო განათლება
<u>ზრდა ეფექტიანობის ხარჯზე</u> (გადახდების ზრდა აიძულებს ფირმებს წარმოების ეფექტიანობა და პროდუქტის ხარისხი აამაღლონ.)	**<u>ეფექტიანობის გამაძლიერებლები</u>** –უმაღლესი და პროფესიული განათლება –პროდუქტის ბაზრის ეფექტიანობა –შრომის ბაზრის ეფექტიანობა –ტექნოლოგიური მზადყოფნა –ბაზრის ზომა
<u>ზრდა ინოვაციების ხარჯზე</u> (მოსახლეობის მაღალი შემოსავლების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ახალი და უნიკალური პროდუქტის წარმოების ხარჯზე).	**<u>ინოვაციური ფაქტორები</u>** –ინოვაციები –ბიზნეს ტექნოლოგიების სირთულე

სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა სტადიებზე ამ თავისებურებების გათვალისწინებისათვის ფაქტორები იყოფა სხვადასხვა წონებად (იხ. ცხრილი 1.4).

ფაქტორების წონები

ცხრილი 1.3

	საბაზო მოთხოვნები	**ეფექტურობის გამაძლიერებ-ლები**	**ინოვაციური ფაქტორები**
ზრდა ფაქტო-რების ხარჯზე	60	*35*	5
ზრდა ეფექტი-ანობის ხარ-ჯზე	40	*50*	10
ზრდა ინოვა-ციების ხარ-ჯზე	20	*50*	30

ქვეყნის განვითარების სტაბილურობა

ცხრილი 1.4

სტადიები	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD)**
ზრდა ფაქტორების ხარჯზე	2000-ზე ქვევით
პირველი სტადიიდან მეორეში გა-დასვლა	20000-3000
ზრდა ეფექტიანობის ხარჯზე	3000-9000
მეორედან მესამე სტადიაში გა-დასვლა	9000-17000
ზრდა ინოვაციების ხარჯზე	17000 -ზე ზევით

შენიშვნა: *გადამსვლელ სტადიაში ყველა ქვეყნისათვის წონები გადანაწილდება სხვადასხვანაირად.*

ინდექსის გამოსათვლელად მონაცემები აიღება ნაწი-ლობრივ ქვეყნის სტატისტიკიდან და ნაწილობრივ - ტოპ მენე-ჯერების გამოკითხვიდან. ინდექსის გამოთვლა ხდება სკალის

მიხედვით 1 - დან 7 - მდე, რომელიც გამოკითხვის დროს გამოიყენება. ამ სკალაში სტატისტიკური მონაცემების გადმოტანა ხდება ფორმულით:

$$6 \cdot \frac{countryvalue - sample_\min}{sample_\max - sample_\min} + 1 \quad .$$

საბოლოო ინდექსი ანალიზში გამოყენებული მაჩვენებლების საშუალო შეწონილის გამოთვლის შემდეგ მიიღება.

1.4. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა

სხვადასხვა სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობის ანალიზით დაკავებულია, ერთის მხრივ, ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა, მეორე მხრივ, კი - ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული კონკურენტუნარიანობის ცენტრები (რომლებიც ნაწილობრივ თანამშრომლობენ ჰარვარდის ბიზნეს-სკოლასთან). ასეთი ცენტრები არის მაგალითად: აშშ-ში, ირლანდიაში, ინგლისში, ხორვატიაში, ყაზახეთში.

ცალკეული სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობის ანალიზი მათ ბენჩმარკინგთან მიმდინარეობს. ანალიზის პირველ ეტაპს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების შეფასება წარმოადგენს. ეს ნიშნავს ქვეყნის მშპ-ის, შრომის მწარმოებლურობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, შიდა ვაჭრობის და სხვა განსაკუთრებით აქტუალური მაჩვენებლების ზრდის ანალიზს სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ქვეყანაში არსებული კონკურენტუნარიანობის დონე. ასევე ყურადღება ექცევა ქვეყანაში დარეგისტრირებული პატენტების რაოდენობას, რადგან ეს სტატისტიკური მაჩვენებელი მისი ინოვაციური განვითარების დონეს ასახავს. მომდევნო ეტაპია ცალკე კონკურენტუნარიანობის მაკრო და მიკროეკონომიკური მაჩვენებლები.

მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ძირითადად შეისწავლება მშპ-ის ზრდის ფაქტორები, ინფლაციის ტემპე-

ბი, სავალუტო კურსი, ბიუჯეტის დეფიციტი, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი. ასევე განიხილება ქვეყანაში პოლიტიკური (სტაბილურობა, პოლიტიკური პროცესების გახსნილობა), იურიდიული (კანონების და მათი გამოყენების ხარისხი) და სოციალური (სიღარიბე, უთანაბრობა) პირობები.

მიკროეკონომიკური კლიმატის შეფასება ხდება პორტერის „კონკურენტუნარიანობის ალმასის" შესაბამისად. გამოიყოფა უპირატესობები და უარყოფითი მხარეები ფაქტორების, მოთხოვნის, მონათესავე დარგების, კონკურენციის პირობებისა და ბიზნესის მართვის პარამეტრების მიხედვით. შემდგომში ხდება ქვეყანაში არსებული კლასტერებისა და მათი განვითარების დონის ანალიზი. ჩატარებილი ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის სფეროები, რომელშიც ცვლილებები გამოიწვევს ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

1.5. საქართველოს კონკურენტუნარიანობა: პრობლემის დასმა

საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ანალიზი IMD-ს საერთაშორისო კვლევებისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ჩარჩოებში პირველად – 1993 წელს ჩატარდა. ეს იყო კვლევა, რომელიც ეძღვნებოდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.[9] საქართველო გლობალური კონკურენციის მხრივ, მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის 90 - ე ადგილზეა - ასეთია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2009-2010 წლის ანგარიშის შედეგები. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ასპექტების მიხედვით, საქართველოს

[9] IMD, WEF (1993). Формирующиеся рыночные экономики – 1993, Международный институт развития менеджмента, Мировой экономический форум: Лозанна — Женева.

გაცილებით უკეთესი ქულები აქვს: მაგალითად, იგი მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით მე-11, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების მხრივ – 26-ე, ევროპაში კი მე-14 ადგილზეა - „მეტწილად თავისუფალ" კატეგორიაში.

ქვეყნისთვის ამ განსხვავებებს იწვევს თავად ინდექსების სპეციფიკა. პირველ ორ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ლიბერალიზაციაზე - ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოზე, და ზოგადად, ეკონომიკურ თავისუფლებაზე. გლობალური კონკურენციის ინდექსი კი აქცენტს ამ ფაქტორების გარდა, ეფექტიანი მმართველობისთვის აუცილებელ ინსტიტუტებზეც აკეთებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში მიუთითებს, რომ ლიბერალიზაცია და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამის მიზეზია ძველი, ანტისაბაზრო ინსტიტუტები, რომელთა დემონტაჟიც აუცილებელია და მათ ნაცვლად საჭიროა ახალი, ეფექტიანი მმართველობისთვის ხელსაყრელი ინსტიტუტების შეიქმნა.

ბოლო წლებში საქართველომ ამ მიმართულებით რეფორმები გაატარა, მაგალითად, საბაჟო ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის გამარტივება ან შრომის კოდექსი, რომელიც, ამ ინდექსის მიხედვითაც, შეფასებულია, როგორც კონკურენტუნარიანი და საქართველო მსოფლიო ოცეულში შედის.

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის მხრივაც: ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის" თანახმად, საქართველო კორუფციის დონით მსოფლიოში 169 ქვეყანას შორის 66-ე ადგილზეა და რეგიონის სხვა ქვეყნებს მნიშვნელოვნად უსწრებს. ეს პირდაპირ უკავშირდება ინსტიტუტების ეფექტიანობასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, რადგან ბიზნესის ეკონომიკურ ხარჯს ამცირებს და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საშუალოდ გასამმაგდა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მშენებლობამ ინვესტორთა დაინტერესება და საქართველოში დამზადებული პროდუქტის ექსპორტზე გატანა გამოიწვია.

მეორე მხრივ, კარგი მმართველობისთვის აუცილებელი ინსტიტუტების შენება და გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევა ხანგრძლივი და ნელი პროცესია, რასაც ზუსტად ასახავს გლობალური კონკურენციის ინდექსი.

ინდექსი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს როგორც იმ ინსტიტუტების, კანონებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავს. პროდუქტიულობის დონე, თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკური დოვლათის დაგროვებას. ეკონომიკური დოვლათის ზრდის პირობებში კი მოქალაქეების შრომა უკეთ ანაზღაურდება. ამდენად, რაც უფრო კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, მით მაღალია ქვეყანაში კეთილდღეობის დონე. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, კონკურენტუნარიანობის კონცეფციის თვალსაზრისით მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარების შედარებითი ანალიზი, იმ მეთოდებით, რომლებიც საერთაშორისო კვლევებში გამოიყენება.

კერძოდ, ანალიზი ჩატარდება მეთოდიკის თანახმად, რომელსაც იყენებდა მ. პორტერი სომხეთის, რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის და სხვა ქვეყნებისათვის და რომელიც საფუძვლად უდევს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლას (გამოანგარიშებას). ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ოპტიმალურ მაჩვენებლად პორტერი მიიჩნევს მწარმოებლურობას. იგი ფასდება როგორც ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტი და მომსახურება და განსაზღვრავს მოსახლეობის კეთილდღეობას. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკა. მწარმოებლურობა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ პარა-

მეტრბებთან, როგორიცაა ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა და სტრუქტურა, ეკონომიკაში შიდა ინვესტიციების მოცულობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთ ინვესტიციების სტრუქტურა (იხ. სქემა 1.2).[10] ერთის მხრივ, ისინი აჩვენებენ ქვეყნის მწარმოებლურობაზე უშუალო მოქმედებას, ხოლო მეორეს, მხრივ-თვითონ შეიძლება იყვნენ კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები.

მაგალითად, ექსპორტი გვიჩვენებს რა დონეზე და რა სეგმენტზე არის ეროვნული პროდუქტები შიდა ბაზრებზე. იმპორტის სტრუქტურა დამოკიდებულია ქვეყანაში გამოყენებულ ტექნოლოგიებზე, მაგრამ ამავდროულად განსაზღვრავს წარმოების განვითარების მიმართულებას. შიდა ინვესტიციები ასახავს არსებულ ეკონომიკურ პირობებში მოქმედი ბიზნესის განვითარების მზადყოფნას, ხოლო უცხოური ინვესტიციები მოწმობს უცხოური ინვესტორების სურვილს გამოიყენონ ქვეყნის მიერ შემოთავაზებული კონკურენტული უპირატესობები.



სქემა 1.2 კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის ურთიერთკავშირი

[10] Porter, Michael E. (1998), The Competitive Advantage of Nations, The Free Press: New York.

კონკურენტუნარიანობაზე მომქმედი ფაქტორები, პორტერმა დაყო სამ სახედ:

- ✓ არსებული ფაქტორები;
- ✓ მაკროეკონომიკური გარემოს ფაქტორები;
- ✓ მიკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ფაქტორები.

არსებულ ფაქტორებად პორტერი თვლის ბუნებრივ რესურსებს, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ისტორიულ მემკვიდრეობას. მოცემული ფაქტორები არის ეგზოგენურია ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და ქმნის საზღვრებს, რომლებშიც ხდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარება. თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ამან შეიძლება უზრუნველყოს მისი ბიზნესი შედარებით იაფი ნედლეულის უპირატესობით, სახელმწიფო კი-დამატებითი შემოსავლით სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად. გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანია რამდენიმე პოზიციით. უპირველეს ყოვლისა, იგი განასაზღვრავს საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას: ზღვაში გასვლა და პორტის არსებობა იძლევა საზღვაო ტრანსპორტით ვაჭრობის შესაძლებლობას; მნიშვნელოვან სატრანსპორტო კორიდორებში მდებარეობა იძლევა მათი გამოყენების შესაძლებლობას დამატებითი შეფერხებების გარეშე. მეორე მხრივ, ქვეყნის მდებარეობა მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების, მათი ზომებისა და განვითარების დონის თვალსაზრისით. უფრო განვითარებული მეზობლების არსებობა ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას ახდენს კაპიტალის, ახალი ინვესტიციების და ტექნოლოგიების შემოდინების ხარჯზე.

ისტორიული ქონება ქმნის ბიზნესის კულტურას, შემოაქვს მართვის სისტემაში თავისებურებები, რომლებსაც შეუძლიათ ბიზნესის, ინოვაციების განვითარების სტიმულირება.



სქემა 1.3 კონკურენტუნარიანობის ფაქტორები

მიკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: მიკროეკონომიკური ბიზნეს-გარემოს ხარისხი, კლასტერების განვითარების დონე, ორგანიზაციაში გამოყენებული სტრატეგიებისა და მართვის პრინციპების სირთულის და ეფექტიანობის დონე (სქემა 1.3).[11] მიკროეკონომიკური ბიზნეს-გარემოს ხარისხი ხასიათდება „კონკურენტუნარიანობის ანალიზში" ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების მეშვეობით, რადგან მათი წარმოქმნა შეუძლებელია შესაბამისი ცოდნისა და რესურსების, ინფრასტრუქტურის, მოთხოვნის გარეშე, რომელიმე ცალკეულ რეგიონში. კლასტერების დიდი რაოდენობა, მათი ურთიერთკავშირი, მაღალი პროდუქტიულობა და ეფექტიანობა განაპირობებს მთელი ქვეყნის განვითარებას გლობალიზაციის პირობებში. კომპანიის სტრატეგიების, მათი მუშაობის და მართვის პრინციპების ხარისხი წარმოადგენს ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობის მახასიათებელს.

[11] Porter, Michael E. (1998), The Competitive Advantage of Nations, The Free Press: New York.

მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ რომელი ფაქტორები არის წამყვანი (ძირითადი) საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდაში ან შეფერხებაში, ხოლო მათი დაწვრილებითი გამოკვლევა წარმოდგენილი იქნება შემდეგ თავებში.

1.6 მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გამოვლენის კონტექსტში 1998-2008 წლებში ჩატარდა. ორ კრიზისს – 1998 წ. ქართულ კრიზისს და 2008-2009 წწ. გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს შორის პერიოდი – საქართველოს ეკონომიკისათვის ხასიათდება შედარებით სწრაფი ეკონომიკური ზრდით. ამასთან მოცემული ათწლეული შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად: 2003 წლამდე და მის შემდეგ. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელია უფრო ნაკლები ეკონომიკური ზრდა, რომელიც პირველ რიგში განპირობებული იყო ქართულ ბაზარზე მოთხოვნის აღდგენით. მეორე პერიოდში ზრდის ძირითადი ფაქტორები იყო ენერგორესურსებზე დაბალი ფასები, ასევე მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასის ზრდა.

კლასტერების როლი

კლასტერებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში. მათი დაყოფა პირობითად შეიძლება ძველ და ახალ კლასტერებად. პირველები წარმოადგენენ მძიმე მეწარმეობის კლასტერებს, რომლებიც წარმოიქმნა რთული წარმოებების კონცენტრაციის პოლიტიკის მეშვეობით გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით. ახალი კლასტერები არ არის ასეთი მრავალრიცხოვანი და შედგება საშუალო საწარმოებისაგან, რომლებიც ხელსაყრელი შიდა პირობების გამო რომელიმე ადგილას არის კონცენტრირებული.

ამგვარად, მიკროეკონომიკური გარემოს სფეროში საქართველოს ძირითადი კონკურენტული უპირატესობა გააჩ-

ნია წარმოების ფაქტორების მხრივ, რომლებიც თავის თავში აერთიანებს ასევე იაფ ბუნებრივ და ხარისხიან შრომით რესურსებს, აგრეთვე უპირატესობა აქვს საწარმოებსა და კლასტერების რიგებს შორის კავშირის შენარჩუნებაში. მიკროგარემოს ნეგატიურ მახასიათებლებს შორის უნდა აღინიშნოს ბიზნესის მართვის რთული სამართლებრივი პირობები. სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის გამარტივებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, არსებობს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ფასების რეგულირება, გადასახადების მაღალი დონე, რაც აფერხებს კერძო სექტორის განვითარებას. ასევე საწარმოს კონკურენტუნარიანობის დონეზე უარყოფითად მოქმედებს კონკურენციის შეზღუდვა.

ამდენად, მოცემულ თავში წარმოვადგინეთ კონკურენტუნარიანობის ანალიზი მ. პორტერის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კონკურენტუნარიანობის მთავარ გამოვლენას გრძელვადიან პერიოდში შრომის მწარმოებლურობის ზრდა წარმოადგენს. რასაც მივყავართ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარებამდე, შეიმჩნეოდა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან ახლდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, სიღარიბის დონის შემცირება და სოციალური თანასწორობის მხარდაჭერა (შენარჩუნება). თუმცა შრომის მწარმოებლურობის ტრადიციული განმსაზღვრელი ფაქტორების დინამიკა ვერ ხსნიდა ამ ზრდას. საქართველოს ექსპორტში ხდებოდა ნედლეულის პოზიციების გაძლიერება, იმპორტში არ შეიმჩნეოდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ზრდა, არ იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. აშშ-ში დარეგისტრირებული ინოვაციების დონე რჩებოდა დაბალ დონეზე. მწარმოებლობაზე პოზიტიურად მოქმედ ერთადერთ პარამეტრად ითვლებოდა შიდა ინვესტიციების ზრდა, მაგრამ მისი პოტენციალიც მცირდებოდა. თანაც, ამ ზრდას ჰქონდა საწინააღმდეგო მხარეც: გადასახადების დაჩქარებულ ზრდასთან ერთად მან გამოიწვია შიდასა-

ვაჭრო დეფიციტის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში იქცა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ პრობლემად. შედეგად აუცილებელი გახდა იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ასეთ წინააღმდეგობრიობას, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებელის – შრომის მწარმოებლურობის ზრდას – თან ახლდა სხვა მაჩვენებლების გაუარესება.

ძირითადი ფაქტორი, რომელიც იძლეოდა ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის საშუალებას, იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. მისი მთავარი პრობლემა იყო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, რაც განსაკუთრებით მწვავე გახდა გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში. მისი ბალანსირების აუცილებლობამ გამოიწვია დევალვაცია, შიდა ვალის ზრდა, სახელმწიფო გასავლების შემცირება, საბანკო სისტემის მდგომარეობის გაუარესება. საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორებია მისი მიკროეკონომიკური გარემოს თავისებურებები. ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნებული მაღალი კონცენტრაცია განაპირობებს ეკონომიკაში კონკურენციის დაბალ დონეს და პროტექციონიზმს სახელმწიფო საწარმოების სასარგებლოდ. კერძო სექტორის განვითარება ფერხდება ბიზნესის მართვის ზოგადი სირთულეებით, ასევე რთული საგადასახადო სისტემით და ინვესტორთა უფლებების არასაკმარისად დაცვით. მიკროგარემოს დადებით მომენტებს შორის შეიძლება აღინიშნოს იაფი ბუნებრივი რესურსებისა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა.

ამგვარად, შრომის მწარმოებლურობის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის სახით, საქართველოს კონკურენტუნარიანობის ფორმალურ ზრდას თან ახლდა სხვა მაჩვენებლების, განსაკუთრებით კი შიდა ვაჭრობის გაუარესება. საქართველოს ექსპორტში და იმპორტში ცვლილებების უფრო ღრმა ანალიზს შეუძლია გაარკვიოს ამ წინააღმდეგობრიობის არსი (ბუნება), რაც წარმოადგენს შემდგომი კვლევების

მიზანს. საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის ძირითად წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მისი ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ბაზარზე. ძირითადი გამოწვევები კი მდგომარეობს მიკროეკონომიკური სიტუაციის გაუარესებაში გლობალური ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედების შედეგად და სუსტი მიკროეკონომიკური გარემო. მოცემული ფაქტორების უფრო დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება შემდეგ თავებში.

თავი II
ბიზნეს - გარემო საქართველოში: პრობლემები და ზემოქმედება კონკურენტუნარიანობაზე

ბოლო ათწლეულში, როცა ხდება სახელმწიფოებს შორის სამეურნეო კავშირების ინტენსიფიცირება და სახელმწიფოებმა აქტიური კონკურენცია დაიწყეს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კონკურენტუნარიანობის საკითხი. ამ დროს გამოჩნდა რეიტინგების რიგი, რომლებიც ქვეყნის რანჟირებას ახდენს მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური სფეროს მაჩვენებლების მიხედვით.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები აქტიურად აუმჯობესებენ ბიზნეს-გარემოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მიუხედავად ამისა, ბიზნეს-გარემოს მახასიათებლები გარდამავალ ქვეყნებში არსებითად განსხვავებულია. საქართველოში ბიზნესის რეგულირების გამარტივების სფეროში მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული კერძო სექტორი, ხოლო ინვესტიციების ნაკადი მაღალია.

ამ თავში წარმოდგენილია ბიზნეს-გარემოს ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ბიზნეს-გარემოს მაჩვენებლების ურთიერთკავშირი კონკურენტუნარიანობის რეიტინგებთან, ბოლო წლების საქართველოს ბიზნეს-გარემოს ანალიზი. გამოკვლეულია ინსტიტუციური და ბიზნეს-გარემოს არსი და მისი ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე; განხილულია ბიზნეს-გარემოსა და კონკურენტუნარიანობის ურთიერთკავშირი; წარმოდგენილია საქართველოს ბიზნეს-გარემოს მახასიათებლების ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე, განხორციელებული რეფორმების როლი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაში.

2.1 ინსტიტუციონალური სფერო და მისი მახასიათებლები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

2.1.1 ინსტიტუტების როლი ეკონომიკის ტრანსფორმაციაში

ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ბოლო ათწლეულებში განსაზღვრავდა ეკონომიკური ინსტიტუტების სისტემების განვითარებას პოსტსაბჭოურ სივრცეში, იყო პრივატიზაცია და დერეგულირება.[12] აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფოს როლი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მიმართული უნდა იყოს ბაზრის ყველა მონაწილისათვის, კონკურენტული გარემოსათვის, ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარებისათვის ერთიანი წესების შექმნისაკენ. გარდამავალი ქვეყნებისათვის 1990-იან წლებში ვაშინგტონის კონსესუსის ჩარჩოებში ფორმირებული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რჩევების სიცხადისა და სიმკვეთრის (ლიბერალიზაცია, სტაბილიზაცია, პრივატიზაცია), მიუხედავად პოსტსაბჭოურ სივრცეში ტრანსფორმაციული პროცესები განსხვავებული წარმატებებით მიმდინარეობდა. მალე აღმოჩნდა, რომ რეფორმების საერთო რჩევები არასაკმარისია, ბაზარზე გადასვლის პროცესში მთავარი როლი ეკუთვნის ინსტიტუტების (თამაშის წესები, ადამიანების ურთიერთქმედების სტრუქტურა) ტრანსფორმაციას.[13] ინსტიტუციური ეკონომიკური ცვლილებების თეორიაში წარმოიშვა მოთხოვნა, რომელიც პოპულარული ხდებოდა 1980-1990 წლებში ინსტიტუციურ-ევოლუციური მიდგომის სახით. გარდამავალი ეკონომიკების ირგვლივ ლიტერატურაში, უფრო და უფრო ხშირად იყო აღიარებული, რომ ეფექტიანი ინსტიტუტები არ შეიძლე-

---

[12] ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევის შემცირება.

[13] Стиглиц Дж. (1999) Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов)// *Вопросы экономики*, №7, с. 4–30.

ბა შეიქმნას სპონტანურად – ისინი უნდა შეიქმნას სახელმწიფოს, ბიზნესის ძალისხმევით საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.[14]

ინსტიტუციონალისტების თვალსაზრისით, ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრის ფუნქციონირებას. „ინსტიტუტები – ეს არის თამაშის წესები საზოგადოებაში, ან, სხვანაირად ფორმალურად რომ ვთქვათ, ეს არის ადამიანის მიერ შექმნილი შემზღუდველი ჩარჩოები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ადამიანებს შორის ურთიერთობას“.[15] ნორტი გვთავაზობს ინსტიტუტების შემდეგ კლასიფიკაციას:

- ✓ არაფორმალური შეზღუდვები (ტრადიციები, წესები და ა.შ.);
- ✓ ფორმალური წესები (კონსტიტუციები, კანონები, სასამართლო პრეცენდენტები, ადმინისტრაციული აქტები);
- ✓ დაძალების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წესების დაცვას (სასამართლოები, პოლიცია, საკონტროლო ორგანოები და ა.შ.).

არაფორმალური ინსტიტუტები დაარსების გრძელ პროცესს გაივლიან და საზოგადოებაში „ქვევიდან“ იქმნება. ფორმალური ინსტიტუტები და მათი დაცვის მექნიზმები, სახელმწიფოს ძალისხმევით, შეგნებულად ყალიბდება. არაფორმალური წესები, ფორმალურთან შედარებით ტრანსფორმაციის უფრო გრძელ პერიოდს მოითხოვს, რომლებიც შეიძლება უეცრად შეიცვალოს, მაგალითად რევოლუციის და გადატრიალების დროს. ხარისხიანი და ეფექტიანი ფორმალური წესების შექმნაში მთავარი როლი ტრანსფორმაციულ პერიოდში სახელმწიფოს ეკუთვნის.

---

[14] Клейнер Г. (2004). *Эволюция институциональных систем.* М.: Наука. с.238

[15] Норт Д. (1997). *Институты, институциональные изменения и функционирование экономики*: пер. с англ. А. Нестеренко. М.: Фонд экономической книги «Начала», с. 180

ნორტი საზოგადოებაში ინსტიტუციური ცვლილებების ორ ძირითად წყაროს გამოყოფს[16]:

- ფასებთან დაკავშირებით სტრუქტურაში გადაადგილებები (ტექნიკური პროგრესის, ახალი ბაზრების გახსნის, მოსახლეობის ზრდის დროს და ა.შ.), რომლებიც აიძულებენ ბაზრის მონაწილეებს გადახედონ (გაითვალისწინონ) ფორმირებულ წესებს;
- იდეოლოგია, რომლის ზემოქმედებით იქმნება ადამიანების მსოფლმხედველობა და მიჩნევები.

გარდამავალ პერიოდში მოქმედებდა ინსტიტუციური ცვლილებების ეს ორივე წყარო. ფირმებს მოუხდათ აბსოლუტურად ახალ გარემოსთან და კონკურენციის სტრუქტურასთან შეჯახება, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებასთან ერთად მოვიდა ახალი იდეოლოგია. დროის ყოველ მომენტში წარმოიქმნება არჩევანი: თამაშის არსებული წესებით შემოფარგლვა (შეზღუდვა), ან მათ შეცვლაზე ანუ ინსტიტუტების ტრანსფორმაციზე რესურსების ნაწილის წარმართვა. საბოლოოდ იქმნება ინსტიტუციური წონასწორობა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როცა არცერთი აგენტი არ არის დაინტერესებული მოქმედი ინსტიტუტების გარდაქმნით (შეცვლით). მაგალითად, საქართველოში ბიზნეს-გარემოს რეფორმების აქტივიზაცია ბოლო წლებში სწორედ მოწმობს წინა ინსტიტუციური წონასწორობის დარღვევას, რაც გამოწვეული იყო არახელსაყრელი გარე გარემოთი (ქართული პროდუქტისთვის გარე ბაზრებზე არახელსაყრელი კონიუნქტურა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.).

[16] იქვე გვ., 189

2.1.2 ინსტუტების ტრანსფორმაცია და ცვლილებებთან წინააღმდეგობა

ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელია ინერციულობა: თუ ისინი უკვე შექმნილია, მაშინ მინიმალური დანახარჯებით ვრცელდებიან მონაწილეების სულ უფრო მეტ რაოდენობაზე. მაგრამ ახალი ინსტიტუტების შექმნა მოითხოვს სულ უფრო მეტ საწყის დაბანდებებს, რომლებიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. შედეგად, „ძველი“ და „ახალი“ ინსტიტუტების მდგომარეობა არ არის ერთნაირი. „ძველმა“ ინსტიტუტებმა უკვე „გამოისყიდეს“ მათი შექმნის ღირებულება (დანახარჯები), ხოლო „ახლები“ უერთდება შემცვლელის მაღალ ღირებულებებს. ძველი ინსტიტუციური სტრუქტურიდან ახალზე გადასვლის ღირებულებას (დანახარჯებს) პოლტეროვიჩი (1999) ტრანსფორმაციის ღირებულებას უწოდებს და გვთავაზობს ტრანსფორმაციული ღირებულების შემდეგ კლასიფიკაციას [17]:

- ✓ ტრანსფორმაციის პროექტის შედგენა;
- ✓ პროექტის ლობირება;
- ✓ შუალედური ინსტიტუტების შექმნა და მხარდაჭერა პროექტის რეალიზაციისათვის;
- ✓ პროექტის რეალიზაცია;
- ✓ სისტემის ადაპტაცია ახალ პროექტთან.

ა. არტურისა (1994) და დ. ნორტის (1997) იდეების გამოყენებით, ვ. პოლტეროვიჩი აღწერს ინსტიტუტების გამძლეობის (სიმტკიცის) ფორმირების სქემას. ის ამტკიცებს, რომ გამძლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტაბილიზაციის ამა თუ იმ მექანიზმით. ასეთი მექანიზმი შეიძლება დაფუძნებული იქნეს აგენტების ინდივიდუალურ უპირატესობებზე (ვარაუდებზე, თუ რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას), ან

[17] Полтерович, В.М. (1999). Институциональные ловушки и экономические реформы, *Переработка доклада «Институциональная динамика и теория реформ»*, III Международный симпозиум «Эволюционная экономика и «мэйнстрим»» (г. Пущино, 30–31 мая 1998 г.).

სანქციის მუქარაზე, ან ე.წ. „კოორდინაციის ეფექტზე“. კოორდინაციის ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ, რაც უფრო მუდმივად სრულდება ნორმები საზოგადოებაში, ან რაც უფრო მეტი ინდივიდი უჭერს მას მხარს, მით უფრო მეტ ზიანს მიაყენებს მას თითოეული ინდივიდი მისგან განზე გადგომით.[18]

ინსტიტუციური ცვლილებები ეჯახება ძლიერ წინააღმდეგობებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი ინსტიტუტები გამოიწვევს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. ეს ინსტიტუციური სისტემის სტაბილიზირებას ახდენს მისი ეფექტიანობისაგან დამოუკიდებლად. ინსტიტუტები ბლოკავენ საზოგადოებას განსაზღვრულ კალაპოტში, საიდანაც რთულია თავის დაღწევა. შედეგად შეიძლება არაეფექტიანი ინსტიტუტები შეიქმნას. დ. ნორტის აზრით, ეს ხდება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ახალ წესებზე (ინსტიტუტებზე) გადასვლის ტრანსაქციული დანახარჯები ძალიან მაღალია. მეორე - ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს სახელმწიფოს ორმაგ როლთან. ერთის მხრივ, სახელმწიფო ადგენს საკუთრების უფლებებს და უზრუნველყოფს კონტრაქტების შესრულებას, მეორე მხრივ, მან შეიძლება გადაანაწილოს საკუთრების უფლებები და შეიძლება დაინტერესებული იყოს არაეფექტიანი ინსტიტუტების მხარდაჭერით, თუ ეს ზრდის მონოპოლიურ რენტას (ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობას). მესამე - ცვლილებებზე წინააღმდეგობამ შეიძლება აღმოაჩინოს სპეციფიკური ინტერესების ჯგუფები. რადგანაც ინსტიტუტების ქმედებების შედეგად მიღებული მოგება და დახარჯები საზოგადოებაში არათანასწორად გადანაწილდება, ზემოქმედების ძალაუფლებიანი ჯგუფები შეეცდებიან შეინარჩუნონ საზოგადოების თვალსაზრისით არაეფექტიანი ინსტიტუტები საკუთარი ინტერესებისათვის. დ. ნორ-

[18] Полтерович, В.М. (1999). Институциональные ловушки и экономические реформы, *Переработка доклада «Институциональная динамика и теория реформ»*, III Международный симпозиум «Эволюционная экономика и «мэйнстрим»» (г. Пущино, 30–31 мая 1998 г.).

ტი აღნიშნავს, რომ „ინსტიტუტები არ იქმნება ყოველთვის იმისთვის, რომ იყოს სოციალურად ეფექტიანი; ინსტიტუტები, ან ყოველ შემთხვევაში, ფორმალური წესები, იქმნება უფრო იმისთვის, რომ ემსახუროს მათ ინტერესებს, ვინც გავლენას ახდენს ახალი წესების ფორმირებაზე“.[19] მეოთხე - ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაზე გავლენას ახდენს „შემდგომი განვითარების ტრაექტორია“ (path dependence), რომელიც განსაზღვრავს შემდგომში მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების შერჩევას. პოლტეროვიჩს შემოაქვს ასევე ნორტის კვლევის ლოგიკურად მსგავსი „ინსტიტუციური მახეების“ ცნება და იკვლევს მას. ინსტიტუციურ მახეებში პოილტეროვიჩი გულისხმობს საზოგადოებაში არაეფექტიანი ინსტიტუტების წარმოქმნას, როდესაც შეუძლებელია ადრე შექმნილი ფორმალური წესების შესრულება. ასეთი მოვლენა ფართოდაა გავრცელებული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. შესაბამისად, პოლტეროვიჩი თვლის, რომ სახელმწიფოს ამოცანაა ინსტიტუციურ მახეებისაგან თავის არიდება.

ინსტიტუციური სკოლის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, რადაევმა (2003), რუსი მეწარმეების ემპირიული კვლევების საფუძველზე შემოგვთავაზა საზოგადოებაში არაფორმალური ინსტიტუტების ფორმირების შემდეგი მექანიზმი:

1. კანონმდებლებს შემოაქვთ ფორმალური წესები ისეთი სახით, რომლითაც მისი უპირობო შესრულება გართულებულია (დაკავშირებულია დიდ ფინანსურ, მორალურ და დროით დანახარჯებთან);
2. ბაზრის მონაწილეები, რომლებსაც არ გააჩნიათ არსებული წესების გასაჩივრების მექანიზმები, საბოლოოდ სისტემატურად არღვევენ მათ (წესებს);
3. მაკონტროლებელ ორგანოებს შემოაქვთ წესების დაცვის არჩევითი კონტროლი, რომელიც შეიძლება

[19] Норт Д. (1997). *Институты, институциональные изменения и функционирование экономики*: пер. с англ. А. Нестеренко. М.: Фонд экономической книги «Начала», – 194 с.

გამოყენებულ იქნეს როგორც ბაზრის მონაწილეებზე ზეწოლის საშუალება საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის;

4. ბაზრის მონაწილეები „თანხმდებიან“ ერთმანეთში, რის შედეგადაც შემუშავდება წესების რეალიზაციის ფორმები და ისინი არაფორმალურ ურთიერთობებად გარდაიქმნება.

არაფორმალური ურთიერთქმედების მოდელები იმასთან დაკავშირებით იქმნება, რომ შეუძლებელია ფირმებმა ყველა აუცილებელი მოთხოვნა შეასრულონ და ისინი სახელმწიფოს მიერ ბიზნეს-გარემოს ცვლილებების წინააღმდეგ „თავდაცვითი რეაქციით“ გამოდიან.

2.1.3 საბაზრო რეფორმებისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაციის პრაქტიკა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

საბაზრო რეფორმებისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაციის პრაქტიკა გარდამავალი ეკონომიკის ცალკეულ ქვეყნებში არსებითად განსხვავდება. ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა სწრაფად გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, მბრძანებლური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები საბაზროთი შეცვალეს, სხვებმა მმართველობის ჰიბრიდული სტრუქტურა შეინარჩუნეს, ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მაღალი დონით.

ბოლო ათწლეულებში საბაზრო რეფორმებსა და ინსტიტუტების ტრანსფორმაციაში დიდ პროგრესს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიაღწიეს, რომლებიც საბაზრო ურთიერთობებზე სწრაფად გადავიდნენ და თავიანთი ბიზნესის კონკურენტუნარიანობა აამაღლეს. საქართველოში, ბოლო წლებში შეინიშნება რეფორმების გარკვეული პროგრესი, როცა ხელისუფლებამ ქვეყანაში სამეურნეო პირობების ლიბერალიზაციის ზომების განხორციელება დაიწყო. ინსტიტუციური გარემოს ხარისხი გარდამავალ ქვეყნებ-

ში, რომლებიც ასევე ხასიათდება ლიბერალური რეფორმების პროგრესით, პირდაპირაა დაკავშირებული მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობასთან. ინსტიტუციური გარემო მოქმედებს მათი ეკონომიკის მდგომარეობაზე, ეკონომიკური ზრდისა და ინვესტორების მოზიდვის შესაძლებლობაზე. შემდგომ თავში განვიხილავთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის საერთაშორისო რეიტინგებს და გავაანალიზებთ მათ ურთიერთკავშირს ბიზნეს-კლიმატის მახასიათებლებთან.

2. 2 კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს-გარემო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

2.2.1 კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს-გარემოს ურთიერთკავშირი

თავის ნაწარმოებში პ. კრუგმანი აღნიშნავს, რომ ქვეყნების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია არამარტო რესურსებით უზრუნველყოფაზე, არამედ ასევე მწარმოებლურობაზე, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს-გარემოს მდგომარეობასა და მასშტაბის ეფექტის არსებობასთან. ბიზნეს-გარემოს იგი მიაკუთვნებს რეგულირებას, ინსტიტუტებს, ინფრასტრუქტურას, ადამიანურ კაპიტალს და ა.შ., რომლებიც გავლენას ახდენს მოცემულ გარემოში ფირმების მწარმოებლურობაზე.[20] ფირმის დონეზე ბიზნეს-გარემო მოქმედებს დანახარჯებზე, დარგის დონეზე კი – ბაზრისა და კონკურენციის სტრუქტურაზე, ეროვნული ეკონომიკის დონეზე – უცხოური ინვესტიციებისათვის ქვეყნის მიმზიდველობაზე. დარგების დონეზე ბიზნეს-გარემო უმეტესად მოქმედებს

[20] Krugman, P. (1980). Scale economies, product differentiation, and the pattern of trade, *American Economic Review*, vol. 70(5), pp. 950–59. Krugman, P. (1983). New Theories of Trade among Industrialized Countries, *American Economic Review*, vol. 73(2), pp. 343–7. Krugman P. (1996). Making sense of the competitiveness debate, *Oxford Review of Economic Policy*, vol. 12(3), pp. 17–25.

იმათზე, რომლებიც არ არის ბუნებრივი რესურსების მაკონ-ტროლებელი მონოპოლისტების და უფრო მცირე და საშუა-ლო მაღალტექნოლოგიურ საწარმოებს მიეკუთვნებიან.[21] ამ-გვარად, ინვესტიციები და დარგების განვითარება დამოკი-დებულია ბიზნეს-გარემოს ხარისხზე, რეგულირებაზე და ინ-ფრასტრუქტურაზე, ასევე კონკურენციის სტიმულებზე, რომ-ლებიც შესაბამის ინსტიტუციურ გარემოში წარმოიქმნება.[22]

ბიზნესის განვითერება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითრების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სა-ხელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკური, სოციალურ – ეკო-ნომიკური, დემოგრაფიული და სხვა საკითხების განხილვა – გადაწყვეტა მოითხოვს ყველა თავისებურებების გათვალიას-წინებას, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, ბიზნესის გარემო ფაქტორების მოქმედების ხარისხს და ბიზნესის განვითარების დონეს. მართალია, ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ – ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობის, ზო-გადად ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ სამწუხაროდ ჩვენ ძირითადად გაგვაჩნია სამომ-ხმარებლო ღონისძიებებზე ორიენტირებული და არა მწარ-მოებლური ეკონომიკა, სწორედ შესაბამისი ფორმირება გა-ნიცადა ბიზნესის გარემომ. ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ გამოიყენება ბიზნეს სექტორის პოტენციალი, მდგრადი გან-ვითარების შესაძლებლობები. სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობითა და არასაკმარისობით გამოწვეული დის-პროპორცია ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითა-რებაში მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის სოციალური პო-ლიტიკის სრულყოფილ და მასშტაბურ რეალიზაციას. მეო-რეს მხრივ იზრდება ბიზნესის ისეთი სეგმენტების რიცხვი,

---

[21] Collier, P. (2000). Africa's comparative advantage, in H. Jalilian, M. Tribe, and J. Weiss, eds., *Industrial Development and Policy in Africa,* Cheltenham, U.K.: Edward Elgar. EBRD (2009). *Transition Report 2009: Transition in crisis*?

[22] Grossman, G. and Helpman, E. (1990). Comparative advantage and long-run growth, American Economic Review, vol. 80(4), pp. 796–815.

რომელთა მესაკუთრეებს და მონაწილეებს გათავისებული აქვთ, ისე როგორც რეგიონში ასევე მთლიანად ქვეყანაში მყარი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის აუცილებლობა, ის რომ მათი ბიზნესის პროდუქციისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი ცხოვრობს განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეში. ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნეს კლიმატი იცვლება თუმცა ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა და პოტენციალი რასაკვირველია არსებობს. ის ჩვენის აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, აგროკრედიტების ხელმისაწვდომობა, წარმოების მასტიმულირებელი, მოქნილი საგადასახადო–საბაჟო სისტემის შექმნა, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს სამამულო წარმოების ზრდის საფუძველზე ექსპორტისა და იმპორტის დარეგულირებას. მსოფლიოს წამყვან ქვეყანებში სახელმწიფო ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისაკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოეშობა და შეიძლება ითქვას, არათანაბარ კონკრეტულ მდგომარეობაში აყენებს მსხვილ საწარმოებთან მიმართებაში. მაგალითად ამერიკაში სახელმწიფო კერძო საფინანსო სამსახურს აძლევს სესხის დაფარვის ნაწილის გარანტიას. კერძოდ თუ მცირე მეწარმის მიერ სესხი არ აღემატება 750 ათას ამერიკულ დოლარს, მეწარმის გადახდისუუნაროდ შექმნის შემთხვევაში, სახელმწიფო კრედიტის 75 პროცენტს ფარავს, ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება გარანტია 80 პროცენტზე გაიცემა. ანალოგიური პროგრამა მოქმედებს ბრიტანეთშიც, მცირე მეწარმისათვის სესხის აღების გამარტივების მიზნით სახელმწიფო აქაც აზღვევს სესხის 75 პროცენტს. ამასთან ბანკი კრედიტის გაცემის პირობებს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე ადგენს. გერმანიაში მცირე საწარმოების ინვესტირებისათვის სახელმწიფო უსასყიდლოდ გასცემს საუბსიდიებს, რომლის დაფარვაც შესაძლებელია 10

წლის შემდეგ. დაფარვის ვადა კი მაქსიმუმ 20 წელია. კრედიტის წლიური სარგებელი 5 პროცენტს არ აღემატება. შეღავათიანი კრედიტის ასაღებად აუცილებელია, რომ საერთო კაპიტალში კრედიტის წილი 50 პროცენტს არ აღემატებოდეს, ხოლო კრედიტის ოდენობა 1 მილიონ ევროს. საფრანგეთში, მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე 50–მდე ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორის „მცირე და საშუალო საწარმოების განვიტარების ბანკი“, რომელიც 1996 წლიდან ფუნქციონირებს. დღეისათვის ეს ბანკი სრულიად უპროცენტო სესხებს გასცემს, ხოლო 30000 ევროს ფარგლებში კი სუბსიდიები გაიცემა. ბანკს ერთის მხრივ აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო დარჩენილ ნახევარს ნახევრად სახელმწიფოებრივი დეპოზიტებისა და აქტივების მართვის სალარო თავის თავზე იღებს. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შეღავათებისა, რასაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფოები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად აკეთებენ. ჩვენთან მცირე და საშუალო ბიზნესი ასეთი სახის მხარდაჭერას მოკლებულია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის დაწყება ადმინისტრაციულად საკმაოდ გაიოლდა, რეალურად კანონმდებლობა და პრაქტიკული რეალობა დამწყებ მეწარმეს ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ პრობლემას უქმნის, რათა წარმატებულად და შედეგიანდ აკეთოს ბიზნესი. დღეისათვის საქართველოში ნებისმიერი სახის ბიზნესისათვის თანაბარი საგადასახადო პირობებია. მთლიანი საგადასახადო დატვირთვა ბიზნესისათვის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს. მსგავსი საგადასახდო კოდექსის პირობებში მცირე მეწარმეებს ძალიან ურთულდებათ დიდ ბიზნესთან თანაარსებობა და უმრავლესობა სრულიად წყვეტს ბიზნეს საქმიანობას. გამომდინარე აქიდან, ჩვენის აზრით ბიზნესის განვითარება საქართველოში გარკვეულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს უნდა დაექვემდებაროს, ამასთან ამგვარი პრიორიტეტები და პროგრამები უნდა დაარეგულირონ არა მარტო საბაზრო მექანიზმებმა, არამედ სახელმწიფომ, ხელისუფლების ცენტრალურმა და რეგიონალურმა სტრუქტურებმა ეკონომიკური, საფინანსო, საკრედი-

ტო, სამართლებრივი და ორგანიზაციული ბერკეტების მეშვეობით. სახელმწიფო პოლიტიკა ამ მხრივ უნდა იყოს პროტექციონისტული და დიფერენცირებული ბიზნესის ცალკეული დარგების, საწარმოებისა და რეგიონების მიხედვით. ბიზნესის განვითარებისა და რეგულირების პროცესში, მნიშვნელოვანია აქცენტების გადატანა რეგიონებზე, რადგანაც მცირე და საშუალო ბიზნესის ქმედითობა, ჩვენის აზრით სწორედ რეგიონებში ვლინდება და რაც მთავარია ამ პროცესების მართვა – რეგულირებაც ცხადია მნიშვნელოვნად ეფექტიანი სწორედ რეგიონების დონეზე, მთელი ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მიხედვით იქნება. რეგიონალურ დონეზე ბიზნესის განვითარების პერსპექტიული პროგრამები უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს: 1. მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტების გამოვლენა რეგიონების მიხედვიტ დარგობრივ ჭრილში; 2. რეგიონალურ დონეზე ადგილობრივი სანედელეულო რესურსების გამოყენებისათვის პერსპექტიული მეთოდებისა და მიმართულების შემუშავება; 3. საოჯახო ბიზნესისათვის ხელშემჭყობი ღონისძიებების გატარება; 4. რეგიონალურ დონეზე, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ინდივიდუალური ბიზნეს პრიორიტეტების გამოვლენა ახალი რესურსების, რეკრიაციული დაარსებული მარაგების ასათვისებლად; 5. ტურისტული ინდუსტრიის ხელშეწყობისა და ტურიზმის ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური პროგრამების დამუშავება, კერძოდ: ტურისტული, საკურორტო, სასტუმრო მეურნეობების ეფექტიანი განვითარებისათვის გაუმჯობესებული ინოვაციური მომსახურების შესაქმნელად; 6. მცირე და საშუალო ბიზნესის, ცალკეული დარგების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება რეგიონების მიხედვით. საქართველომ საერთაშორისო ბაზრისათვის მნიშვნელოვანი სტატუსი რომ შეიძინოს და აღნიშნულის რეალური პოტენციალი არაერთ დარგში არსებობს, უნდა შეიქმნას სათანადო დონის საგადასახადო გარემო, ქვეყანაში ბაზარი მთლიანად საშუამავლო ოპერაციების შემსრულებლად არ უნდა იქცეს და ეს ერთგვარად აფერხებს საქართველოში საერთაშორისო ბაზ-

რის ფორმირებას სახელმწიფოს სტრატეგიულ–გეოგრაფიული მდგომარეობით უზრუნველყოფილ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობებს. ბიზნესის განვითარების პროგრამების შემუშავება–რეალიზაციის ორგანიზაცია და რეგულირება ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განახორციელონ, როგორც ეს ხდება განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში პერიოდულად და ეტაპობრივად. სახელმწიფოებრივი მიდგომა და რეგულირება, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ჩვენის აზრით მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება ქვეყანაში ბიზნესის სწრაფი განვითარებისათვის. სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტად ბიზნეს სექტორის აღიარება და მისთვის გარანტად დადგომა ანუ ნდობის გამოცხადება და ძირითადი კაპიტალის მისკენ მომართვა უნდა აღიარებული. ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში ასევე აუცილებელია შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სასურველი ეკონომიკური გარემო სამართლებრივი გარანტით, რადგანაც თავისუფალი, კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური სტიმულია, როცა მეწარმის ინტერესებს იცავს სახელმწიფო კანონი მისი ინტერესების ყველა დონეზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით, კონკურენტუნარიანობა ეს არის ინსტიტუტების, რეგულირების (policies) და ფაქტორების კომბინაცია, რომლებიც ქვეყანაში მწარმოებლურობის დონეს განაპირობებს. მწარმოებლურობა თავის მხრივ, განსაზღვრავს ეკონომიკის კეთილდღეობის დონეს გრძელვადიან პერიოდში.

კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა რეიტინგების ავტორები და თეორეტიკოსები ამტკიცებენ (World Economic Forum (2010); World Bank (2010), Портер (2000)), რომ ბევრი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავს ფირმის კონკურენტულ პოზიციას, იმყოფება თვით ფირმის ფარგლებს გარეთ–ინსტიტუციურ გარემოში, ან ბიზნეს-კლიმატში.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნეს-გარემოში, როგორც წესი, მოიაზრება ხელსაყრელი სამეწარმეო

და საინვესტიციო კლიმატის შექმნის ფაქტორები, ინვესტორების, კრედიტორების, აქციონერების საკუთრების უფლებების დაცვა, ანტიმონოპოლიური რეგულირება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, ადმინისტრაციული პროცედურები და ა.შ. შესაბამისად, ბიზნეს-გარემოს მახასიათებლებმა შეიძლება განაპირობონ ფირმების ეფექტიანობის ზრდა, დანახარჯების შემცირება ან კონკურენტუნარიანობის ზრდის დაბრკოლება დამატებითი ტრანსაქციული დანახარჯების გამო (ინფორმაციული დანახარჯები, დროის დანახარჯები და ა.შ.). თუმცა ინსტიტუტები ქმნიან არა უხეშ კარკასს, არამედ მოქნილ ცვალებად სტრუქტურას, რომელიც იცვლება პრაქტიკული ქმედების გავლენით ან სპონტანურით, ან მიზანმიმართულით. ამგვარად, სახელმწიფოს მიზანმიმართულმა ქმედებამ, რომელიც მიართულია ბიზნეს-გარემოს რეფორმებზე, შეიძლება გამოიწვიოს ტრანსაქციული დანახარჯების შემცირება და საწარმოების და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა.

კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს-გარემოს მდგომარეობის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის მივმართოდ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებსა და ანგარიშებს (World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2009–2010), ლოზანის ბიზნეს-სკოლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრს IMD (IMD World Competitiveness Yearbook 2009), კორუფციასთან მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციას «Transparency International» (The 2009 Global Corruption Barometer Report), რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს (Transition Report 2009), მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციას («Doing Business 2010»)

2.2.2 მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია "doing business" მართვის რეიტინგი და მისი კავშირი კონკურენტუნარიანობასთან

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის **"Doing Business"** პროექტი სპეციალიზირებულია სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს-გარემოს ანალიზზე და ყოველწლიურად ამ ქვეყნებში ბიზნესის მართვის სირთულის რეიტინგს ადგენს. 2009 წელს რეიტინგში 183 ქვეყანა მონაწილეობდა. ამგვარად, რეიტინგი არის უფრო რეპრეზენტაციული მსოფლიო მასშტაბით. აქ საქართველოც არის ჩართული. კვლევა მოიცავს 2008 წლის ივნისი დან 2009 წლის ივნისის პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგი **"Doing Business 2010"** თარიღდება 2010 წლით, მისი შედეგები 2009 წელს მიეკუთვნება.

რეიტინგი **"Doing Business 2010"** შეიცავს 10 მაჩვენებელს (ცხრილი 2.1). მისი ფორმირება ხდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინების გარეშე. რეიტინგის მაჩვენებლები სცენარული პირობების საფუძველზე შემუშავდება. რეიტინგის დადგენის დროს გამოიყენება ხელისუფლების, მეცნიერების, პრაქტიკოსების და ექსპერტების გამოხმაურებები. მსოფლიო ბანკისა და სფკ-ს მეთოდოლოგიით, რეიტინგის პირველი ნაწილი, „საწარმოს რეგისტრაცია" განიხილავს ბიზნესის გახსნასთან (წამოწყებასთან) დაკავშირებულ სირთულეებს, მათ შორისაა ნებართვა, ლიცენზიების მიღება, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაცია, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების რაოდენობა, რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფინანსური და დროით დანახარჯები. მეორე ნაწილი, „მშენებლობაზე ნებართვის მიღება" განიხილავს პროცედურებს, დროით და ფინანსურ დანახარჯებს, რომლებიც საწყობის მშენებლობის, ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების, აუცილებელი

უწყებებისა და ინსპექციების შესრულებისათვის, ასევე კომუნალურ ქსელებში ჩართვისათვის არის აუცილებელი.

მესამე ნაწილში, „სამუშაო ძალის აყვანა“, განიხილება მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ბაზრის ლიბერალიზაციასთან. ყველა მაჩვენებელი ფასდება 0-დან 100-მდე სკალით, სადაც 100 გულისხმობს მაქსიმალურად უხეშ მარეგულირებელ ნორმებს. შრომის პირობების მოქნილობის ინდექსი გამოითვლება, როგორც პირველი სამი ინდექსის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა. „საკუთრების რეგისტრაციის“ განყოფილებაში განიხილება ფირმის მიერ საკუთრების უფლების განმტკიცება, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციისათვის აუცილებელი დროითი და ფინანსური დანახარჯების პროცედურების რაოდენობა.

„Doing Business 2010” რეიტინგის გამოსათვლელი მაჩვენებლები[23]

ცხრილი 2.1

1. საწარმოების რეგისტრაცია	პროცედურები (რაოდენობა), ვადა (დღეები), ღირებულება (ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს %), მინიმალური საწესდებო კაპიტალი (ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს %)
2.მშენებლობაზე თანხმობის მიღება	პროცედურები (რაოდენობა), ვადა (დღეები), ღირებულება (საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის %)
3. სამუშაო ძალის (მუშახელის) აყვანა	სამუშაოზე მიღების სირთულის ინდექსი (შეფასება 0-100), სამუშაო დროის მოქნილობის ინდექსი (შეფასება 0-100), სამუშაოდან გათავისუფლების სირთულის ინდექსი (შეფასება 0-100), შრომის პირობების მოქნილობის ინდექსი (შეფასება 0-100)
4. საკუთრების რეგისტრაცია	პროცედურები (რაოდენობა), ვადა (დღეები), ღირებულება (საკუთრების ღირებულების %)

[23]წყარო: World Bank and IFC (2010). *Doing Business – 2010*, http://doingbusiness.org

5. დაკრედიტება	კრედიტორებისა და მოვალეების იურიდიული უფლებების დაცვა (შეფასება 0-10), საკრედიტო ინფორმაციის ინდექსი (შეფასება 0-6), ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე სახელმწიფო რეესტრში (ზრდასრული ადამიანების %), ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე კერძო ბიუროში (ზრდასრული ადამიანების %)
6.ინვესტორების დაცვა	ინფორმაციის გახსნილობის ინდექსი (შეფასება 0-10), დირექტორის პასუხისმგებლობის ინდექსი (შეფასება 0-10), აქციონერების მიერ სარჩელის შეტანის შესაძლებლობის ინდექსი (შეფასება 0-10), ინვესტორების ინტერესების დაცვის ინდექსი (შეფასება 0-10)
7. დაბეგვრა	გადასახადები (რაოდენობა), დრო (საათები), მოგების გადასახადი (მოგების %), გადასახადები ხელფასზე (ხელფასის %), სხვა გადასახადები (შემოსავლების %), საერთო საგადასახადო განაკვეთი (მთლიანი შემოსავლების %)
8.საერთაშორისო ვაჭრობა	დოკუმენტები ექსპორტისათვის (რაოდენობა), ექსპორტის დრო (დღეებში), ექსპორტის ღირებულება ($ კონტეინერში), იმპორტის დოკუმენტები (რაოდენობა), იმპორტის დრო (დღეებში), იმპორტის ღირებულება ($ კონტეინერში)
9. კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფა	პროცედურები (რაოდენობა), ვადა (დღეები), სასამართლო შეფერხებები (სარჩელის ღირებულების %)
10. საწარმოს ლიკვიდაცია	დრო (წლებში), შეფერხებები (საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის %), ამოგების კოეფიციენტი.

2010 წელში მეთოდოლოგია ოდნავ შეცვლილია

დაკრედიტების განყოფილებაში ფასდება საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვომობის დონე, მევალეების და მოვალეების იურიდიული უფლებები. იურიდიული უფლებების ინდექსი წარმოადგენს 0-დან 10-მდე სკალას, სადაც მაღალი დანაყოფები მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული კანონები კრედიტის მიღების თვალსაზრისით უკეთესადაა შემუშავებული. საკრედიტო ინფორმაციის ინდექსი განსაზღვრავს კვლევის დიაპაზონს, საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სახელმწიფო რეესტრებსა და კერძო ბიუროებში მოცულობას. ინდექსი ფასდება 0-დან 6-მდე სკალით. რაც მაღალია შეფასება, მით მეტია სახელმწიფო რეესტრებსა და კერძო ბიუროებში საკრედიტო ინფორმაცია.

„ინვესტორების დაცვის" განყოფილებაში გაანალიზირებულია ინვესტორების დაცვის სამი ასპექტი: გარიგებების გამჭვირვალობა (ინფორმაციის გახსნილობის ინდექსი), აქციონერების შესაძლებლობა უჩივლონ კომპანიის დირექტორებს თანამდებობრივი დანაშაულებისათვის (აქციონერების მიერ სარჩელის შეტანის სირთულის ინდექსი) და ინვესტორების ინტერესების დაცვის დონის ინდექსი. ინდექსების გაზომვა ხდება 0-დან 10-მდე სკალით, ამასთან მაღალი მაჩვენებლები აღნიშნავს გახსნილობის მაღალ დონეს, დირექტორების დიდ პასუხისმგებლობას, აქციონერების მხრიდან, გარიგებებზე დიდ ზეგავლენას და ინვესტორების ინტერესების საუკეთესო დაცვას.

„დაბეგვრის" განყოფილება წარმოადგენს ინფორმაციას საგადასახადო ტვირთის სიმძიმის, ყველა გადასახადის გადახდის საათების რაოდენობისა და თვით გადასახადების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.

„საერთაშორისო ვაჭრობის" განყოფილებაში შეფასებულია ღირებულება და პროცედურები (მოლაპარაკებებიდან პროდუქტის მიწოდებამდე), რომლებიც აუცილებელია პროდუქტის სტანდარტული პარტიის იმპორტ/ექსპორტისათვის. „კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფის" განყოფილება იძლევა ინფორმაციას პროცედურების რაოდენობის შესახებ, რომელთა გავლაც აუცილებელია საკუთარი მოვალეო-

ბების, ოფიციალური ვადებისა და სასამართლო ღირებულებების (დანახარჯების) ფარგლებში (მათ შორის ადვოკატის ხარჯები).

ბოლო განყოფილება „საწარმოს ლიკვიდაცია" განიხილავს ბანკროტობის პროცედურებთან დაკავშირებულ დროით და ფინანსურ დანახარჯებს, მათ შორის დანახარჯებს სასამართლოში, გადასახადებს დამოუკიდებელ ექსპერტებზე, იურისტებზე, ბუღალტრებზე და სხვა. ასევე ვალის ამოღების (უკან დაბრუნების) კოეფიციენტი, გვიჩვენებს მოსარჩელეები (საგადასახადო ორგანოები, კრედიტორები, მომუშავეები) ფირმის ბანკროტობის შემთხვევაში ერთ დოლარზე რამდენ ცენტს მიიღებენ.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ გარდამავალი ქვეყნების პოზიციები "**Doing Business"**-ის რეიტინგში. მოვახდინოთ 28 გარდამავალი ქვეყნის ანალიზი, რომლებიც რეიტინგში რეგულარულად მონაწილეობენ. ცხრილში 2.2 განხილულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ბიზნესის მართვის სირთულის მიხედვით და მოცემულია მათი პოზიციები "**Doing Business 2010"-**ის საერთო რეიტინგში.

„Doing Business 2010”-ში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რეიტინგი[24]

ცხრილი 2. 2

ქვეყანა	რეიტინგი*	ქვეყანა	რეიტინგი*	ქვეყანა	რეიტინგი*
საქართველო	1 (11)	ბულგარეთი	10 (44)	ალბანეთი	19 (82)
ესტონეთი	2(24)	უნგრეთი	11 (47)	სერბეთი	20 (88)
ლიტვა	3 (26)	სლოვაკეთი	12 (53)	მოლდავეთი	21 (94)
ლატვია	4(27)	რუმინეთი	13 (55)	ხორვატია	22 (103)
მაკედონია	5 (32)	ბელორუსია	14 (58)	ბოსნია და ჰერცოგოვინა	23 (116)
აზერბაიჯანი	6 (38)	ყაზახეთი	15 (63)	რუსეთი	24 (120)
ყირგიზეთი	7 (41)	პოლონეთი	16 (72)	უკრაინა	25 (142)
სლოვაკეთი	8(42)	თურქეთი	17 (73)	უზბეკეთი	26 (150)
სასომხეთი	9 (43)	ჩეხეთი	18 (74)	ტაჯიკეთი	27 (152)

***** მინიშნებულია ქვეყნის პოზიცია საერთო რეიტინგში. ფრჩხილებში ნაჩვენებია ადგილი საერთო რეიტინგში.

„Doing Business 2010”-ის რეიტინგში გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზე აღმოჩნდა (მე-11 ადგილი საერთო რეიტინგში). ქვეყანა ბოლო წლებში აქტიურ ლიბერალურ რეფორმებს ატარებდა, მათ შორის ბიზნეს-გარემოს მიმართულებით. აგრეთვე, საწყისი პოზიციები უჭირავთ ესტონეთს, ლიტვასა და ლატვიას. ბელორუსია, გარდამავალ ქვეყნებს შორის, მე-14 პოზიციაზე იმყოფება და საერთო რეიტინგში 58-ე ადგილზეა. ეს არსებითი პროგ-

[24] *წყარო:* World Bank and IFC (2010). *Doing Business – 2010*, http://doingbusiness.org

რესია, რადგან ჯერ კიდევ ორი წლის წინ ბელორუსია რეიტინგის ბოლოს იმყოფებოდა. 2008 წელს საერთო რეიტინგში მან 30 პოზიციით, ხოლო 2009 წელს კიდევ 24 პოზიციით მაღლა გადაინაცვლა. ბოლო წლების განმავლობაში, რეფორმების მხრივ, გარდამავალ ქვეყნებს შორის – ყირგიზეთი, მაკედონია და ბელორუსია – უდიდესი პროგრესი განხორციელდა.

საქართველო, საერთო რეიტინგში, 183 ქვეყანას შორის ლიდერ-რეფორმატორების ოთხეულში შევიდა. უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, რუმინეთის და თურქეთის რეიტინგი, პირიქით, დაეცა, ეს შეიძლება მოხდეს მაღალი რეფორმატული დინამიკის ხარჯზე არახელსაყრელი გარემოს მქონე ქვეყნებში (იხ. ცხრილი 2.3).[25]

„Doing Business 2010 "-ში „Doing Business 2009"-სთან შედარებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რეიტინგის ცვლილება

ცხრილი 2.3

ქვეყანა	რეიტინგის ცვლილება	ქვეყანა	რეიტინგის ცვლილება	ქვეყანა	რეიტინგის ცვლილება
ყირგიზეთი	+39	სლოვაკეთი	+5	ესტონეთი	-2
მაკედონია	+37	უკრაინა	+4	ბულგარეთი	-2
ბელორუსია	+24	ლატვია	+3	რუსეთი	-2
მოლდავეთი	+14	ბოსნია და ჰერ-	+3	უზბეკეთი	-5

[25] *წყარო:* World Bank and IFC (2010). *Doing Business – 2010*, http://doingbusiness.org

		ცოგოვი-ნა			
ტაჯიკე-თი	+12	სერბეთი	+2	უნგრეთი	-6
სომხეთი	+7	ყაზახეთი	+1	სლოვაკე-თი	-7
ალბანე-თი	+7	აზერბაი-ჯანი	0	ჩეხეთი	-8
ხორვა-ტია	+7	პოლონე-თი	0	რუმინე-თი	-10
საქარ-თველო	+5	ლიტვა	-1	თურქეთი	-10

ბიზნეს-გარემო პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყანაში ბიზნესის კონკურენტუნარიანობასა და მშპ-ზე. როგორც ნახ. 2.1-ზე ანალიზი გვიჩვენებს, "**Doing Business 2010"** რეიტინგში ქვეყნის უფრო მაღალ პოზიციას შეესაბამება მშპ-ში კერძო სექტორის უფრო მაღალი წილი, შესაბამისად მაღალია მისი კონკურენტუნარიანობა. კერძო სექტორის წილი ესტონეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ლიტვაში, საქართველოში, ბულგარეთში მშპ-ში 80%-ს აღწევს, ბელორუსიაში კი–30%-ია. თუ ანალიზიდან ბელორუსიას გამოვრიცხავთ, მაშინ მშპ-ში კერძო სექტორის წილის ხაზობრივ დამოკიდებულებასთან მიახლოება "**Doing Business 2010"**-ის რეიტინგში 62.4%-ს შეადგენს (R Sq Linear=0,624), რაც მაღალ სტატისტიკურ დამოკიდებულებას აღნიშნავს. ეს შეიძლება მიგვანიშნებდეს, ბოლო წლებში, ბელორუსიის რეფორმების ნომინალურ ხასიათზე, ან სხვა ადმინისტრაციული შეზღუდვების მხრიდან ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის დაბრკოლებაზე, რომლებიც რეიტინგში არ არის გათვალისწინებული.

საქართველო არ ფიგურირებს ბიზნეს-გარემოს და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების განმსაზღვრელ სხვა რეიტინგებში. ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვავლინოთ, რომ, რაც უფრო მაღალია გარდამავალი ქვეყნების ბიზნესის მართვის პირობების რეიტინგი, მით მაღალია მათი

პოზიციები კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში. როგორც სტატისტიკური ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, კორელაციის კოეფიციენტები **"Doing Business 2010"**-სა და **IMD 2009** რეიტინგებს შორის (კორელაციის კოეფიციენტი 0,655) და **GCI 2009-2010**-ს შორის შეიმჩნევა ძალიან მჭიდრო კავშირი.

"Doing Business 2010"-ის რეიტინგში ესტონეთის, აზერბაიჯანის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ლიტვის, უნგრეთის მაღალ პოზიციებს შეესაბამება მაღალი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის **GCI 2009-2010** კონკურენტუნარიანობის რეიტინგში.

ანალიზმა მოგვცა სამი კომპონენტის გამოვლენის საშუალება, რომელთა კავშირიც მშპ–ში კერძო სექტორის განსაკუთრებული წონით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: დაკრედიტება (სესხები), დაბეგვრა და საერთაშორისო ვაჭრობა. ყველა კოეფიციენტს გააჩნია მოსალოდნელი ნიშანი. დაკრედიტებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური გარემოს გაუარესება (კრედიტორებისა და მსესხებლების უფლებების დაცვა, საკრედიტო ისტორიის ხელმისაწვდომობა). ინდექსის კომპონენტების ცვლილება მშპ-ში კერძო სექტორის წილის შემცირებას იწვევს. რაც უფრო მაღალია საგადასახადო ტარიფები, რაც უფრო დამამძიმებელია საგადსახადო ადმინისტრირება, კერძო სექტორში მით ნაკლები მშპ იწარმოება. ანალოგიურად, რაც უფრო ნაკლებად მძიმეა გარე ვაჭრობის რეგულირება და რაც უფრო დაბალია მასთან დაკავშირებული პროცედურების ღირებულება (დახარჯები), მით მაღალია მშპ-ში კერძო სექტორის წილი. ყველა ადმინისტრაციული ღირებულება (ხარჯი) წარმოადგენს ბიზნესის მართვის ტრანსაქციულ დანახარჯებს და მის კონკურენტუნარიანობას ამცირებს.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი, ბიზნეს-გარემოს მდგომარეობის ანალიზში მნიშვნელოვანი ცვალებადობის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ქვემოთ მოცემულია ანალოგიური რეგრესიული ანალიზის შედეგები 2008 წლის მონაცემების მიხედვით. აქ მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვალებადობის რაოდენობა მეტია. „დაკრე-

დიტების„ „დაბეგვრის” „საერთაშორისო ვაჭრობის” ინდექსის კომპონენტებს 2009 წ. ემატება „საწარმოს რეგისტრაციის” და „ინვესტორების დაცვის” ცვლადები, საკონტრაქტო ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტორები.

აღნიშნულ თავში ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ გარკვეული დასკვნები. ნათელია, რომ ტრანსფორმაციული პროცესები პოსტსაბჭოური ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარეობდა სხვდასხვა ინტენსიურობით და მათ გამოიწვიეს სხვადასხვა შედეგებიც. ზოგიერთი ქვეყანა საბაზრო ურთიერთობებზე სწრაფად გადავიდა და მათ ხელსაყრელი ბიზბეს-გარემოს შექმნით მოახდინეს კერძო სექტორის განვითარების სტიმულირება, სხვები თავშეკავებით ატარებდნენ რეფორმებს და ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის დიდი წილი შეინარჩუნეს. ინსტიტუციური ცვლილებების წინამძღვარი ქვეყნებში წარმოიქმნება გარე პირობების შეცვლით და შიდა რეკონსტრუქციით, ამასთან ახალი ინსტიტუტები ინსტიტუციონალურ სისტემაში შექმნილ დიდ წინააღმდეგობებს ხვდებიან. საქართველოს შემთხვევაში ბიზნესის მართვის პირობების რეფორმები განპირობებული იყო უფრო გარე ფაქტორებით (მსოფლიო ფინანსური კრიზისი, არახელსაყრელი გარე კონიუნქტურა, სახელმწიფოს შესაძლებლობის შემცირება არაკონკურენტუნარიანი სახელმწიფო წარმოებების მხარდაჭერა და ა.შ.), ვიდრე შიგა ფაქტორებით. როგორც საერთაშორისო რეიტინგების ანალიზი გვიჩვენებს, ბიზნეს-გარემოს ხელსაყრელობის მაჩვენებლები პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებთან, მათ მიერ მოზიდული ინვესტიციების მოცულობებთან. შედარებით უფრო წარმატებული და კონკურენტუნარიანი ქვეყნები ბიზნესის განვითარების მინიმალური ადმინისტრაციული ბარიერებით, მშპ-ში კერძო სექტორის დიდი წილით ხასიათდება. ბელორუსიაში მსოფლიო ბანკისა და სფკ–ს მიხედვით ბოლო წლებში დაფიქსირებული ბიზნესის მართვის პირობების აქტიური რეფორმების მიუხედავად, მშპ-ში კერძო სექტორის წილი 30%-ს არ აღემატება. ეს შეიძლება მოწმობდეს როგორც რეფორ-

მების ნომინალურ ხასიათზე, ასევე რეიტინგის მეთოდოლოგიის ხარვეზებზე.

საქართველოში ბოლო წლებში ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გარკვეული რეფორმები ტარდება. ისინი ეხება უფრო პრობლემურ სფეროებს–დაბეგვრა, ლიცენზირება, ფასწარმოქმნა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ გატარებული რეფორმები ქვეყანაში ბიზნესის რეგულირების სისტემას არსებითად არ ცვლის, ისინი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას განაპირობებს. თუ ქვეყანაში გაგრძელდება ბიზნეს-გარემოს ლიბერალიზაციის კურსი, საქართველო შეძლებს შეძლებს მსოფლიო სასაქონლო და უცხოური ინვესტიციების ბაზრებზე საკუთარი კონკურენტული პოზიციების გაუმჯობესებას.

თავი III
საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიაობა, მისი ეკონომიკის მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებში ჩართულობის დონე სახელმწიფოს საერთო კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ხშირად გამოყენებად ინდიკატორს წარმოადგენს. თავის მხრივ საგარეო ვაჭრობა ტრადიციულად მიეკუთვნება მყარი ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. 2010 წელს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობებმა 1 575,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მშპ-სთან მიმართებაში (20 791,3 მლნ. ლარი) 5%-ია, იმავე პერიოდში იმპორტის 5156,3 მლნ. ლარი შეფარდებამ მშპ-სთან 20 % შეადგინა. 2009 წელს ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, შეინიშნებოდა მოცემული მაჩვენებლების შემცირება (ექსპორტი/მშპ შეადგენდა 8,9 %-ს, ხოლო იმპორტი/მშპ 25 %-ს), რომელიც გამოწვეული იყო როგორც საშუალო ფასების შემცირებით, ასევე გარესავაჭრო ნაკადების ფიზიკური მოცულობებით. ამავდროულად, გახსნილობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკას ხდის მსოფლიო ბაზრებზე მომხდარ ცვლილებებზე დამოკიდებულს, ამიტომ, ქვეყნებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი პოლიტიკის ფორმირება, რომელიც მიმართულია შიდა და გარე ბაზრებზე ეროვნული მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. რადგან, კონკურენცია ყოველთვის გულისხმობს შედარებას, უპირველეს ყოვლისა საუბარია მაღალხარისხიანი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობაზე. შედარებითი უპირატესობები არ არის სტატიკური მაჩვენებელი: ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში სუსტდება და შეიძლება გაიხარჯოს, ხოლო სხვები კი შეიძლება იქნეს მოპოვებული. ნებისმიერი ქვეყნისათვის ძალზედ აქტუალურია შედარებითი უპირატესობების ცვლილებების დინამიკის ანალიზი, რაც განვითარების განსაზღვრული სტრატეგი-

ის შემუშავების საშუალებას იძლევა. მოცემული თავის მიზანია საქართველოს კონკურენტუნარიანობის შეფასება საგარეო ვაჭრობაში, მისი შედარებითი უპირატესობების ანალიზი დინამიკაში და იმის განსაზღვრა, განაპირობებს თუ არა ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა შედარებითი უპირატესობების ახალი მოდელის ფორმირებას, რომელიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება.

3.1 საქართველოს კონკურენტუნარიანობის შეფასება საგარეო ვაჭრობაში

2009 წელს ყველაზე მეტად შემცირდა ვაჭრობის, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების, სასტუმროებისა და რესტორნების დარგები. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება შემცირდა: ვაჭრობაში 16.3%–ით, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგში 13.0%–ით, სასტუმროების და რესტორნების დარგში 4.4%–ით. ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საფინანსო საქმიანობის და სახელმწიფო მმართველობის დარგებში. ჯანმრთელობის დაცვაში შექმნილი დამატებული ღირებულება 8.7%–ით, განათლებაში 4.7%–ით, საფინანსო საქმიანობაში 1.5%–ით და სახელმწიფო მმართველობაში კი 1.2%–ით გაიზარდა.

2010 წლის სამ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6.5%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 14.7 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგებმა შეიტანეს. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 4.0%-ით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 61.5%-ს შეადგენს.

2010 წლის იანვარ-სექტემბერში, 2009 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის, ტრანსპორტის, კო-

მუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების, სასტუმროების და რესტორნების და ვაჭრობის დარგებში. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა: მრეწველობაში – 14.9%-ით, ტრანსპორტში – 14.9%-ით, კომუნალური, სოციალური და პერსონალურ მომსახურებაში – 13.0%-ით, სასტუმროების და რესტორნების დარგში – 12.3%-ით და ვაჭრობაში – 11.8.%-ით.

საქართველოს მთავრობის მონაცემებით, 2011 წელს მოსალოდნელია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6.3 პროცენტიანი ზრდა, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 20.6 მლრდ ლარს გადააჭარბებს. პროგნოზული გათვლებით, საშუალოვადიან პერიოდში (2011-2014 წლები) მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 5.9 პროცენტის ფარგლებში იქნება.



დიაგრამა 3.1 ნომინალური მშპ-ს დინამიკა[26]

[26] საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი). თბილისი. 2011

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5 500 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 29.5 პროცენტით ჩამორჩება. სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი 1 131 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (შემცირდა 24.4%-ით), ხოლო იმპორტი – 4 369 მლნ აშშ დოლარს (შემცირდა 30.7%-ით).

2009 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 18.4 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე 9.9 პროცენტით აზერბაიჯანია, მომდევნო ადგილებს იკავებენ უკრაინა (9.1 პროცენტი) და გერმანია (5.9 პროცენტი).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მთლიანი ექსპორტის 20.0% მოდის. მეორე ადგილზე 14.7%–ით აზერბაიჯანია, მესამეზე კანადა 10.4%–ით, მეოთხეზე სომხეთი 7.9%–ით, ხოლო მეხუთეზე უკრაინა 7.4%–ით.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 18.0%–ია. მეორე ადგილი 9.6%–ით უკრაინას, მესამე კი 8.6 %–ით აზერბაიჯანს უჭირავს.

2009 წელს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 11.5 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან ნახევრადდამუშავებული ოქრო (10.3 პროცენტი), მსუბუქი ავტომობილები (6.9 პროცენტი), თხილი და სხვა კაკალი (6.2 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 12.7%–ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ნაწილი შემდგომში გადის ექსპორტზე (5.8%), სამკურნალო საშუალებები (4.0%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.5%).

2010 წელს, საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21%-ით გაიზარდა და ნომი-

ნალურ გამოხატულებაში 6678 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, საქონლის ექსპორტმა 40%-ით, ხოლო საქონლის იმპორტმა 17%-ით მოიმატა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი მთლიანი საქონელბრუნვის 16.5%-ს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.6%), უკრაინა (9.9%) და ა.შ.

ექსპორტში 15.4%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე თურქეთი 13.6%-ით. იმპორტში პირველი ადგილი 17.4%-ით თურქეთს უჭირავს, შემდეგ ადგილზეა უკრაინა 11.0%-ით.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია მთლიან ექსპორტში 16.7%-იანი წილით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები (14.4%), შავი ლითონების ჯართი (6.9%), ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული (5.4%), აზოტოვანი სასუქები (4.6%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია მთლიან იმპორტში 13.6% წილით. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები (6.1%), სამკურნალო საშუალებები (3.7%), ხორბალი (3.4%) და ა.შ

1999 წელს დაიწყო საქართველოს სავაჭრო ბალანსის ერთგვარად გაუმჯობესება - ექსპორტი გაიზარდა და იმპორტი შემცირდა. ექსპორტის ხვედრითმა წილმა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28,9% შეადგინა, მშპ-ში კი - 8,5 %. მაგრამ აღსანიშნავია, რომ: ექსპორტის ზრდას ამ დროს არ ჰქონდა წარმოებრივ-ტექნოლოგიური საფუძველი, რაც ხელს უშლიდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) საქართველოს გაწევრიანებით წარმოშობილი შესაძლებლობების რეალიზებას: მცირე იყო უცხოური ინვესტიციების შემოსვლის მასშტაბები, უკიდურესად გამწვავდა საგარეო ვალის პრობლემა, რადგანაც კიდევ უფრო გართულდა მისი მომსახურება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

საგარეო ვალის მომსახურების დიდი მოცულობის გამო საქართველო 1998 წლიდან შეძლებისდაგვარად არიდებ-

და თავის დავალიანების სრულად დაფარვას, რადგანაც ამ შემთხვევაში ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მართალია, მთავრობა მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოებში აღწევდა რესტრუქტურიზებას, მაგრამ ეს არ იყო პრობლემის საბოლოოდ მოგვარება. იგი მხოლოდ ქვეყნის განვითარების, უპირველეს ყოვლისა, მისი ექსპორტი შემოსავლების მკვეთრად გადიდების გზით შეიძლება მოგვარებულიყო.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა ჩაერთო მსოფლიო მეურნეობაში, მაგრამ ძალიან სუსტად, რადგანაც იგი ამ მეურნეობის აქტიურ სუბიექტად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები 2005-2010 წლებში წარმოდგენილია ცხრილში 3.1[27]

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (2005-2010)

ცხრილი 3.1

	2005	2006	2007	2008	2009	2010
საგარეო სავაჭრო ბრუნვა, მლნ, აშშ დოლარი	3 353.0	4 611.2	6 444.3	7 796.9	5 513	6 678.5
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB), მლნ, აშშ დოლარი	865.5	936.4	1 232.1	1 495.3	1 135	1 583.4
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF), მლნ, აშშ დოლარი	2 487.5	3 674.8	5 212.2	6 301.5	4 378	5 095.1
საგარეო ვაჭრობის სალდო, მლნ, აშშ დოლარი	-1 622.1	-2 738.5	-3 980.0	-4 806.2	-3 243	-3511.7

[27] www.geostat.ge

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკურ ინფორმაციას თუ გადავხედავთ, მთავარი დასკვნები შემდეგინაირია: 2009 წელს, წინა წლებთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა, დაახლოებით, მესამედით შემცირდა, შესაბამისად – შემცირდა ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის 2/3-მდე კვლავ ათ ქვეყანაზე მოდიოდა, რომელთა შორის წამყვან პოზიციებს კვლავ თურქეთი და დსთ-ს ქვეყნები ინარჩუნებდნენ, თუმცა საქართველოსთან ვაჭრობაში ჩართული სახელმწიფოების წრე თანდათან ფართოვდება. მაგალითად, საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებელი საერთო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 30%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ეს მონაცემები მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკას ეყრდნობა და არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემები მასში არ შესულა.

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 5 513 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 29,3 %თ ნაკლები იყო. აქედან ექსპორტი 135,0 მლნ. აშშ დოლარია (შესაბამისად 24,1%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 4 378,3 მლნ. აშშ დოლარი (30,6 %-ით ნაკლები). 2009 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსმა 3 243,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (შესაბამისად 32,5 %-ით ნაკლები).

2009 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 101 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 3 434,7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, ნაცვლად 109 ქვეყნისა და 5 036,0 მლნ. აშშ დოლარისა, რაც 2008 წელს დაფიქსირდა.

2009 წელს ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 30 ქვეყანასთან (191,3 მლნ. აშშ დოლარი), ნაცვლად 21 ქვეყნისა და 227,5 მლნ. აშშ დოლარისა, რაც 2008 წელს დაფიქსირდა.

2009 წელს საქართველოს 1 მლნ. აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 12 ქვეყანასთან: კანადა

(103,1 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (47,5 მლნ. აშშ დოლარი), ერაყი (10,5 მლნ. აშშ დოლარი), საუდის არაბეთი (9,1 მლნ. აშშ დოლარი), ლიბანი (3,7 მლნ. აშშ დოლარი), ალბანეთი (3,1 მლნ. აშშ დოლარი), ანგოლა (3,1 მლნ. აშშ დოლარი), უზბეკეთი (2,3 მლნ. აშშ დოლარი), ბურკინაფასო (1,9 მლნ. აშშ დოლარი), ყირგიზეთი (1,5 მლნ. აშშ დოლარი), ეგვიპტე (1,2 მლნ. აშშ დოლარი) და ტაჯიკეთი (1,1 მლნ. აშშ დოლარი).

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 1 546,9 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 26,0%-ით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 237,6 მლნ. აშშ დოლარი (29,1%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი – 1 309,2 მლნ. აშშ დოლარი (25,5%-ით ნაკლები). ამ ქვეყნების წილად მოდიოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვის 28,1%, მათ შორის ექსპორტის 20,9% და იმპორტის 29,9%. (2008 წელს - შესაბამისად 26,8 - 22,4 და 27,9%). ამ ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 33,0% (2008 წელს - 29,6 %).

დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წელს 1 677,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა (2008 წელთან შედარებით 34,0% ნაკლები), აქედან ექსპორტი 416,2 მლნ. აშშ დოლარია (23,0% ნაკლები), ხოლო იმპორტი - 1 255,1 მლნ. აშშ დოლარი (37,0% ნაკლები). ამ ქვეყნების წილად საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 30,4% მოდიოდა, მათ შორის ექსპორტის 36,7% და იმპორტის 28,8% (2008 წელს - შესაბამისად 32,6 - 36,2 და 31,7%). ამ ქვეყნებზე სავაჭრო დეფიციტის 26,0 % (2008 წელს - 30,4%) მოდის.

2009 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66,3% შეადგენდა. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არიან დსთ-ს სამი ქვეყანა და მათზე მოდიოდა მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 24,6%, 2008 წელს კი დაფიქსირდა შესაბამისად სამი ქვეყანა და 26,4%.

2009 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით თურქეთი კვლავ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიო-

რი ქვეყანა იყო. მეორე და მესამე ადგილებს კი აზერბაიჯანი და უკრაინა იყოფდნენ.

2009 წელს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია - 555,3 მლნ. აშშ დოლარით, რომლის წილი იმპორტში 12,7% შეადგენდა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 254,7 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 5,8% იყო. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია სამკურნალო საშუალებების ჯგუფის იმპორტი 14,7 მლნ. აშშ დოლარით და 175,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა.

2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 6 678 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 1 583 მლნ. აშშ დოლარი იყო (40% მეტი), ხოლო იმპორტი - 5 095 მლნ. აშშ დოლარი (17% მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წელს 3 512 მლნ. აშშ დოლარი (9% მეტი) შეადგინა.

საერთო ჯამური ბრუნვით 2008 წლის მაჩვენებელს (7,8 მლრდ დოლარი) ჯერ ვერ მივუახლოვდით, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან პირველად დაფიქსირდა ექსპორტის მოცულობის რეკორდული მაჩვენებელი (1,6 მლრდ დოლარი). 2008 წელს ექსპორტი სულ 1,5 მლრდ დოლარი იყო. რასაკვირველია, ეს ნიშნავს იმას, რომ ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ქვეყნიდან კაპიტალის გადინებასა და შემოდინებას შორის სხვაობა მცირდება.

მართალია, საერთო ჯამური ბრუნვით ჯერ ვერ მივუახლოვდით 2008 წლის მაჩვენებელს –7,8 მლრდ. ლარს, სამაგიეროდ დაფიქსირდა ექსპორტის მოცულობის რეკორდული მაჩვენებელი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. 2008 წელს ექსპორტი სულ იყო 1,5 მლრდ., ლარი.

2010 წელს 2008 წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა და იმპორტი შესაბამისად 14%-ით და 19%-ით შემცირდა, ექსპორტი 6%-ით გაიზარდა. 2009 წელთან შედარებით ფიქსირდება შესაბამისად სამივე მაჩვენებლის

21, 17 და 40%-ით ზრდა.

2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 736 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13% მეტია; აქედან ექსპორტი 297 მლნ. აშშ დოლარი იყო (25% მეტი), ხოლო იმპორტი – 1 439 მლნ. აშშ დოლარი (10% მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 19% და იმპორტში 28%. (2009 წელს – შესაბამისად 28, 21 და 30%). ევროკავშირის ქვეყნებზე სავაჭრო დეფიციტის 33% მოდიოდა (2009 წელს ასევე – 33%).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2010 წელს 2195 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2009 წელთან შედარებით 31% მეტი), აქედან ექსპორტი 644 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა (55% მეტი), ხოლო იმპორტი – 1 551 მლნ. აშშ დოლარი (24% მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილი 33% იყო, მათ შორის ექსპორტში 41% და იმპორტში 30%. (2009 წელს – შესაბამისად 30, 37 და 29%). დსთ-ის ქვეყნებზე სავაჭრო დეფიციტის 26% მოდიოდა (2009 წელს ასევე – 26%).

2010 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის იყო თურქეთი (1 105 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (708 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (662 მლნ. აშშ დოლარი).

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ ფეროშენადნობებმა დაიკავა და 264 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის 17%-ია. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 227 მლნ. აშშ დოლარი, შესაბამისად, ექსპორტის 14% შეადგინა, მესამე ადგილზე კვლავ შავი ლითონების ჯართი დარჩა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი 46 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 109 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (იხ. დიამრამა 3.2).



დიამგრამა 3.2 2010 წელს ექსპორტირებული ხუთი უმსხვილესი პროდუქტი[28]



დიაგრამა 3.3 2010 წელს იმპორტირებული ხუთი უმსხვილესი პროდუქტი

[28] www.geostat.ge

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2010 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 695 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 14% შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 310 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6% იყო. მესამე ადგილზე სამკურნალო საშუალებების ჯგუფის იმპორტი დარჩა 188 მლნ. აშშ დოლარით, რომლის წილმა იმპორტში 4% შეადგინა (იხ. დიაგრამა 3.3).

ექსპორტში, 2010 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა აზერბაიჯანია. ექსპორტის მოცულობა ამ ქვეყანასთან 243,99 მლნ. დოლარია, ანუ მთლიანი ექსპორტის 15,4%. მეორე ადგილზეა თურქეთი, ამ ქვეყანასთან ექსპორტის მოცულობა 2009 წელთან შედარებით 9, 719 მლნ.აშშ დოლარით, ანუ 19,9%-იდან 13,6%-მდე შემცირდა. მესამე ადგილზეა აშშ, რომელთანაც ექსპორტის მოცუ-ლობა 143,6 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 3,3%-იდან 11,4 %-მდე გაიზარდა.

იმპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს თურქეთი. ამ ქვეყანასთან იმპორტის მოცულობა 888, 6 მლნ. აშშ დოლარია, ანუ მთლიანი იმპორტის 17,4%. მეორე ადგილზეა უკრაინა შესაბამისად 558,9 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 11,0%. მესამე ადგილზე კი აზერბაჯანია, შესაბამისად 464,1 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 9,1 % (იხ. დიამგრამა 3.4 „ა”).



„ა"



„ბ"

დიამრამა 3.5 „ა" და „ბ" -საქონლის ექსპორტი და იმპორტი 2007-2010 წწ.[29]

[29] www.geostat.ge

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი (2009-2010)[30]

ცხრილი 3.2

	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი, მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2009 წელს	101	**3 423,8**
2010 წელს	106	**3 746,1**
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2009 წელს	30	**191,3**
2010 წელს	32	**234,4**
სულ		
2009 წელს	131	**-3 232,5**

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარებისთვის და სავაჭრო სტრუქტურული გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულარული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დაძლევისათვის საჭიროა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა, რისთვისაც უნდა მოხდეს ტექნიკური რეგულირების სფეროს განვითარება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან დაახლოვების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა;
2. უცხოური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის პრეს-ტურების მოწყობა;

[30] იქვე

3. საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
4. სტანდარტების რეესტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფა, გამზომი საშუალების დამოწმების აღიარება და აკრედიტაციის სამუშაოების განხორციელება.

3. 2 ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ხშირად გამოყენებად ინდიკატორს მისი გარე ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, ექსპორტის დინამიკა და სტრუქტურა, გარე ბაზრებზე მის პროდუქტზე მოთხოვნილება, მსოფლიო სავაჭრო სისტემაში ინტეგრირების დონე წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ყოველივე ამაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მიერ გატარებული საგარეო სავაჭრო და სამეწარმეო პოლიტიკა, ასევე ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების მხარდამჭერი ღონისძიებები. ექსპორტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები შეიძლება წარმოვადგინოთ სამი მსხვილი ბლოკის სახით.

1. **სტიმულების შექმნა** (სავაჭრო, საგადასახადო პოლიტიკა და სავალუტო კურსის პოლიტიკა). ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ რესურსები - წარმოების ძირითადი ფაქტორები და ტექნოლოგიები – მიმართული იქნება უფრო მწარმოებლურ სექტორებსა და ასევე, უფრო ეფექტიან საწარმოებში, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენტუნარიანნი იყვნენ გრძელვადიან პერიოდში. ამისათვის აუცილებელია ანალიზის ჩატარება და დაკვირვება, თუ როგორ მოქმედებს სავაჭრო, საგადასახადო, სავალუტო კურსის პოლიტიკა, შრომის ბაზარი, ბიზნეს გარემო ინვესტიციების, პროდუქტისა და მომსა-

ხურების წარმოების, სავაჭრო სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაზე. საყურადღებოა ისიც, რომ ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ექსპორტ/იმპორტის მონოპოლია (მაგალითად, სპეციალური ექსპორტიორების/იმპორტიორების ინსტიტუტი), მაღალი ტარიფები იმპორტზე, სავალუტო კურსის ამაღლება, და სხვა ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებაზე ზემოქმედებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია საკმაოდ ლიბერალური გარე სავაჭრო (სატარიფო) რეჟიმი აქვს, თუმცა „საერთაშორისო ვაჭრობის" კრიტერიუმის მიხედვით ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ბანკის „Doing business"-ის რეიტინგში დაბალი პოზიცია უჭირავს. ამგვარად, მთლიანობაში ინსტიტუციური გარემო არ არის ხელსაყრელი გარეეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც აუცილებლად აისახება ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე.

2. ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორია გლობალურ წარმოებით ჯაჭვში საწარმოების მონაწილეობის დონე. გლობალიზაციის შედეგად წარმოებით სისტემაში ფინასურ ბაზრებზე არსებული ცვლილებები, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გლობალურ მწარმოებლებთან და Gereffi-ის (1994) გამყიდველებთან ურთიერთქმედებას, რის გარეშეც სულ უფრო რთულდება საეთაშორისო ბაზრებზე მოხვედრა. გლობალური წარმოების ჯაჭვში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების მიღების, ახალი სტანდარტებისა და ხარისხის მოთხოვნების გამოყენების თვალსაზრისით.

3. **გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის მონაწილეობის დონისა და ხასიათის შეფასება, თუ რამდენადაა დაკავშირებული მისი წარმოება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან.** იგი იძლევა ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის გამოთვლის საშუალებას. ინდექსი გამოითვლება როგორც ოთხი მაჩვე-

ნებლის საშუალო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - პუი) პროცენტებში მთლიან შიდა ინვესტიციებთან, ბოლო სამი წლის განმავლობაში. კერძოდ, პუი-ს დაგროვება პროცენტებში მშპ-სთან, მშპ-ში უცხოური კომპანიების ფილიალების ახლადშექმნილი ღირებულების წილი და უცხოური კომპანიების ფილიალების წილი საერთო სიმჭიდროვეში. როგორც მოცემული ინდექსი გვიჩვენებს, საქართველო არის ნაკლებად ტრანსნაციონალიზირებული ქვეყანა რეგიონში. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ქვეყანაში სამის ტოლია, რაც ოთხჯერ ნაკლებია ვიდრე რუსეთში, ექვსჯერ ნაკლები ვიდრე მოლდავეთში და 7,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე უკრაინაში.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობა არ შეიძლება არ ასოცირდებოდეს იმასთან, თუ რამდენად მწარმოებლურია ქვეყნის მეწარმეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთეული პროდუქტის წარმოებაზე დაბალი საშუალო დანახარჯების არსებობით სხვა ქვეყნებთან შედარებით. თუმცა ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ კონკურენტუნარიანობის დაკარგვაზე, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით, ძირითად საექსპორტო ბაზრებზე საკუთარ წილს კარგავს.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების გამოთვლების თანახმად, საქართველოში ყველაზე არაკონკურენტუნარიანია პროდუქტები, რომლებიც მიეკუთვნება ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, რომელთა კუთრი ღირებულებაც 3,5-ჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. ამასთან ერთად, ექსპორტირებული პროდუქტის საკმაოდ დიდი რაოდენობის მიხედვით ერთეული პროდუქტის კუთრი ღირებულება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე დაბალია (ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ელექტრონული და არაელექტრონული მოწყობილობა, ტრანსპორტი, სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტი). უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი პარამეტრი, როგორიც ხარისხია, კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია.

3. 3 ექსპორტის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები

3.3.1 ვაჭრობის ფუნქციონირების ინდექსი

ექსპორტის (საგარეო ვაჭრობის) კონკურენტუნარიანობის რაოდენობრივი შეფასებისათვის სხვადასხვა მიდგომა და მეთოდიკა გამოიყენება. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ატარებს მონიტორინგს და ახდენს ექსპორტის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ყოველწლიურ შეფასებას, ასევე ითვლის ქვეყნის რანჟირებით მათი ვაჭრობის განვითარების მიხედვით ვაჭრობის ფუნქციონირების ინდექსს 187 ქვეყნისათვის და 14 საექსპორტო სექტორისათვის. ვფი (ვაჭრობის ფუნქციონირების ინდექსი) ითვალისწინებს ორი ათეული მაჩვენებლის გამოთვლას, რომლებიც ასახავს ყოველი სექტორის კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის დონეს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე იძლევა ქვეყნის და სექტორის ადგილის ინტეგრირებულ შეფასებას, რაც ხდება ხუთი კრიტერიუმის საფუძველზე: წმინდა ექსპორტის მოცულობა, ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე, მსოფლიო საბაზრო წილი, სასაქონლო და გეოგრაფიული დივერსიფიკაცია. ყველა გამოთვლა ხორციელდება COMTRADE (OOH)-ს მონაცემების საფუძველზე ჰორმონიზებული სისტემის (HS) ექვსი ნიშნის დონეზე, შემდეგ შედეგები წარმოდგენილია 14 აგრეგირებული საექსპორტო სექტორის დონეზე როგორც მნიშვნელობის სახით, ასევე ადგილის სახით, რომელიც მოცემულ ქვეყანას სხვა ქვეყნებს შორის უჭირავს.

კონკურენტუნარიანობის და მეწარმეობის განვითარების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორია პროდუქტის დივერსიფიკაცია. რაც უფრო მაღალია მოცემული მაჩვენებელი, მით ნაკლებად ემუქრება ქვეყანას საგარეო შოკი. პროდუქტის დივერსიფიკაციის შეფასებისათვის ორი მაჩვენებელია გამოყენებული: ექსპორტირებული პროდუქტის ექვივალენტური რიცხვი (რაც უფრო მეტია მოცემული მნიშვნელობა, მით მაღალია ექსპორტის დივერსიფიკაცია); და სპრე-

დი -ს ინდექსი, რომელიც მოცემულ სტატისტიკურ რიგში ზომავს დისპერსიას ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მნიშვნელობებს შორის და მიღებულ შედეგს ადარებს საშუალო მნიშვნელობასთან: რაც უფრო მაღალია ინდექსი, მით მაღალია დივერსიფიკაცია.

ქვეყნის მსოფლიო საბაზრო წილის ცვლილება, დროის განმავლობაში, მის ზრდას ან შემცირებას გვიჩვენებს. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შეფასების თანახმად, იგი მცირდება თოთხმეტ ანალიზიებულ პრდოდუქტთა ჯგუფიდან ხუთით: ტანსაცმელი, ტექსტილი, და საბითუმო ელექტრონიკა, ხის ნაკეთობები, ტყავის ნაკეთობები, ანუ უპირატესად შრომატევადი პროდუქტებით.

კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ასევე ადაპტაციური ეფექტი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს, მიესადაგება თუ არა ექსპორტი მსოფლიო მოთხოვნის ცვლილებებს. მოცემული ეფექტი დადებითია, თუ ქვეყანა ზრდად ბაზრებზე თავის არსებობას (წილს) აფართოებს. საქართველოსათვის მსოფლიო მოთხოვნის ცვლილებებთან ექსპორტის ადაპტაცია ხდება მხოლოდ გადამუშავებული პროდუქტების და ხის ნაწარმის მიხედვით, ხოლო დანარჩენი 12 სასაქონლო ჯგუფის მიხედვით შეიმჩნევა უარყოფითი ეფექტები, რაც ძალზედ საგანგაშო ტენდენციაა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს კონკურენტუნარიანობის დაკარგვაზე. კონკურენტუნარიანობის კიდევ ერთი მაჩვენებელია ქვეყნის შესაძლებლობა, მიესადაგოს მსოფლიო მოთხოვნას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ, საანალიზო სექტორების უმრავლესობით ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო საშუალო დონეზე დაბალია.

3.3.2 გამოვლენილი შედარებითი უპირატესობების კოეფიციენტები

მსოფლიო ვაჭრობაში ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობით შეფასებისათვის რამდენიმე საშუალება არსებობს. ამავდროულად, ინდექსის შესაბამისი მეთოდების განსხვავებულობის გამო, მეთოდების ათვისება ამა თუ იმ ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ერთმნიშვნელოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა.

ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაჩვენებელია ბალაშას (Balassa)[31] ინდექსი. იგი იკვლევდა პროდუქტის ექსპორტის სტრუქტურას, იმ ვარაუდით, რომ უკეთეს დონეზე ასახავდა ქვეყნის შედარებით უპირატესობებს. მან შემოგვთავაზა ფორმულა, რომლის თანახმად ქვეყანა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც განსაზღვრული პროდუქტის ექსპორტზე სპეციალიზირებული, თუ ამ პროდუქტის საბაზრო წილი უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი, ან თუ პროდუქტის წილი ექსპორტში უფრო მაღალია, ვიდრე მისი წილი რეგიონის შესაბამის ქვეყნის ექსპორტში:

$$RCA_{i,j} = (x_{ij} / X_i)/(x_{aj} / X_a) \quad \text{ან}$$

$$RCA_{ij} = \frac{(x_{ij} / X_i)}{(x_{aj} / X_a)}, \quad (3.1)$$

სადაც RCA_{ij} - არის გამოვლენილი შედარებითი უპირატესობების კოეფიციენტი; x_{ij} - j პროდუქტის ექსპორტი i ქვეყნიდან; X_i-საერთო ექსპორტი i ქვეყნიდან; x_{aj}-j პროდუქტის საერთო ექსპორტი a რეგიონიდან; X_a-a რეგიონი-

[31] Balassa, B. (1977), *'Revealed' Comparative Advantage Revisited*, The Manchester School, 45.

დან საერთო ექსპორტი. ამ ფორმულამ მიიღო გამოვლენილი შედარებითი უპირატესობების სახელწოდება (RCA). ამ ინდექსის თანახმად ხდება ქვეყნის მიერ შედარებითი უპირატესობების დემონსტრირება პროდუქტით ვაჭრობაში, რომლის მაჩვენებელიც 1-ზე მაღალია. ეს ნიშნავს, რომ პროდუქტის ექსპორტი უფრო მაღალია, ვიდრე მოსალოდნელი იყო მოცემული რეგიონის ექსპორტის საერთო მოცულობაში მისი მოთხოვნილების შესახებ მონაცემების საფუძველზე. დღესდღეობით ბალაშას[32] ინდექსი ყველაზე გავრცელებული მეთოდია შედარებითი უპირატესობების გამოსათვლელად, რის საფუძველზეც მოგვიანებით შემუშავდა ახალი, თანამედროვე ეკონომიკური რეალობის შესაბამისი ინდექსები.

რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა ე.წ. „ალტერნატიული RCA", რომელიც მხოლოდ შიდასაქვეყნო სავაჭრო საქმიანობის დასახასიათებლად იყო განკუთვნილი.

RCA-ს მეთოდი, ამა თუ იმ პროდუქტის ექსპორტის და იმპორტის ერთდროულად გაზომვის შესაძლებლობას იძლევა:

$$RCA_a = (X_{ij} - M_{ij})/(X_{ij} + M_{ij}), \quad (3.2)$$

სადაც, RCA_a – a ქვეყნის შედარებითი უპირატესობების კოეფიციენტია; X_{ij} - j პროდუქტის ექსპორტი i ქვეყნიდან; M_{ij} - j პროდუქტის იმპორტი i ქვეყნიდან. ბალაშას ინდექსის საფუძველზე, ფოლრატმა 1991 წელს შემოგვთავაზა RCA-ს გამოთვლის კიდევ სამი ხერხი, რის საფუძველზეც შემდეგი მაჩვენებლები მიიღო: კუთრითი უპირატესობები ვაჭრობაში (RTA), კუთრითი უპირატესობების ექსპორტის ლოგარითმი (RXA), კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი (RC).

---

[32] Balassa, B. (1989). *Comparative Advantage, Trade Policy and Economic Development*, Harvester Wheatsheaf, New York.

ფოლრატის თანახმად, ბოლო ორი მაჩვენებელი რეგიონის მიხედვით (დონეზე) გამოითვლება. ამ სამი მაჩვენებლის დადებითი მნიშვნელობები საშუალებას იძლევა ქვეყანაში შედარებითი უპირატესობები გამოვავლინოთ, მაშინ როცა უარყოფითი მაჩვენებლები მიუთითებს შედარებით ნაკლოვანებებზე (დაბალ კონკურენტუნარიანობაზე).

თუმცა, არსებობს აღნიშნული მეთოდების გამოყენების პრობლემა, რადგან ვაჭრობის სტრუქტურის მაჩვენებლებზე ზემოქმედებს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ამგვარად, საიმპორტო შეზღუდვებს, საექსპორტო სუბსიდიებსა და ხელისუფლების პროტექციონისტული პოლიტიკის სხვა სახეებს განსაზღვრულ დონეზე შეუძლიათ RCA ინდექსების შერყევა.

ამასთან დაკავშირებით, ეკონომისტები ცდილობენ მმართველობაში დამატებითი ცვლილებები შეიტანონ, რათა მოახდინონ სახელმწიფო ჩარევის ასეთი სახის შედეგების ნიველირება. ფერტო და ჰაბარდი (2003) გამოთვლებში ОЭСР-ს მიხედვით გამოთვლილ, ე.წ. დახმარების ნომინლურ კოეფიციენტს (NAC) იყენებდნენ, შესაძლო შერყევების შედეგების ფილტრაციისათვის. გრიუე და მილნერი (1993) გვირჩევენ ფასებზე დაფუძნებული RCA სიდიდის გამოყენებას, რომელსაც უწოდეს „არაცხადი გამოვლენილი შედარებითი უპირატესობები ($IRCA$)", რათა თავიდან აიცილონ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შედეგად მიღებული რყევები. ამგვარად, დღესდღეობით ბევრი მეთოდი არსებობს შედარებითი უპირატესობების ინდექსის გამოსათვლელად. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამდენიმე ალტერნატიული RCA ინდექსის ერთდროულად გამოყენებისას, შეიძლება წარმოიქმნას გარკვეული წინააღმდეგობრივი შედეგები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველაზე ცნობილი ბალაშას და ფოლარტის მეთოდებიც კი ეფუძნება სხვადასხვა კონცეფციას და შედეგად, არ შეიძლება იყოს ბოლომდე შეთანხმებული (შეხამებული) წყვილი. უფრო მეტიც, RCA ინდექსების შედეგების სტაბილურობა უკვე ეჭვქვეშ იყო (იე-

იტსი 1985) ხინლუპენი და ვან მარევიკი - (2001), ამიტომაც მათი გამოყენებისას საჭიროა გარკვეული სიფრთხილე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ანალიზის დროს, ჩვენს მიერ გამოყენებული იყო გამოვლენილი შედარებითი უპირატესობების კლასიკური ინდექსები, რომლებიც გარე ბაზრებზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობას ახასიათებდა. ისეთ შემთხვევაში, როცა ინდექსების გამოთვლა კონკრეტული ბაზრებისათვის ხდებოდა, ისინი „ექსპორტის სპეციალიზაციის ინდექსებს" (ESI) წარმოადგენდა. საბითუმო ელექტრონიკაზე, არაელექტრონულ მოწყობილობაზე, ელექტრონული მოწყობილობის კომპონენტებზე, სტანდარტულ პროდუქტზე, ასევე ხის ნაკეთობებზე, ტრანსპორტზე და ტყავის ნაკეთობებზე დროთა განმავლობაში კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გაუარესება შეინიშნება.

ამავდროულად, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა სრულად ვერ შეესაბამება ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ახალი შედარებითი უპირატესობების განვითარების ამოცანას. კვლავ არასაკმარისია მეწარმეთა ინტერესების დაცვა, რთულია არსებული საგადასახადო სისტემა, არაოპტიმალურია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, იგი საჭიროებს გაუმჯობესებას არამარტო მოცულობების უკმარისობის, არამედ არსებული ფირმების ეროვნულ პროდუქტზე დადებითი გავლენის არარსებობის გამო. თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა ვერ გადაწყვიტეს მათ წინაშე დასმული ექსპორტის პოტენციალის ამაღლების, ახალი და უმაღლესი ტექნოლოგიების განვითარების ამოცანები.

ყოველივე აღნიშნული გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, კერძოდ, აუცილებელია:

– მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა (ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობა), საქმიანი სფეროს მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება და მისი პროგნოზირებადობის ამაღლება;

–ინსტიტუციონალური სფეროს გაუმჯობესება გარე ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, აღნიშნული საქმიანობის შემდგომი დებიუროკრატიზაცია გაძლიერება, ნაწილობრივ, სახელმწიფო ორგანოების მიერ გატარებული ადმინისტრაციული პროცედურების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება;

–საწარმოებზე საგადასახადო ზეწოლის შემცირება და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება;

–ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ეფექტიანობის ამაღლება, განსაკუთრებით ენერგეტიკული სექტორში, რადგან იგი საწარმოების საქმიანობის შეფერხებაზე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს;

–სასურველია ინვესტიციების სტიმულირებაზე მოქმედი ქვეყნის მიმართულებების გაძლიერება რომლებიც გადასცემენ გამოცდილებას, ტექნოლოგიებს და ნოუ-ჰაუს, რაც უზრუნველჰყოფს ქვეყანაში არსებული საწარმოების მწარმოებლურობის ზრდას, რომლებიც ექსპორტისათვის ახალ პლატფორმას ქმნიან.

დამატებითი ღირებულების მაღალი წილის მქონე სექტორებში ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ადგილობრივი (ეროვნული) ფირმების შესაძლებლობების განვითარება და გაძლიერება, ასევე ფინანსური სისტემის საკანონმდებლო ბაზის, საკუთრების უფლებების დაცვის, სამუშაო ძალის ხარისხის და ა.შ. გაუმჯობესება.

ამდენად განხორციელებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ბოლო წლებში ქართული ექსპორტის სტრუქტურაში ბევრი არახელსაყრელი ცვლილება ხდებოდა. პირველ რიგში, იგი დაკავშირებული იყო მისი სასაქონლო კონცენტრაციის ამაღლებასთან და ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობისა და ნომეკლატურის საერთო მოცულობაში ცალკეული პროდუქტის წილის გაზრდის გამო დივერსიფიცირებულობის შემცირებასთან. ეს მოწმობს როგორც საექსპორტო პოზიციის დასუსტებას, ისე ცვლილებების გამო ექსპორტის საჭიროების ზრდას. შორეული უცხოეთის ბაზრებზე საქართველო სპეციალიზდებოდა დაბალპროდუქტიულ საქონელ-

ზე, რომლებიც, როგორც წესი, იმყოფებოდნენ ე.წ. „სასიცოცხლო ციკლის” ბოლოს: სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ხე - ტყე და ტექსტილის ნაწარმი, თანაც კონკურენტუნარიანობის ზრდა აღინიშნებოდა მხოლოდ ბოლო ჯგუფში.

თავი IV
გლობალური კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური კრიზისი: ურთიერთკავშირი

4. 1 ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიის ანალიზი - თეორიული მიდგომები

ეკონომიკურ ანალიზში კონკურენტუნარიანობის კატეგორიის გამოყენებას დიდი ხანის ისტორია არა აქვს. საწყის ეტაპებზე მოცემული კატეგორია უპირატესად ცალკეული საწარმოების ან დარგების დონესთან ასოცირდებოდა. თუმცა 1990-იანი წლებიდან კონკურენტუნარიანობის კატეგორია ხშირად ეროვნული ეკონომიკის დონეზეც გამოიყენებოდა. ეკონომიკური პოლიტიკის დონეზე, ეკონომიკის მმართველებმა ეროვნული კნკურენტუნარიანობის კატეგორიის გამოყენება ბოლო ათი წლის განმავლობაში თავიანთი პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებასთან ერთად დაიწყეს. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში ევროპული კრების (EC) მიერ დასმული ამოცანა: „EC ყოფილიყო ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიკური...". აგრეთვე, ეროვნული კონკურენტუნარიანობის თავბრუდამხვევი (ბობოქარი) ზრდის უზრუნველყოფის აუცილებლობის იდეას, ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მიზნების სახით, არაერთხელ მიმართავდა დიდი ბრიტანეთიც. თუმცა, ჩვენი შეხედულებით, ეკონომიკური პოლიტიკის მოცემულ ამოცანებს ყოველთვის არ ჰქონდათ ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიის მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი გაგება. თეორიულ ნაშრომებში ასევე მკაფიოდ არ იყო განხილული, თუ რა იგულისხმებოდა ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიაში, რაც კვლევების შედეგების ინტერპრეტაციის დროს წინააღმდეგობას აწყდებოდა. 90-იანი წლების დასაწყისში კონკურენტუნარიანობის ცნების ანალიზი მ. პორტერის (1990) ნაშრომებს ეფუძნება, სადაც იგი განმარტებულია როგორც ეკონომიკუ-

რი ერთეულის მიერ თავისი მდგომარეობის გაცნობიერება და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობების ფლობა, ან უკიდურეს შემთხვევაში, შენარჩუნება.

ვიწრო გაგებით, კონკურენტუნარიანობის კატეგორია გამოიყენება გარემოში, სადაც სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტების ინტერესები ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. ფართო გაგებით, კონკურენტუნარიანობის ანალიზში შეიძლება შევიდეს სფეროები, რომლებშიც ეკონომიკური აგენტების ინტერესები პირდაპირ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და რითაც ეკონომიკური აგენტები თავიანთ საბაზრო პოზიციებს აძლიერებენ. მ. პორტერის ამ მიდგომის შესაბამისად კონკურენტუნარიანობის კონკურენტუნარიანობის ტრადიციული ანალიზი ტარდება სამ - ქვეყნის, დარგის და საწარმოს დონეზე.

კონკურენტუნარიანობის პრობლემისადმი მიძღვნილ ბევრ ნაშრომში კონკურენტუნარიანობის მიმართ გამოყენებული მიდგომები, მისი დონისა და დინამიკის განმსაზღვრელი ცვლადები შეიძლება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდეს. განსაკუთრებით დიდია ეს განსხვავებები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ცნების განმარტების დროს. მაგალითად,[33] მოცემულ კატეგორიას პრიზმის ოთხი შემადგენლის მეშვეობით განიხილავენ: გაყიდვის შესაძლებლობა (ექსპორტირება), რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა, გარე გარემოს ცვლილებებზე მორგების შესაძლებლობა, გამომუშავების შესაძლებლობა. ამ ფაქტორების საფუძველზე ეწყობა კონკურენტუნარიანობის იერარქია, რომელსაც საფუძვლად უდევს პირველი სამი ფაქტორი, ხოლო კონკურენტუნარიანობის მეოთხე სტადიაზე გადასვლა ხდება ცოდნის დაგროვების საფუძველზე. კონკურენტუნარიანობის განსხვავებული ცნება მოცემულია Aiginger-თან (1996). ქვეყანა ითვლება კონკურენტუნარიანად, თუ მასში სრულდება სამი პი-

[33] Aitken, B., and Harrison, A. (1999). Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela, *American Economic Review*, 89, 3,605–618.

რობა: პირველ რიგში, იყიდება ექსპორტირდება პროდუქტისა და მომსახურების საკმაო მოცულობა; მეორედ, წარმოების ფაქტორების გამოყენებით გენერირებული მოგება, როგორც მინიმუმი, ამართლებს ჩადებულ სახსრებს და ეკონომიკური განვითრების რთული დონის მქონე ქვეყნები რენტაბელობის დონეს შეესაბამება; მესამედ, მოქალაქეები კმაყოფილი არიან მაკროეკონომიკური პირობებით.

შეხედულებათა ამ წინააღმდეგობების შედეგად საკმაოდ გავრცელდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში თვით კონკურენტუნარიანობის ცნება აზრს მოკლებულია და არ არსებობს მისი პრაქტიკული გამოყენების საფუძველი. მაგალითად, ასეთ მიდგომას თავის ნაშრომებში ემხრობა პ. კრუგმანი.[34] ამასთან, კრუგმანი მიუთითებს იმაზე, რომ თავის მხრივ, ეროვნული კონკურენტუნარიანობის კონცეფცია შეიძლება იყოს არამარტო უშედეგო, არამედ საზიანოც: „კონკურენტუნარიანობის აკვიატებული იდეა არამარტო შეცდომაა, არამედ საზიანოცაა, იგი შიდა ეკონომიკურ პოლიტიკას აბრკოლებს და მსოფლიო ეკონომიკას უქმნის საფრთხეს". ეროვნული ეკონომიკის ცნების უაზრობის განხილვისას პ. კრუგმანი ასახელებს სამ არგუმენტს:[35]

- პირველ რიგში, სახელმწიფოებისა და კორპორაციების საქმიანობის პირობები არსებითად განსხვავდება. მაგალითად, საკუთარ პროდუქტზე მოთხოვნის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში კორპორაციის ლიკვიდაცია გამოუვალია. ამავე დროს, ასეთი ლოგიკის სახელმწიფოს დონეზე გადატანა არ შეიძლება.

- მეორე მხრივ, ფირმების დონისაგან განსხვავებით, ქვეყნებს შორის ვაჭრობა არ შეიძლება განხილოთ როგორც

---

[34] Krugman, P. (1996). Making Sense of the Competitiveness Debate, *Oxford Review of Economic Policy*, Oxford University Press, 12(3), 17–25.

[35] Gardiner, B., Martin, M., Tyler, P. (2004). Competitiveness, Productivity and Economic Growth across the European Regions. European Regional Science Association, Working Paper, http://www-sre.wu wien.ac.at/ersa/ersaconfs/ersa04/m PDF/333.pdf

„თამაში ნულოვანი თანხით". მაგალითად, კორპორაციულ დონეზე დარგის ერთ-ერთი ფირმის გაყიდვების ზრდა, დარგის სხვა ფირმის გაყიდვების შემცირების ხარჯზე ხდება. სახელმწიფოების შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის ექსპორტის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნის იმპორტზე მოთხოვნის ზრდა, და შედეგად, მოახდინოს ხელსაყრელი ზემოქმედება სხვა ქვეყნის ექსპორტზე.

- მესამე - ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიის ერთადერთი მნიშვნელობა თავისი არსით მწარმოებლურობის კატეგორიის იდენტურია. მოცემული არგუმენტების მოყვანით კრუგმანი (1994) მიუთითებს იმაზე, რომ საგარეო ვაჭრობის საკმაოდ შეზღუდული როლის მქონე ეკონომიკისათვის (მშპ-სთან მიმართებაში) ცხოვრების დონის სტანდარტები, წარმოების ეფექტიანობა და სხვა შემადგენლები, რომლებიც, როგორც წესი, შედის ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიაში, განისაზღვრება შიდა ფაქტორებით–მწარმოებლურობის ზრდის ტემპით. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში „კონკურენტუნარიანობა არის გასართობი (სასაცილო) მიზეზი (საშუალება), სიტყვა მწარმოებლურობის წარმოსათქმელად".[36]

ეროვნული ეკონომიკისათვის გარე ვაჭრობის მნიშვნელობის ამაღლების შემთხვევაში, ცხოვრების დონეზე და სტანდარტებზე მოქმედ ფაქტორებში, როგორც წესი, არსებითი ცვლილებები არ ხდება. დომინირებად ფაქტორს შიდა ეკონომიკების მწარმოებლურობის ზრდის ტემპი წარმოადგენს. იგი სხვა ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის ცვლილებაზე სუსტად მოქმედებს. ეს ურთიერთკავშირი შეიძლება დაირღვეს ვაჭრობის პირობების ცვლილების შედეგად. საგაჭრო პირობების არსებითი გაუარესებით ქვეყნის რეალური მსყიდველთუნარიანობა შეიძლება შემცირდეს, რამაც, შრომის მწარმოებლურობის ზრდის მიუხედავად, შეიძლება განაპირობოს ცხოვრების დონის მაჩვენებლების შემ-

[36] Krugman, P. (1994). Competitiveness – a Dangerous Obsession, *Foreign Affairs, March/April, 73, 2.*

ცირება. ასევე ურთიერთკავშირი მწარმოებლურობასა და ცხოვრების დონის მაჩვენებლებს შორის შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაშიც, თუ გაუარესებული სავაჭრო პირობების საპასუხოდ ქვეყანა ეროვნული ვალუტის დევალვაციას მოახდენს. აქედან გამომდინარე, კრუგმანი (1994) მიდის იმ დასკვნამდე, რომ „კონკურენტუნარიანობა შრომის მწარმოებლურობისაგან განსხვავებულია მხოლოდ მაშინ, როცა მსყიდველთუნარიანობა არსებითად დაბალი ტემპით იზრდება, ვიდრე პროდუქტის გამოშვება".[37]

მ. პორტერის ნაშრომებში –კონკურენტუნარიანობის თეორიის კლასიკაში – მოცემულია ეროვნული კონკურენტუნარიანობის კატეგორიების პრაქტიკულად იდენტური მოსაზრებები. იგი გადმოგვცემს მოცემული კატეგორიის კონკურენტუნარიანობისაგან არსებით განსხვავებას საწარმოს ან დარგის დონეზე: „კონკურენტუნარიანობა რჩება კონცეფციად, რომელიც სრულად არ არის გაცნოებიერებული მისი ფართო გამოყენებისა და მნიშვნელობის მიუხედავად". ქვეყნის დონეზე კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისათვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ერის კეთილდღეობა. ქვეყნის ცხოვრების დონე ეკონომიკის მწარმოებლურობით განისაზღვრება, რომელიც იზომება მის მიერ წარმოებული პროდუქტითა და მომსახურებით, რომელიც გათვლილია ერთეულ ადამიანურ კაპიტალსა და ბუნებრივ რესურსზე. მწარმოებლურობა დამოკიდებულია როგორც წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების ღირებულებაზე, რომელიც იზომება თავისუფალ ბაზარზე ფასით, ასევე წარმოების პროცესში მათ ეფექტიანობაზე. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილი კონკურენტუნარიანობა იზომება მწარმოებლურობით. მწარმოებლურობა იძლევა ეროვნულ დონეზე მაღალი საშემოსავლო გადახდების, მყარი ვალუტისა და კაპიტალზე სასურვე-

[37] Porter, M.,. Ketels, C. (2003). *UK Competitiveness: Moving to the Next Stage*, DTI Economics Paper 3, London: Department of Trade and Industry.

ლი მოგების, ხოლო მათთან ერთად ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტების შენარჩუნების საშუალებას".

ეროვნული კონკურენტუნარიანობისადმი, როგორც მწარმოებლურობის იდენტური კატეგორიისადმი მიდგომა დამახასიათებელია პრაქტიკული მიმართულებების კვლევებისათვისაც. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ რეგულარული მოხსენება, რომელიც ქვეყნდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ (WEF). WEF –ის მეთოდოლოგიაში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ქვეშ მოიაზრება ისინი, რომლებიც თავიანთ განვითარებაში ეყრდნობიან მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებს და უზრუნველყოფენ კეთილდღეობას გრძელვადიან პერიოდში.[38] თვით კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ქვეყანაში წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის დონეს განსაზღვრავს.[39]

იგულისხმება რომ, უფრო კონკურენტუნარიანმა ეკონომიკებმა თავისი მოქალაქეებისათვის შეიძლება უფრო მაღალი შემოსავლის გენერირება უზრუნველყოს. წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის დონე განსაზღვრავს ეკონომიკაში ინვესტიციების სხვადსხვა სახეების მოგების ნორმებს. რადგან ინვესტიციებზე მოგების ნორმები (ფიზიკურ, ადამიანურ კაპიტალში) ეკონომიკის ზრდის ტემპის განმსაზღვრელ ფუნდამენტალურ ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომაც იგულისხმება, რომ უფრო განვითარებულ ეკონომიკებს შეუძლიათ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების უზრუნველყოფა. ამგვარად, კონკურენტუნარიანობის მოცემული კონცეფცია მოიცავს როგორც სტატისტიკურ, ისე დინამიკურ კომპონენტებს: ქვეყანაში მწარმოებლურობის დონე განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს შეინარ-

[38] The Global Competitiveness Report 2009-2010 @ World Economik. Forum.www.Weforum.org

[39] (World Economic forum (2009)).

ჩუნოს შემოსავლების განსაზღვრული დონე, ხოლო შუალედურად ინვესტიციებზე მოგების ნორმით განსაზღვრავს ეკონომიკის ზრდის პოტენციალსაც. კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ანალიზის დროს ВЭФ მეთოდოლოგია კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა სტადიების შესახებ პორტერის (1990) თეორიას ეყრდნობა.

ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სტადიებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში დიდ როლს სხვადსხვა ფაქტორი ასრულებს.

განვითარების პირველი სტადია ხასიათდება, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოების ფაქტორების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ქვეყანა კონკურენციას ეწევა წარმოების ფაქტორების გამოყენების დონის ცვლილებით – არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსები. ბაზარზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობის საფუძველს საფასო ფაქტორები წარმოადგენს, ამასთან მწარმოებლურობის დაბალი დონე, საშემოსავლო გადსახადის დაბალ დონეში გამოიხატება.

მოცემულ ეტაპზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორებს ინსტიტუციური გარემო, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ასევე ჯანდაცვა და მოსახლეობის განათლება წარმოადგენს. კონკურენტუნარიანობისა და საშემოსავლო გადასახადების ამაღლებით ქვეყანა გადადის განვითარების მეორე სტადიაზე – კონკურენტუნარიანობის სტადია ეფექტიანობის საფუძველზე. თავისი პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს წარმოების ეფექტიანობა და აამაღლოს გამოშვებული პროდუქტის ხარისხი. მოცემულ ეტაპზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვს ფაქტორების შემდეგ ჯგუფებს: უმაღლესი განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება, სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრის განვითარების დონე, შიდა და გარე ბაზრების ზომა, ასევე უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

მესამე სტადიაზე – კონკურენტუნარიანობის სტადია ინოვაციების საფუძველზე – გადასვლა ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია შეინარჩუნოს საშემოსავლო გადასახადის მაღალი დონე მაღალი შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მოცემულ ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს ახალი და უნიკალური პროდუქტები.

მოცემულ ეტაპზე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკის ინოვაციურობის დონე. თანამედროვე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ბევრი ქვეყნისათვის, გარდა კაპიტალის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა, გარე მოთხოვნის არსებითი დაცემით გამოიხატა. კვლავ აქტუალური გახადა კონკურენტუნარიანობის კატეგორიისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი. ბევრ ქვეყანაში დაიწყეს კრიზისის შედეგად კონკურენტუნარიანობის შემცირების პრობლემის განხილვა, რომელსაც კონკურენტუნარიანობის ფაქტორებზე შეეძლო არახელსაყრელი ზემოქმედება მოეხდინა. სხვა სიტყვებით, ამ ჰიპოთეზის თანახმად, კრიზისი არამარტო აღრმავებს ბიზნეს-ციკლის რეცესიის ფაზას, არამედ მას შეუძლია შეეხოს ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურულ საფუძვლებს და განაპირობოს პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპების შემცირება. წინა ფინანსური კრიზისების პერიოდში ასეთი ჰიპოთეზა პრაქტიკულად დღის წესრიგში არ იდგა. ამ ჰიპოთეზის პრაქტიკაში შესამოწმებლად საჭიროა ამგვარი პოტენციური ურთიერთკავშირის თეორიული მოტივების მოძებნა. დიდი ალბათობაა, რომ ასეთი ურთიერთკავშირები მომდევნოებთან შედარებით, არსებული კრიზისის პერიოდში უფრო აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად წარმოიშვას. პირველ რიგში ანტიკრიზისულმა ზომებმა შეიძლება დაარღვიოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ამის შედეგად გამოიწვიოს გრძელვადიანი ზრდის უფრო დაბალი ტემპები. მეორე მხრივ, ბევრ ქვეყანაში ინსტიტუციური გარემო შეიძლება არ იყოს მორგებული პოსტკრიზისულ პირობებში ფუნქციონირებასთან. მესამე,

განსაზღვრული სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსურ სფეროში რეგულირების ახალ ზომებთან. და ბოლოს, პოტენციურმა ფისკალურმა რესტრიქციებმა შეიძლება განაპირობოს ჯანდაცვის, განათლების, ინოვაციური პოლიტიკისა და სხვა სისტემების ეფექტიანობის შემცირება. აღნიშნული ფაქტორების ფარგლებში პოტენციური მშპ-ის ზრდის ტემპებზე კრიზისის ზემოქმედების მექანიზმებთან დაკავშირებით ჰიპოთეზების წამოყენებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკისა და კრიზისის პერიოდში მომხდარი ეკონომიკური ტრანსფორმაციების გრძელვადიან შედეგებს.

ქვეყნების უმეტესობაში ბიუჯეტის დეფიციტის ზრდამ გამოიწვია სახელმწიფოს როგორც შიდა, ისე გარე სესხის ზრდის ტემპების დაჩქარება. ზოგიერთ ქვეყანაში კრიზისამდე პერიოდშიც გარე სესხების ზრდის ტემპები, მიმდინარე ოპერაციების დიდ დეფიციტთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალი იყო. მისი და ფინანსებისათვის ქვეყნები იძულებული იყვნენ სესხების მოცულობა გაეზარდათ, კერძოდ, საგარეო სესხებისა. ასეთ პირობებში აქტიური ფისკალური პოლიტიკის გატარება, გარე დეფიციტის შესამცირებლად ზომების მიუღებლად (ეროვნული ვალუტის დევალვაციის ან შიდა მოთხოვნის შეზღუდვის გზით), ორმაგ დეფიციტს იწვევს (გარეს და ფისკალურს).

ამგვარად, სახელმწიფო ვალის დაგროვებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს უკვე ორი მიზეზის გამო: გარე დეფიციტის და ფინანსების აუცილებლობა, ასევე რეცესიების გაგრძელების სიღრმის შემცირების სურვილი. დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა რეალური კაპიტალის გლობალური ფინანსური კრიზისის - სუვერენული სავალო კრიზისის - ახალი სტადიები. ბოლო სცენარის რეალიზაციის შემთხვევაში ახლანდელი ფინანსური კრიზისი პრაქტიკულად ყველა სტადიას გაივლის: საბანკოს, სავალუტოს და სავალოს.

ეკონომიკის რეალურ სექტორზე ფინანსური დისპროპორციის ზემოქმედება მოცემულ შემთხვევაში არაერთმნიშ-

ვნელოვანია. კრიზისის პირველ ეტაპზე ეკონომიკის რეალურ სექტორებში არახელსაყრელი ტენდენციების გადაცემა განპირობებული იყო დაკრედიტებასა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობით. შემდეგ უკვე რეალურ სექტორებში დისპროპორციები ფინანსური სექტორების ახალ პრობლემებზე ახდენდა გავლენას (ახალი პრობლემური აქტივების ფორმირება, სადეპოზიტო ბაზის შემცირება და სხვ.,). ამან განაპირობა ეროვნული ეკონომიკის ბიზნეს-ციკლის ექსპანსიის სტადიიდან ზრდის შემცირების სტადიაში, შემდეგ კი რეცესიის სტადიაში გადასვლა. თუმცა ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა უზრუნველჰყო რეცესიიდან გამოსვლა, 2009 წლის შუა პერიოდში აღნიშნული არახელსაყრელი ტენდენციები ფინანსურ სფეროში ბიზნეს-ციკლის ტენდენციების „მობრუნების" საფრთხეს ქმნის და განაპირობებს გლობალური ეკონომიკის რეცესიის სტადიაში დაბრუნებას. ეკონომიკის ფინანსური და რეალური სექტორის მიმდინარე ურთიერთკავშირის ასეთი ინტერპრეტაცია წარმოდგენილია ბიზნეს-ციკლის კონცეფციასთან შეთანხმებით (ზრდის ციკლების კონცეფციის ფარგლებში). უფრო მეტიც, ეკონომიკის რეალურ სექტორზე ფინანსური რყევების ზემოქმედებისას, ეკონომიკურ კვლევებში, როგორც წესი, ყურადღება ექცევა რეალური სექტორების მოკლევადიან დინამიკაზე ზემოქმედებას, ანუ ბიზნეს-ციკლის სტადიას. ამასთან, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპები არ ექვემდებარება ფინანსური რყევების შედეგად წარმოშობილ ცვლილებებს. მაგალითად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის თეორიაში არსებული კომენტარებით მსგავს დასკვნამდე მიდის ცნობილი ეკონომისტები უ. ისტერლი, ც. რეუნჰარტი და პ. როგოფი.[40]

[40] Reinhart, C., Rogoff, K. (2009). *This Time is Different: Eight Centuries of Financial Folly,* Princeton University Press.

ჰიპოთეზა იმის შესახებ რომ, ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება შეამციროს ზრდის პოტენციალი, შეიძლება დაფუძნებული იყოს შემდეგზე:

- პირველი, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა (მწარმოებლურობის ზრდის და გრძელვადიანი ზრდის პოტენციალი) ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო ვალის დიდი რაოდენობით დაგროვების შედეგად შეიძლება შემცირების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. მაგალითად, რეინჰარტი-ისა და როგოფ –ის ნაშრომები (2010) გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ვალის საწყისი მნიშვნელობა, რომლის შემდეგაც მშპ-ს ზრდის ტემპი მცირდება 1 პროცენტული პუნქტით, ხოლო გრძელვადიანი ზრდის საშუალო ტემპები კი უფრო მეტად განვითარებული ქვეყნებისათვის შეადგენს 90%-ს მშპ-ში. განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში სიტუაცია რამდენადმე განსხვავებულია. ავტორები გვიჩვენებენ, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის ასეთი ვალის საწყისი მნიშვნელობა დაბალია – 60% მშპ-ში, ხოლო გრძელვადიანი ზრდის ტემპებზე ზემოქმედება საგრძნობლად მაღალი – საწყისი დონის მიღწევისას ზრდის ტემპი მცირდება საშუალოდ 2 პროცენტული პუნქტით. ამგვარად, რადგანაც მასშტაბური რეცესიის თავიდან ასაცილებლად ქვეყნები იძულებული იყვნენ მიემართათ სესხების დიდი მოცულობისათვის, ამას მოჰყვა მათი გრძელვადიანი ზრდის პოტენციალის შემცირება. უმეტესწილად, ეს ტენდენცია, შეიძლება გავრცელდეს განვითარებად ქვეყნებზე, რადგან ერთის მხრივ, არც თუ ისე იშვიათად იყვნენ ისინი იძულებულნი აეღოთ დიდი სესხები ვიდრე განვითარებული ქვეყნები, ხოლო, მეორე მხრივ, მათი პოტენციური მშპ-ს მგრძნობიარობა გარე ვალების დონეზე უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში;
- მეორე, კრიზისის პერიოდში სახელმწიფო სესხების მასიური ზრდის შედეგი შეიძლება იყოს ფინანსურ

ბაზრებზე დისციპლინის მოკლევადიანი დარღვევა. იგი ინვესტიციური მენეჯმენტისა და რისკ-მენეჯმენ-ტის ფუნქციების შესრულებაში ფინანსური შუამავ-ლების მიერ კორპორაციული კონტროლის რყევებს გამოიწვევს. მაგალითად, Trew (2008)-ში ნაჩვენებია, რომ ფინანსური სისტემის ეფექტიანობის დონესა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი ყოველთვის შენარჩუნდება, თუმცა ფინანსური შუა-მავლობის მოცულობების ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე შეიძლება შეირყეს. ასეთი ცვლილე-ბები შესაძლებლია დაკავშირებული იყოს ფინანსურ ბაზარზე საკრედიტო დისციპლინის დარღვევასთან. ჩვენი აზრით, მოცემული ფაქტორის ზემოქმედება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მისა-ღებია მხოლოდ მოკლე პერსპექტივისათვის, რადგან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოცემულ მო-მენტში მიიღება და მზადდება მრავალი ღონისძიება, რომლებიც მიმართულია ფინანსურ ბაზრებზე დის-ციპლინისა და მთლიანობაში გლობალური ფინანსუ-რი სტაბილურობისაკენ. საბაზრო დისციპლინის გამ-ტკიცებით აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედება ნივე-ლირდება;

- მესამე, შეიძლება განვიხილოთ რეგულირების ახალი ზომები ფინანსური შუამავლობის მასშტაბების და-ჭიმვის პრიზმის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში შე-იძლება ვივარაუდოთ, რომ არსებული ინსტიტუციური შეზღუდვები განსაზღვრავს დანაზოგების აკუმულა-ციისა და ფინანსური შუამავლობის ლიკვიდურობის არსებობის მცირე მასშტაბებს, რამაც შეიძლება ეკო-ნომიკური ზრდის ტემპები გარკვეულწილად შეანე-ლოს;
- მეოთხე, სახელმწიფოებისა და ცენტრალური ბანკე-ბის მიერ მიღებულმა ზომებმა შეიძლება გააძლიე-როს ეკონომიკური განვითარების ციკლურობა უახ-ლოეს მომავალში. ასეთი ჰიპოთეზის მართივის შე-

საძლებელი იყო 2009-2010 წლებში, შიდა მოთხოვნის მასტიმულირებელი ზომების შედეგად მიღებული მულტიპლიკატორულ-აქსელატორული მექანიზმის გაძლიერებით. ეკონომიკური მერყეობის გაძლიერებამ, ეკონომიკური ციკლის ერთი სტადიიდან მეორეში სწრაფად გადასვლამ მერყეობის მაღალი ამპლიტუდის შემთხვევაში შეიძლება განაპირობოს ეკონომიკაში რესურსების გადანაწილების ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება.

- მეხუთე, პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპებზე რეცესიის უკუზეგავლენისათვის, პროტექციონისტული ზომების გამოყენების მეშვეობით შეიძლება იმოქმედოს, გარე ვაჭრობის მოცულობების შეზღუდვამ;
- მეექვსე, უმეტეს ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები შეიძლება გაუარესდეს ინსტიტუციური გარემოს ეკონომიკის ახალი პირობების ფუნქციონირებასთან შეუსაბამობის შედეგად. მაგალითად, A.Cavallo, E.Cavallo ის –ნაშრომებში (2008) ხდება ინსტიტუციური გარემოს მნიშვნელობის დემონსტრირება ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პროექციაში კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ამ კვლევებით, მხოლოდ მაღალ დონეზე განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების მქონე ქვეყნებს შეუძლიათ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე კრიზისის პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ნეიტრალიზება და კრიზისმადე პერიოდთან შედარებით მათი გაზრდა, მაშინ როცა ზრდის ტემპები ინსტიტუციური გარემოს განვითარების დაბალი დონის ქვეყნებში მცირდება. Rousseau, Wachtel -ის კვლევებში (2009) ნაჩვენებია ფინანსურ სექტორში ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნებისათვის/გაზრდისათვის. აღნიშნული ავტორების შეხედულებით, ბოლო წლებში ფინანსური სისტემის განვითარების დონესა და

ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის სუსტი კავშირის მიზეზია ქვეყნებში განვითარებული ფინანსური შუამავლობა შესაბამისი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის გარეშე.

4.2.გლობალური კონკურენცია და ეროვნული ინტერესები

ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად გამწვავდა კონკურენცია გასაღების ბაზრებზე, უცხოურ ინვესტიციებზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე. დღეისათვის ქვეყნის განვითარების პერსპექტივა არსებული კონკურენტული უპირატესობების საფუძველზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეფექტიანი მონაწილეობით განისაზღვრება. აშკარაა, რომ გლობალიზაციის პროცესი ცალკეული ქვეყნებისათვის მანამდე არნახული შესაძლებლობებისა და პერსპექტივების მატარებელია, თუმცა, იმავდროულად, იგი სუსტებისთვის იდენტურობის დაკარგვის საფრთხესაც წარმოადგენს. ასეთ პირობებში ცალკეული ქვეყნების წინაშე დგას ამოცანა: განსაზღვრონ მათ წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევები და საფრთხეები, დროულად განსაზღვრონ განვითარების მისაღები პრიორიტეტები.

მ. პორტერის თეორიის თანახმად,[41] კონკურენციის არსი (ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, შიდა და გარე ბაზრებზე) გამოიხატება შემდეგი ხუთი ელემენტით:

1. ახალი კონკურენტების გამოჩენის საფრთხე;

2. პროდუქტის ან მომსახურების შემცვლელების გამოჩენის საფრთხე;

3.პროდუქციის მიმწოდებლებისა და ნაკეთობათა დამაკოპლექტებლების მხრივ ვაჭრობის შესაძლებლობა;

[41] **Портер, М. Э.** Конкуренция : учебное пособ. / М. Э. Портер; пер. с англ. М. : Вильямс, 2000.

4. მყიდველთა ვაჭრობის შესაძლებლობა;
5. კონკურენტებს შორის პაექრობა.

ჩამოთვლილი ხუთი ფაქტორის მნიშვნელობა ცვალებადია ერთი დარგიდან მეორეში და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს დარგის მომგებიანობას.

კონკურენცია წარმოადგენს არა სტატიკურ მოვლენას, არამედ დინამიკურ და განვითარებად პროცესს. როგორც XX საუკუნის შუალედში ი. შუმპეტერი აღნიშნავდა, კონკურენციაში არ არსებობს წონასწორობა. კონკურენცია უწყვეტად ცვლადი ლანდშაფტია, რომელზეც ჩნდება ახალი საქონელი, მარკეტინგის ახალი გზები, ახალი სამეწარმეო პროცესები და ახალი საბაზრო სეგმენტები. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს უპირატესობა კონკურენტულ ჭიდილში, კომპანიაში უნდა ეწეოდნენ „შემოქმედებითი რღვევის" პრაქტიკას საკუთარ თავთან მიმართებაში: მან დროულად უნდა ამოკვეთოს ძველი უპირატესობები ახალი უპირატესობების ჩამოყალიბების გზით.

ეკონომისტები განასხვავებენ მონოპოლიას, როგორც ბაზრის განსაზღვრულ მდგომარეობას და მონოპოლიებს – მსხვილ კომპანიებს, რომლებიც ცდილობენ დაიკავონ დომინანტის ადგილი ბაზარზე. როგორც წესი, წმინდა მონოპოლისტები იშვიათად გვხვდებიან, მაგრამ ბაზარზე მონოპოლიური დომინირებისაკენ მისი ყველა წევრი მიისწრაფის. იყო მონოპოლისტი, იყო ლიდერი საერთაშორისო ან შიდა ბაზარზე - ეს ეკონომიკური წარმატებაა. ეკონომიკური დანაშაულია ბაზარზე საკუთარი დომინირებადი ადგილის ბოროტად გამოყენება და ეფექტიანი კონკურენციის საფუძვლების შერყევა.

ომის შემდგომი ორი მსოფლიო ბლოკის ლიდერის, ორი ზესახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრკ კონკურენციამ, რაც არ უნდა საოცრად ჟღერდეს, ხელი შეუწყო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემას. ეს იყო ინოვაციებისა და სოციალურ-ეკონომიკური პაექრობის მიზანმიმართული დანერგვის ეპოქა. ზოგჯერ ისე ჩანდა, თითქოს ორივე ზესახელმწიფო თანაბარი შესაძლებლობებით

პაექრობდა. კარგადაა ცნობილი შეიარაღებასა და კოსმოსთან დაკავშირებული ურთიერთდაპირისპირების ფაქტები. დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი საბჭოური წარმოშობისა იყო. ალან ბ. შეპარდი კოსმოსში გაგარინის შემდეგ გაფრინდა. 1970-იან წლებში მიღწეულ იქნა პარიტეტი სტრატეგიული შეიარაღების სისტემებში, მაგრამ ამ შედეგების ღირებულება არაშეპირისპირებადია და საქმე არა მარტო ორი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში იყო. კონკურენტული ეკონომიკა უფრო ეფექტური ჰქონდა სახელმწიფო დაგეგმის ინსტიტუტებს. ეფექტიანი გადაწყვეტილებების შერჩევა უფრო სწრაფად ხდებოდა, თანაც მინიმალური ფინანსური და სოციალური დანახარჯებით. კოსმოსსა და შეიარაღების სისტემებში პირველი საბჭოური წარმატების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ.ფ. კენედიმ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება: 1961 წელს მან განაცხადა, რომ 1970 წლამდე ამერიკელები გაფრინდებოდნენ მთვარეზე. მთვარეზე გაფრენის 20 მილიარდიანი პროექტი ნაადრევად დაასრულეს – ამერიკული ეკიპაჟი მთვარეზე 1969 წელს გაფრინდა და ნ. არმსტრონგი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარის ზედაპირს დააბიჯა.

„პოლარისის" რაკეტებით აღჭურვილი ახალი თაობის 40 ატომური წყალქვეშა ხომალდის, უახლესი სამოქალაქო თვითმფრინავების ტიპის - „ბოინგის" აწყობის პროგრამები ამერიკის საყრდენი ინოვაციები გახდა საბჭოთა კავშირთან პაექრობის საქმეში. ამერიკის მთავრობამ თავის თავზე აიღო ამ პროექტთან დაკავშირებული დანახარჯების დიდი ნაწილი. ეფექტი კი ამერიკული ეკონომიკისათვის შთამბეჭდავზე მეტი იყო. სხვადასხვა შეფასებით, მარტო „აპოლონის" პროექტით ამერიკის მრეწველობამ 20-30 ათასი ე.წ. ორმაგი მნიშვნელობის ახალი ტექნოლოგია მიიღო, რაც თანამედროვე ამერიკის ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივი გახდა.

1970-იან წლებში ამერიკის მთავრობა ვერ გაექცა მსოფლიოს ენერგეტიკული კრიზისის პრობლემებს. ახალმა ენერგოშემნახველმა ტექნოლოგიებმა ამერიკულ ბიზნესს კონკურენტული პოზიციები გაუმაგრეს და საშუალება მის-

ცეს ტექნოლოგიური თვალსაზრისით ბევრად გაესწრო საბ-ჭოთა კავშირისათვის, რომელიც მსოფლიოში უმდიდრესი ნავთობისა და გაზის მარაგების ბედნიერი მფლობელის „დაფნის გვირგვინებზე“ ისვენებდა: ინფორმაციულმა რევო-ლუციამ, რომელიც „IM''-მა და ბილ გეიტსმა მოახდინეს, საბოლოოდ შეცვალეს ორი ზესახელმწიფოს პაექრობის ბა-ლანსი. სსრკ დაიშალა, როგორც ბანქოს სახლი, რამეთუ წმინდად წ�აგო ეკონომიკური შეჯიბრება ამერიკასთან. ეფექტიანი კონკურენციის მექანიზმის მქონე კაპიტალიზმს არ აღმოაჩნდა ისტორიული ალტერნატივა. ამერიკის განუ-ყოფელმა დომინირებამ მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში 1991 წლიდან წარმოშვა ახალი მოვლენა – გლობალური კონკურენცია. არსებობენ გლობალური კაპიტალიზმის მომ-ხრეები და მოწინააღმდეგენი, ახალი გეოპოლიტიკური რეა-ლობის მომავლის მრავალრიცხოვანი სცენარები. ოპტიმის-ტები (ელვინ ტოფლერი და სხვები) თვლიან, რომ გლობა-ლური ეკონომიკა გახდება ახალი ჰუმანიტარული ფასეულო-ბების შექმნისა და აღორძინების ეპოქა. პესიმისტები (ლეს-ტერ კ. თუროუ) წინასწარმეტყველებენ ეფექტიანი კონკურენ-ციის ეპოქის დასასრულს და გადასვლას წონასწორობის სტადიაში, რომელიც გახდება ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფინანსური ოლიგარქე-ბისა და ტრანსეროვნული კომპანიების ხელში ძალაუფლე-ბის გადასვლის ეპოქა.

უპირველეს ყოვლისა, ლიბერალიზმის კლასიკოსები ეროვნული სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას ნორმად მიიჩნევდნენ და მოთმინებით უდგებოდნენ ცივილი-ზაციებისა და მსოფლიო რელიგიების განსხვავებული ტიპე-ბის საკითხს. დღესდღეისობით ტრანსეროვნული კომპანიე-ბის პოლიტიკა მიმართულია ეროვნული სახელმწიფოების პოზიციების შერყევისაკენ და ცივილიზაციათაშორის ურთი-ერთობებში ტოლერანტობის უარყოფისაკენ.

მეორეს მხრივ, ღია სასაქონლო ბაზრები დღემდე ეხა-მებოდა ეროვნული სახელმწიფოების ბაზრების რეგულირე-ბას. მესამე ტექნოლოგიური ტალღისა და მასობრივი კომუ-

ნიკაციური განვითარების პირობებში ხდება ეროვნული კადრების აქტიური გამოდევნა უფრო იაფი სამუშაო ძალით – იმიგრანტებით აზიიდან, ლათინური ამერიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

მესამეს მხრივ, ახალ ტენდენციად ითვლება ცოცხალი შრომის გაიაფება და მისი შემოსავლიანობის შემცირება კაპიტალთან შედარებით, რომელშიც ინვესტირებულია ცოდნა და ინოვაციური ტექნოლოგიები. კარლ მარქსის „კაპიტალშიც" კი არის საუბარი შეპირისპირებად სიდიდეებზე. ექსპერტთა შეფასებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში 2-3%-ით გაიზარდა ცოცხალი შრომის შემოსავლიანობა, კაპიტალისა კი 53%-ით. სხვაობა ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს, ერებს, რეგიონებს შორის გადადის კონფრონტაციის ახალ, საშიშ ფაზაში.

დღეისათვის საზოგადოების ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება ააშენო, ხოლო ეკონომიკური კონკურენცია განავითარო. სინამდვილეში კი საბაზრო ეკონომიკა არის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ბუნებრივი შედეგი. ეს არის ახალი აზროვნება, ახალი ფსიქოლოგია, ფასეულობათა სხვა სისტემა. XX საუკუნის კლასიკოსმა ეკონომისტებმა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა და ვალტერ ოიკენმა არაერთი ბატის ფრთა და მელანი დახარჯეს, რათა დაემტკიცებინათ, რომ არსებობს მეცნიერება კონკურენციის შესახებ, რომ კონკურენცია არ არის ეკონომიკური ქაოსი, არამედ წესრიგია.

საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს სტატუსი რეალური ხდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის მომენტიდან. რა თქმა უნდა, დევიდ რიკარდოს ხანასთან შედარებით მსოფლიო ვაჭრობა ძლიერ შეიცვალა, მკვეთრად გაიზარდა არაფასისმიერი კონკურენციის როლი. ორმაგი სტანდარტები არსებობს ლიდერებისა და აუტსაიდერებისათვის, ფაქტიურად ამოვარდნილნი არიან არსებული წყობიდან ტრანსეროვნული კომპანიები. არსებობს მოსაზრება, რომ მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე დამყარებული ინოვაციები ახასიათებთ მხოლოდ მსხვილ სახელმწიფოებს

და რომ მათი უმრავლესობა ასე თუ ისე დაკავშირებულია სამხედრო-სამეწარმეო კომპლექსებთან ან კოსმოსთან. თუმცაღა, ინოვაციურ ბიზნესს ხშირ შემთხვევაში არა აქვს კავშირი არც ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და არც გენურ ინჟინერიასთან.[42]

ამას ადასტურებს 1970-1980 წლების შვედეთის, ფინეთის, დანიის, იაპონიის ეკონომიკური წარმატებანი, სადაც დანერგეს და წარმატებით აამოქმედეს ინოვაციური მიღწევებისა და ეკონომიკური ზრდის გადარჩევის კონკურენტული მექანიზმები. რა თქმა უნდა, მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა იმ პერიოდში ატარებდა გეგმიურ ხასიათს, მაგრამ ეს პოლიტიკა წარმოების ფაქტორთან ერთად, შესაძლებლობას იძლეოდა შენარჩუნებულიყო კონკურენტუნარიანობის მინიმალური დონე. ეს მექანიზმი, ცხადია, არ წარმოადგენდა კონკურენციის სრულყოფილ ალტერნატივას, მაგრამ მისმა უარყოფამ გამოიწვია საბჭოური ეკონომიკის დამხობა და მკვეთრად შეამცირა გლობალური ბაზრისაკენ მოძრაობის საწყისი შესაძლებლობანი.[43]

რეფორმატორებმა შემოგვთავაზეს, ხოლო შემდეგ რეალობად აქციეს პრივატიზაციის უშედეგო პროგრამა. პრივატიზაცია გახდა თვითმიზანი და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი. რამდენიმე წლის შემდეგ სამეწარმეო-ტექნოლოგიური კომპლექსების მხარდაჭერის პრინციპი დაკნინდა, ასობით და ათასობით სპეციალიზებული გაერთიანებები ლიკვიდირებული იქნა, ტექნოლოგიური ინსტიტუტებისა და კონსტრუქციული ბიუროები „დაითხოვეს" და პროფილი შეუცვალეს. ეს იყო კატასტროფა. შემდგომი მცდელობები გამოესწორებინათ ან თუნდაც შეეცვალათ ეკონომიკის დამღუპველი ინერცია, წარუმატებელი აღმოჩნდა. რას წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე

---

[42] საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, შრომების კრებული, თბ., 2008.

[43] Хайек, фон Фридрих А. Познание, конкуренция и свобода / фон Фридрих А. Хайек. СПб. : невма, 1999.

ქვეყნის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეჟიმი, სადაც საექ-პორტო-შემნახველი დარგები იკავებს შიდა სავაჭრო ბრუნ-ვის უმნიშვნელო წილს და შესაბამისად, სჭირდებათ სახელ-მწიფოს მხარდაჭერა გლობალური კონკურენციის პირობებ-ში.

ამ ქვეყნებში ტოტალიტარული წყობის პირდაპირ მემ-კვიდრეობას შეადგენდა სახელმწიფო ჩინოვნიკების კლასი, რომელმაც კორპორატიული ინტერესის დაცვით შექმნა მა-ღალი ადმინისტრაციული ბარიერები ბაზარზე გასასვლე-ლად (მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ქონების მისაწ-ვდომობის შეზღუდვა, ქირის, ლიცენზირების, გადასახადე-ბის, სამეურნეო ხელშეკრულებათა, ტენდერებისა და კონ-კურსების ჩრდილოვანი სქემა). კორუმპირებული ჩინოვნიკები ხშირად უთავსებენ ძირითად ფუნქციებს საკუთარ ბიზნესს. ამის შედეგად ჩრდილოვანი ბაზრის წილი 20-25 %-ით გაი-ზარდა.

შეუძლებელია ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის არსე-ბობა ხელისუფლების დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სახელმწიფო მხარდაჭე-რის გარეშე. ეკონომიკის მთავარ სუბიექტად უნდა იქცეს მე-წარმე და არა აფილირებული ჩინოვნიკი. ეკონომიკა უნდა გახდეს არა მარტო უფრო ეფექტიანი, არამედ ამ ეფექტია-ნობის შედეგები უნდა განხორციელდეს შემოსავლებისა და პენსიების სოციალურ პოლიტიკაში, სამომხმარებლო უფლე-ბებისა და ეკოლოგიის დაცვაში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

საქართველოს გლობალურ კონკურენციაში ჩართვისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა მსოფლიო ეკონომიკაში განუხრელი ინტეგრაცია. ამავე დროს, საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურება და-ეხმარება საქართველოს აღორძინებას, მისი ეკონომიკის მო-დერნიზაციას, მაგრამ ეს მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ოპტიმალური ჩართვის სტრატეგიის შემუშავებას და თანმიმდევრულ რეალიზაციას, ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, პერსპექტიული დარგების

დაცვას და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას. ქვეყანამ უნდა აამაღლოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, დაეყრდნოს იმ დარგებსა და წარმოებებს, რომელთაც ამისათვის კარგი წინაპირობები აქვთ[44].

4. 3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საქართველოს რეალობა

გლობალიზაცია იწვევს სახელმწიფოს ტრანსფორმაციას, ზრდის კონკურენციის, მასშტაბებსა და სიჩქარეს. აგრეთვე იგი ასოცირდება გლობალური სტრატიფიკაციის ახალ მოდელებთან, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოება კარგად ახდენს ადაპტირებას, ზოგიერთი კი იზოლირებული რჩება. ეკონომიკური ასიმეტრიულობა იწვევს უთანაბრობას, რის შედეგადაც სუსტი ქვეყნები გლობალური თამაშიდან გარიყულნი რჩებიან და განიცდიან მარგინალიზაციას. ამიტომ განვითარებადი ქვეყნებისათვის აუცილებელი ხდება პრობლემებისადმი ახლებულად მიდგომა, პრობლემის ინტერდისციპლინარულ ჭრილში გაანალიზება და მათი გადაჭრის კომპლექსური გზების ძიება. საჭიროა ახალი რეფორმები, ინიციატივები, რომლებსაც მაღალი რანგის პროფესიონალები განახორციელებენ და არა პირადი სარგებლის მაძიებელი უმეცარი ჩინოვნიკები. ქვეყანამ უნდა მონახოს თავისი ნიშა გლობალურ სივრცეში და ჩამოაყალიბოს მდგრად პერსპექტივებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანობის სტრატეგია.

ქვეყნის სიმდიდრეს ქმნის არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არამედ ინოვაციებზე დაფუძნებული ეროვნული წარმოება და ბიზნესი. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგია დამოკიდებულია დამატებითი ღირებულების შემცველ გადამუშავებულ პროდუქტზე, თანამედროვე ტექნოლო-

[44] ჩიკვაიძე თ, სილაგაძე ა., ბასილაია თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.

გიებზე, ინოვაციებზე, ექსპორტის მოცულობის გაფართოებაზე, მთლიანი ეროვნული პროდუქტის (და ნაკლებად მთლიანი შიდა პროდუქტის) ზრდაზე.

კონკურენტუნარიანობის საკითხი მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს. ის შემდეგი გარემოებებით არის განპირობებული: გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევენ საერთაშორისო ორგანიზაციები – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მსოფლიო ბანკი, განვითარებისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტი. ამ ორგანიზაციებისადმი საზოგადოების ნდობის ფაქტორი დღითი დღე იზრდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ მიერ გაკეთებული დასკვნები რეალურ ინფორმაციას ეფუძნება (პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში), საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მას ეროვნული სახელმწიფოები ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში წარმატებით იყენებენ.

საქართველო გლობალური კონკურენციის მხრივ, მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის 90-ე ადგილზეა - ასეა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2009-2010 წლის ანგარიშის შედეგების მიხედვით. თუმცა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ასპექტების მიხედვით, მაგალითად, როგორიცაა: ბიზნესის კეთების სიადვილე და ეკონომიკური თავისუფლება, რომელთაც განსხვავებული ინდექსები ზომავს, საქართველოს გაცილებით უკეთესი ქულები აქვს: ბიზნესის კეთების სიადვილის მხრივ, მსოფლიოში მე-11 ადგილზეა, ეკონომიკური თავისუფლების მხრივ – მსოფლიოში 26 –ზე, ევროპაში კი მე –14 ადგილზეა - „მეტწილად თავისუფალ“ კატეგორიაში. ქვეყნისთვის ამ განსხვავებებს იწვევს თავად ინდექსების სპეციფიკა. პირველ ორ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ლიბერალიზაციაზე - ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოზე, და ზოგადად, ეკო-

ნომიკურ თავისუფლებაზე. გლობალური კონკურენციის ინდექსი კი აქცენტს ამ ფაქტორების გარდა, კარგი მმართველობისთვის აუცილებელ ინსტიტუტებზეც აკეთებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში აჩვენებს, რომ ლიბერალიზაცია და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამის მიზეზია ძველი, ანტისაბაზრო ინსტიტუტები, რომელთა დემონტაჟიც აუცილებელია და მათ ნაცვლად ახალი, ეფექტიანი მმართველობისთვის ხელსაყრელი ინსტიტუტები უნდა შეიქმნას.

ბოლო წლებში საქართველომ ამ მიმართულებით რეფორმები გაატარა, მაგალითად, საბაჟო ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის გამარტივება ან შრომის კოდექსი, რომელიც, ამ ინდექსის მიხედვითაც, შეფასებულია, როგორც კონკურენტუნარიანი და მსოფლიო ოცეულში შედის.

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის მხრივაც: ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თანახმად, საქართველო კორუფციის დონით მსოფლიოში 169 ქვეყანას შორის 66-ე ადგილზეა და მნიშვნელოვნად უსწრებს რეგიონის სხვა ქვეყნებს. ეს პირდაპირ უკავშირდება ინსტიტუტების ეფექტიანობასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, რადგან ამცირებს ბიზნესის ეკონომიკურ დანახარჯს და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, საშუალოდ, გასამმაგდა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნამ ინვესტორთა დაინტერესება და საქართველოში დამზადებული პროდუქტის ექსპორტზე გატანა გამოიწვია. მეორე მხრივ, შედეგიანი მმართველობისთვის აუცილებელი ინსტიტუტების შენება და გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევა ხანგრძლივი და ნელი პროცესია, რასაც ზუსტად გლობალური კონკურენციის ინდექსი ასახავს.

ინდექსი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს, როგორც იმ ინსტიტუტების, კანონებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს ადგენს. პროდუქტიულობის დონე, თავის მხრივ, ეკონომიკური დოვლათის დაგროვებას უწყობს ხელს. უხვი ეკონომიკური დოვლათის პირობებში კი მოქალაქეების შრომა უკეთ ანაზღაურდება. ამდენად, რაც უფრო კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, მით მაღალია ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის დონე.

საქართველო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მიხედვით ლიდერთა შორისაა. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით 11-ე ადგილზეა მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის, სინგაპურის, ახალი ზელანდიის, ჰონკონგის, აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს, დანიის, ირლანდიის, კანადის, ავსტრალიის და ნორვეგიის შემდეგ. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან: ლიტვა 26-ე ადგილზეა, ლატვია 27-ზე, აზერბაიჯანი 38-ზე, ყირგიზეთი 50-ზე, სომხეთი 53-ზე, ყაზახეთი 63-ზე, მოლდოვა 94-ზე, რუსეთი 120-ზე, უკრაინა 142-ზე, უზბეკეთი 150-ზე, ტაჯიკეთი 152-ზე.

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში თანაბარი წონებით გაერთიანებულია 10 ინდიკატორი, რომელთა მიხედვითაც საქართველო გარკვეულ ადგილს იკავებს, კერძოდ:



ნახ. 4.1. საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში

1) საწარმოების რეგისტრაცია (საქართველო - მე-5 ადგილი, ახალი ზელანდიის, კანადის, ავსტრალიისა და სინგაპურის შემდეგ);

2) მშენებლობის ნებართვის მიღება (მე-7 ადგილი);

3) სამუშაო ძალის დაქირავება (მე-9-ე ადგილი);

4) ქონების რეგისტრაცია (მე-2 ადგილზე, საუდის არაბეთის შემდეგ);

5) დაკრედიტება (30-ე ადგილი);

6) ინვესტიციების დაცვა (41-ე ადგილი);

7) დაბეგვრა (64-ე ადგილი);

8) საერთაშორისო ვაჭრობა (30-ე ადგილი);

9) კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა (41-ე ადგილი);

10) საწარმოების ლიკვიდაცია (95-ე ადგილი).

საქართველო რეფორმატორი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. ამ რეიტინგში იგი 107-ე ადგილზეა 131 ქვეყანას შორის. რეგიონებიდან საუკეთესოა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი. რეფორმატორი ქვეყნების ხვედრითი წილი ამ რეგიონში 2005 წელს 74%-ს, 2006 წელს – 85%-ს, 2007 წელს – 62%-ს, 2008 წელს – 78%-ს, 2009 წელს – 85%-ს, 2010 წელს – 96%-ს შეადგენდა.

საქართველოს კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია უპირატესად წარმოების ფაქტორებზე (საბაზისო ფაქტორებზე: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება). ამ მიზეზით ჩვენი ქვეყანა პირველი სტადიის ქვეყნადაა მიჩნეული და მისი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ 2000 აშშ დოლარზე ნაკლებია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეკომენდაციით, გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნებმა, მ.შ. საქართველომაც, საწარმოს დონეზე უნდა გააუჯობესოს საწარმოო პროცესები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მარკეტინგული კვლევების გააქტიურებისა და გრძელვადიანი დაგეგმვის სრულყოფის გზით; მაკროდონეზე კი საქარ-

თველოს სჭირდება ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფა.

კვლევა აჩვენებს, რომ ტექნოლოგიური მზაობის, ბაზრის ზომის, ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის კუთხით საქართველოს გლობალური კონკურენციის არენაზე უპირატესობანი არ აქვს. მეორე მხრივ, ყველა ეს პრობლემური სფერო ერთმანეთს უკავშირდება და მათი გაუმჯობესება შესაძლებელია, თუ საქართველო ბაზარს კიდევ უფრო გააფართოებს. ადგილობრივი ბაზრის ინვესტორებისთვის გახსნით ქვეყანა მიიღებს არა მხოლოდ მეტ კაპიტალს, არამედ მათ გამოცდილებას, ტექნოლოგიებში გაცნობიერებულობას, რაც მომავალში ინოვაციისა და მზარდი კონკურენტუნარიანობის საწინდარი შეიძლება გახდეს.

საქართველოს გლობალურ კონკურენციაში ჩართვა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა მსოფლიო ეკონომიკაში განუხრელი ინტეგრაცია. ამავე დროს, საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურება დაეხმარება აღორძინებას, ეკონომიკის მოდერნიზაციას. ყოველივე ეს მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ოპტიმალური ჩართვის სტრატეგიის შემუშავებას, მის თანმიმდევრულ რეალიზაციას, ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, პერსპექტიული დარგების დაცვასა და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას. ქვეყანამ კიდევ უფრო უნდა აიმაღლოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, დაეყრდნოს იმ დარგებსა და წარმოებებს, რომელთაც ამისათვის შესაბამისი წინაპირობები გააჩნიათ.

თავი V
საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება და რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკა

5. 1. კონკურენტუნარიანობა და რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკა

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, განვითარების უთანასწორობასთან, ერთპოლარული და მრავალპოლარული სამყაროს ფორმირების ტენდენციებს შორის ბრძოლის გაძლიერებასთან, ქვეყნებს, რეგიონებს და ფირმებს შორის კონკურენტული ბრძოლის გაძლიერებით. ასეთ პირობებში, როცა ბაზარი ღებულობს აღიარებას ზოგადცივილიზაციური ღირებულების სახით, ნებისმიერი სახელმწიფოს ძალა და სიმძლავრე უმეტესწილად განისაზღვრება მისი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობით.

სწორედ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა უდევს საფუძვლად ქვეყნების, რეგიონების და ფირმების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. ქვეყნის და მისი რეგიონების განვითარება დამოკიდებულია ბაზრის ყველა ელემენტზე და, პირველ რიგში, ფირმების კონკურენციაზე. მაგრამ ფირმების კონკურენტული უპირატესობა და მისი შეინარჩუნება ადგილობრივ პირობებთან მჭიდრო კავშირშია.

ბოლო პერიოდში, დარგების გლობალიზაციის მიუხედავად ქვეყნებისა და რეგიონების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონკურენტებთან ბრძოლაში ფირმების წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, ქვეყნები და რეგიონები ვითარდება კონკურენტულ გარემოში. ცივილიზებული და დინამიურად განვითარებადი ბაზრისათვის პირობების უზრუნველყოფა, კონკურენტული გარემოს შექმნა ქვეყანის ეროვნულ პრიორიტეტებს შორის ძირითადია და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

კონკურენტუნარიანობა იქმნება სხვადსხვა - პროდუქტის (მომსახურების), კომპანიის, დარგის (ბაზრის), რეგიონის, ქვეყნის დონეზე. შესაბამისად, უნდა განვასხვავოთ პროდუქტის, ფირმის, დარგის, რეგიონის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. ზოგადად, კონკურენტუნარიანობა ეს არის შესაძლებლობა, კონკურენტული ბაზრის პირობებში შეასრულო ფუნქციები (დანიშნულება, მისია) შესამაბისი ხარისხითა და ღირებულებით.

კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს სხვა ანალოგიურ ობიექტებთან შედარებით. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შეფასება ხდება ორი მიმართულებით: გარე და შიდა კონკურენტუნარიანობის ანალიზი. გარე და შიდა კონკურენტუნარიანობის კვლევის შედეგები, რომლებიც მიეკუთვნება საქართველოს განვითარების რესურსების პოტენციალის შეფასებას (ნახ.1), საშუალებას იძლევა გავაკეთოდ დასკვნა საქართველოს კონკურენტუნარიანობის საერთაშრორისო დონის ცვლილების შესაძლებლობის შესახებ, კერძოდ, ქვეყნის საექსპორტო სპეციალიზაციის პრობლემის მოგვარების, ეფექტური ინსტიტუტების ფორმირების, ადამიანურ კაპიტალზე შეჩერებით ინვესტიციური და ინოვაციური განვითარების სტიმულირების, მაკროეკონომიკური დინამიკის გაძლიერების პრობლემის მოგვარების საფუძველზე.

დღესდღეობით საქართველო ემხრობა უპირატესად კონკურენტუნარიანობის „ქვედა გზის" სტრატეგიას. ამასთან, ასეთი სტრატეგია შერჩეულია არა იმიტომ, რომ ქვეყანაში არ არის „მაღალი წყობის" კონკურენტული უპირატესობები (ადამიანური კაპიტალი, ინოვაციური პოტენციალი), არამედ იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ მიმართულებით არ არსებობდა გააზრებული და ადეკვატური სახელმწიფო სტრატეგია. ცხადია, რომ ერთადერთ ალტერნატივას საქართველოს ეკონომიკისათვის განვითარების გარე და შიდა პრიორიტეტების რეალიზაციის მიზნით, ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის, ადამიანური კაპიტალისა და ინსტიტუციონალური გარემოს განვითარების, ეკონომიკის ადეკვატუ-

რი სტრუქტურის ფორმირების და გარე პირობებთან ეფექ-ტიანი ადაპტაციის საფუძველზე კონკურენტუნარიანობის „ზედა გზაზე" გადასვლა წარმოადგენს.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის პრობლემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამრეწველო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო კონკუ-რენციის გამძლავრების დროს, საქართველოს მრეწველობის კონკურენტუნარიანობის პრობლემის კვლევას აზრი აქვს მხოლოდ საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და გარე ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების პირობებში. მსოფლიო ბაზარზე ეროვნული მეწარმეობის მყარი ეკონომი-კური განვითარება მხოლოდ მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებით არის შესაძლებელი. ამგვარად, ეროვნუ-ლი მეწარმეობის კონკურენტუნარიანობა გადამწყვეტი ფაქ-ტორია, რომელიც განსაზღვრავს ყველა ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ამიტომაც, ყველა დონეზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. იგი ახდენს ეკო-ნომიკურ სტრატეგიასა და პოლიტიკის შემუშავებას, უზრუნ-ველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შიდა და მსოფლიო ბაზრებზე ქმნის პირობებსა და მექანიზმებს ეროვნული მე-წარმეების კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციი-სათვის. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სის-ტემაში ნორმაა ეროვნული ექსპორტიორების მხარდაჭერა, მათი ინტერესების დაცვა რეგიონალურ და გლობალურ დო-ნეებზე მმართველობითი ორგანოების აქტიური მონაწილეო-ბით.

სხვადასხვა ქვეყნების სამეწარმეო პოლიტიკის ანა-ლიზმა და განზოგადებამ მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკე-თების საშუალება. ეკონომიკის განვითარების ძირითად მა-მოძრავებელ ძალას ინოვაციური პროცესი, პროდუქტის ახა-ლი სახეების შექმნა წარმოადგენს. ინოვაციების წარმოქმნის რეგიონებიდან ახალი პროდუქტი ეკონომიკური სივრცის

სხვა რეგიონებში ვრცელდება. რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში წარმოიქმნება განსხვავებები. ფირმები ახდენენ ადაპტაციას ახალ საბაზრო პირობებთან მოქნილი საწარმოო ტექნოლოგიების გამოყენების, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობების დამყარების ხარჯზე. მოქნილი სპეციალიზაციის სამეწარმეო პოლიტიკა ხელს უწყობს სამეწარმეო კლასტერების შექმნას, „მყიდველი-მომწოდებელი" ქსელის განვითარებას, ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამების შემუშავებას, ვენჩერული ინოვაციური პროგრამების შექმნას, საკუთრებაში და ფირმების მართვაში მომუშავეების მონაწილეობას.

სამეწარმეო პოლიტიკის სამი სახე გამოიყენება: ექსპორტზე და შიდა მოთხოვნაზე ორიენტირებული, საკუთარი ბუნებრივი და განუმეორებადი რესურსების გამოყენების შეზღუდვაზე მიმართული (ნავთობი, ტყე, ეკოლოგია და სხვა). ამჟამად, საქართველოსათვის აუცილებელია ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზარზე დამოკიდებულების გადალახვა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შეძლებს ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტში მკვეთრად განსაზღვროს სამეწარმეო პოლიტიკის პრინციპები, მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები.

ჩვენი აზრით, ეროვნულ სამეწარმეო პოლიტიკაში უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოს სტრატეგიისა და ტაქტიკის, კორპორაციებისა და საკუთრების ყველა ფორმის ფირმის შეთანხმება, ქვეყნის სამეწარმეო განვითარების მიზნების მისაღწევად დარგის და რეგიონის მასშტაბებში. იგი იქმნება სამოქალაქო საზოგადოების ყველა ინსტიტუტის ზემოქმედებით და შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სუბიექტებთან ურთიერთქმედებების ხასიათსა და ფორმებზე, განსაზღვრავს გარე ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებებს დია ეკონომიკის პირობებში და ქმნის ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებს.

ქართული ეკონომიკის ძირითადი კონკურენტული უპირატესობები

გარე კონკურენტუნარიანობა	**შიდა კონკურენტუნარიანობა**
გეოეკონომიკური მდგომარეობა: <<+>> განსაზღვრული კონკურენტული უპირატესობების არსებობა სხვა ფირმებთან შედარებით; <<->> კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე საერთაშორისო ინსტიტუტების ძირითადი ინდიკატორებისა და შეფასებების მიხედვით. **საექსპორტო პოტენციალი:** <<+>> ბუნებრივი რესურსების რიგი სახეობის მნიშვნელოვანი რეზერვები, მსოფლიო ბაზარზე აგრარული სექტორის, სატყეო მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაფართოება; <<->> ინფრასტრუქტურის მხრიდან შეზღუდვა (მილსადენების გამტარუნარიანობის დაბალი შესაძლებლობები და სხვა), ეროვნული მოპოვებითი სექტორის ზედმეტად განვითარება, ნედლეულის მწარმოებლების საფასო კონკურენტუნარიანობის დაბალი რეზერვი, მაღალი გადანაწილების პროდუქციის დაბალი წონა მსოფლიო წარმოებაში. **განვითარების პერსპექტივები:** ქვეყნის სპეციალიზაცია ენერგორესურსების მოპოვებაზე, ტყის და სოფლის მეურნეობის (ხ/მ) პროდუქციის ცალკეული სახეების გადამუშავებაზე.	**ადამიანური კაპიტალი:** <<+>> მაღალი კვალიფიკაცია; <<->> შრომითი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება პერსპექტივაში, შრომითი დისციპლინის საშუალო დონე, დაბალი მობილურობა. **ფიზიკური კაპიტალი:** <<+>> ეკონომიკის ტექნოლოგიური აღჭურვის წყარო მის მოდერნიზაციაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების პირობებში, მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი–მოლიანი ეროვნული დანაზოგები მშპ 30%; <<->> ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ცვეთა, არასაკმარისი მწარმოებლურობა, მასშტაბური ექსპორტი საზღვარგარეთ და ა.შ. კაპიტალზე ორიენტაციის ალტერნატივების არარსებობა როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძვლები. **ინოვაციური სფერო:** <<+>> თავდაცვისა და მეწარმეობის სხვა დარგებში მაღალი ტექნოლოგიების არსებობა, ორგანიზაციების ფართო ქსელი რომლებიც ატარებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს. <<->> მაღალი ტექნოლოგიების დაბალი ხვედრითი წონა მსოფლიო ბაზარზე, ინვესტიციების უკმარისობა, მეცნიერებისა და ბიზნესის სუსტი კავშირი და სხვა. ქვეყნის სპეციალიზაცია მეცნიერული პროდუქციის სხვადასხვა სახეობებზე შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების დაფინანსების გაზრდით, საწარმოების ინოვაციური აქტიურობის სახელმწიფო სტიმულირებით, განვითარების ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებით. **ინსტიტუციონალური გარემო:** <<+>> ძირითადად ფორმირებული საბაზრო ინსტიტუტები; <<->> ძირითადი საბაზრო ინსტიტუტების განვითარებისა და შედეგიანობის პრობლემები.
პრობლემური ველი: –ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; –ზრდადი ტექნოლოგიური და ინოვაციური ჩამორჩენა კონკურენტებისაგან; –უფსკრული სოციალური ვალდებულებების ზრდასა და ეკონომიკის შენელებულ ზრდას შორის; –ეკონომიკის ნავთობის სექტორის ზრდის შეჩერება; –ინფლაციის შეცერება და ლარის კურსის განმტკიცება; –ეროვნული მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე მსოფლიო ბაზარზე.	

სქემა 5.1. საქართველოს კონკურენტული უპირატესობების შეფასება

რეგიონული, სახელმწიფო, ეროვნული სამეწარმეო პოლიტიკის ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასება შეიძლება იყოს დამატებითი ღირებულების, მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდა.

სამეწარმეო პოლიტიკის ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:

1) საწარმოებში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

2) მეწარმეობისა და ეკონომიკის მყარი ეკონომიკური ზრდის საფუძველზე რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;

3) გადამამუშავებელი მეწარმეობის შესაძლებლობების, რეგიონის მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის გამოყენების აქტივიზაციის ხარჯზე საწამოს კონკურენტული უპირატესობების შემცირება;

4) გადამამუშავებელი დარგების საწარმოების აგრარულ კომპლექსთან ურთიერთობის გაძლიერება;

5) ქიმიური და მანქანათმშენებელი საწარმოების კომპლექსის განვითარება და სხვა.

რეგიონის სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით, მისი რეალიზაციისათვის გამოყენებული ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით, საქართველოში სამეწარმეო პოლიტიკა განვითარებული ქვეყნების, უპირატესად კი ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მახასიათებლებს მიუახლოვდა. ზემოთ განზოგადებულ რეგიონულ სამეწარმეო პოლიტიკაში უნდა ვიგულისხმოთ მიზნების, ინსტრუმენტების და მექანიზმების სისტემა, როგორც რეგიონის ეკონომიკაზე მართვის ორგანოების ზემოქმედება, რომლებიც მიმართულია რეგიონის საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ და მისი განვითარების ძირითადი მიზნებიდან–მოსახლეობის ცხოვრების დონის ამღლებიდან – გამომდინარეობს (იხ.სქემა 5.2).

ამ ტენდენციის განმტკიცებისათვის აუცილებელია საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში აქტიური მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის შემუშავე-

ბა, საწარმოების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარება, ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და ამის საფუძველზე განვითარების გრძელვადიანი გეგმების ფორმირება.



სქემა 5. 2 რეგიონის სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები

მნიშვნელოვანია როგორც საწარმოებს შორის, ასევე საწარმოების მეცნიერულ ორგანიზაციებთან ინტეგრაცია. აუცილებელია არსებული სიმძლავრეების გამოყენება, რომლებიც ადაპტირებულია ბაზრის თანამედროვე პირობებთან (მოთხოვნა, ფასი, ხარისხი და სხვა). ტექნოლოგიური ბაზის გაფართოება უნდა მოხდეს მეცნიერული ტექნოლოგიების ხარჯზე, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს არ მოითხოვენ. მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციურ ბიზნესზე ყურადღების მიქცევა.

მთლიანობაში, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, უნდა გახდეს იმ წარმოებების მხარდაჭერა, რომლებიც არ ამოწურავენ თავიანთი განვითარების პოტენციალს და რომელთაც შეუძლიათ საბაზრო მოთხოვნის გასაჯერებლად მაღალეფექტიანი პროდუქტები გამოუშვან. პრობლემის გადასაწყვეტად უნდა შემუშავდეს რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმი, ასევე არსებული სამეწარმეო პოტენციალისა და მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე განხორციელდეს სამეწარმეო პროდუქტის ახალი სახეობების მაღალეფექტიანი წარმოებების შექმნა.

5.2. რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინოვაციური ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში[45]

მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში კონკურენტუნარიანობის პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით კი მსოფლიო მეურ-

[45] გეჩბაია ბ. რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინოვაციური ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. უფრო დაწვრილებით იხილეთ ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ №1 (3). გვ., 64-69. თბ., 2011.

ნეობის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მკვეთრად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების როლი ეროვნული ეკონომიკისათვის, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის დონე უცხოური საქონლისათვის, მომსახურების და კაპიტალის როლი. კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს უნივერსალურ მოთხოვნილებას. ბევრი ექსპერტის აზრით, ქვეყნის კონკურენუნარიანობაში მოიაზრება მისი ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობა - აწარმოოს და მოიხმაროს საქონელი და მომსახურება სხვა ქვეყნებში წარმოებულ საქონელთან და მომსახურებასთან კონკურენციის პირობებში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით და საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით.

წარმოების დინამიკა, ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების დონე პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონეზე ფლობს უპირატესობებს ეროვნული მეურნეობა, მისი ცალკეული დარგები და საწარმოები მეტოქეებთან ეკონომიკურ შეჯიბრში. ამიტომაც დარგებისა და ფირმების კონკურენტუნარიანობის დონეზე დამოკიდებულებით დგინდება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები და სტრუქტურა, ყველა ქვეყნის სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსები, განისაზღვრება მსოფლიო მეურნეობაში კონკრეტული ეროვნული ეკონომიკის პოზიციონირება.

საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის საკითხი ორმაგად აქტულური აღმოჩნდა: მისი შემადგენლობა დაკავშირებულია არამარტო გლობალიზაციის მოთხოვნებთან, არამედ იმასთან რომ მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია. სოციალიზმის პირობებში, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყო მსოფლიო ბაზარს და ცდილობდა შეექმნა განსაკუთრებული „მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა", სადაც კონკურენტუნარიანობის საკითხს მსოფლიო ბაზარზე არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

საქართველოს გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე ნიშნავდა მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთობის გაძლიერებას, მასში განსაზღვრულ პოზიციონირებას და შედეგად, მსოფლიო ბაზარზე ეროვნული საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის საკითხის დაყენებას.

ნებისმიერი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მისი კონკურენტული უპირატესობები. მათი თანამედროვე გაგების მიხედვით, ისინი იყოფა ბუნებრივ უპირატესობებად, რომლებიც ქვეყანას გააჩნია თავიდანვე, და განვითარებულ უპირატესობებად, რომლებიც ფორმირდება მოცემული სოციუმის გაცნობიერებული პოლიტიკის მეშვეობით. პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი გეოგრაფიული, კლიმატური, ინფრასტრუქტურული ფაქტორები, მოსახლების დიდი რაოდენობა, იაფი მუშახელი და ა.შ. განვითარებული შედარებითი უპირატესობები - ეს არის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა, ინოვაციები ყველა სტადიაზე - საქონლის დიზაინიდან მომხმარებლამდე მისი მიტანით, ადამიანური კაპიტალის მაღალი ხარისხი, მათ შორის შრომითი რესურსების კვალიფიკაცია და ა.შ. საქართველოს გააჩნია რამდენიმე ბუნებრივი უპირატესობა (უპირველეს ყოვლისა საკმაოდ მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები), მაგრამ განვითარებული უპირატესობებით ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიოში წამყვანი პოზიციებისაგან.

არცთუისე უბრალო საკითხია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მაკრო და მიკროდონეზე, ანუ ცალკეული კომპანიების დონეზე. ამჟამად საქართველო გარკვეულ საზღვრებში კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე, ანუ მაკროდონეზე ნედლეულის ექპორტით. ასეთი კონკურენტუნარიანობა ნაკლებად გამძლე და არასტაბილურია. ნედლეულის მოდელიდან საქართველოს გადასვლა მსოფლიო ეკონომიკაში ისეთ მოდელზე, რომელიც ეყრდნობა მზა ნაკეთობების კონკურენტუნარიან მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, გამოიწვევს ფირმების დონეზე ანუ მიკროდონეზე კონკურენციის როლის ზრდას, სადაც პირველ პლანზე წამოიწეოდა უპირა-

ტესობები არა იმდენად წარმოების გაძლიერებაში, რამდენადაც საქონლისა და მომსახურების ხარისხსა და სიახლეში.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანად და მისი მიზანმიმართული სამეწარმეო პოლიტიკა ნაწილობრივ. საქართველოში, მყარი ეკონომიკური ზრდა ითვალიწინებს შესაბამისი სამეწარმეო პოლიტიკის გატარებას, და ასევე სახელმწიფო ხელისუფლებისა და საწარმოთა გაერთიანების სტრუქტურებს შორის ურთიერთქმედებას ძლიერი სამეწარმეო კორპორაციების, საფინანსო-სამეწარმეო ჯგუფების და კერძო კაპიტალის სხვა ფორმების სახით.

ქვეყნის ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ, ხელსაყრელი ტექნოლოგიური და სამეწარმეო პოლიტიკის გატარებით, საქართველოს ექნება პროდუქციის ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა. ტექნოლოგიური პროგრესის ამოცანების გადასაწყვეტად, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა შეიქმნას ინოვაციის მხარდამჭერი სფერო. უნდა განხორციელდეს ინოვაციური და ინტელექტუალური კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისა და გამოყენების მიზანმიმართული პოლიტიკა, ნაცვლად ტრადიციული ბუნებრივი შედარებითი უპირატესობებისა, რომლებიც ორიენტირებულია მხოლოდ ბუნებრივი ნედლეულის ექსპორტზე. საქართველოსთვის აუცილებელია თანამედროვე სამეწარმეო ფენა, თანამედროვე კონკურენტული სფერო და ერთის და მეორის რეალური მხარდაჭერა. ამისათვის საჭიროა ეროვნული საფინანსო-საბანკო სისტემის გაძლიერება, ეკონომიკაში ინვესტიციური პროცესების გაფართოება.

როგორც ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფაქტორს, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო - სავაჭრო და საგარეო - ეკონომიკურ პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკა შეიძლება ფართოდ იყოს გამოყენებული როგორც ეროვნული

წარმოების მიზანმიმართული მხარდაჭერის ფაქტორი, რომელსაც აქვს შანსი გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. ჯერჯერობით მცირედ გამოიყენება ინსტრუმენტები ეროვნული დარგების დასაცავად და მათი კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად -ანტიდემპინგური, სპეციალური და მაკომპენსირებელი გზავნილები, არასატარიფო შეზღუდვები კვოტირებისა და ლიცენზირების ჩათვლით, ე.წ. ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები.

ბოლო დრომდე უკიდურესად სუსტად ან საერთოდ არ გამოიყენება სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ზომების არსენალი. იგულისხმება ინსტრუმენტები ექსპორტის სტიმულირებისათვის, რომლებიც არის ზოგადად მიღებული და რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ეფექტურობა ბევრ ქვეყანაში.

საქართველო თანდათან გადადის თანამედროვე ინდუსტრიულ ერაში, მაშინ როცა დასავლეთის ქვეყნები და იაპონია უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ პოსტინდუსტრიულ ერაში. ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოდ იმისთვის რომ რეალურად შევიდეთ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში. ამისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს გლობალიზაციის ობიექტური პროცესი, რომელიც დღესდღეობით მიმდინარეობს მსოფლიოში.

გლობალიზაციის განვითარების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო მექანიზმი, მსოფლიოში სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაცია, საერთაშორისო „საბაზრო გაერთიანების" მუდმივი გაფართოება. შემთხვევითი არ არის დღესდღეობით რომ საუბრობენ არამარტო მსოფლიო ვაჭრობის და საერთაშორისო საფინანსო სისტემის განვითარებაზე, არამედ ასევე ინტერნეტ-ინვესტირებაზე, ინტერნეტ-ბირჟაზე, ინტერნეტ-ინოვაციებზე და ა.შ. საუბარია არამარტო მსოფლიო ეკონომიკის ინტერნეტიზაციაზე, არამედ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაზე, ე.წ. „ახალი ეკონომიკის" ბაზაზე.

ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებაში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს

საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა აშშ-ს, იაპონიის და დასავლეთ ევროპის გამოცდილების.

დღესდღეობით უკვე ზოგადად აღიარებულია რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გასაღები მდგომარეობს თავისუფალ მეწარმეობაში, საბაზრო მექანიზმებში. თავის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური ეკონომიკა აფართოებს და აღრმავებს საბაზრო წრეს, აძლევს მას ახალ თვისებებს ინოვაციური პროცესისა და უახლეს წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირების ბაზაზე.

თუმცა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ინტელექტუალური ეკონომიკის შესაქმნელად, რომელიც დაფუძნებულია ცოდნაზე და ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მკვეთრი ამაღლებისათვის, მხოლოდ საბაზრო მექანიზმების გამოყენება არ არის საკმარისი. საჭიროა კარდინალური ზომების მიღება სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური სტრატეგიის ფორმატში: ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება, არსებული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, მცირე ბიზნესის (მათ შორის ინოვაციურის) მხარდაჭერა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება, კადრების მომზადების სრულყოფა და ა.შ.

აუცილებელია ინოვაციური კლასტერების ფორმირება–სამეწარმეო ფირმების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და მომხმარებელთა წარმომადგენლების კომპლექსები ინოვაციური პროექტების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის. ამასთან, ქვეყნის სამეცნიერო ინსტიტუტები და მსხვილი უნივერსიტეტები უნდა გახდეს ეროვნული ცენტრები მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებისა და მათი შესაბამის კომერციულ ინოვაციურ სტრუქტურებზე გადაცემისათვის.

აგრეთვე აუცილებელად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ზრდის ინოვაციური განვითარების პრიორიტეტულობის აღიარება.

სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სპეციალური პროგრამები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ქართული მეწარმეობის ინოვაციური განვითარებისათვის. ასეთი პროგრამები არსებობს არამარტო აშშ-ში არამედ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, რომლებსაც უკვე დიდი ხანია შემუშავებული აქვთ თავიანთი ეროვნული სამეცნიერო პოლიტიკა.

აუცილებელია მსოფლიო ბაზარზე სერიოზული (მყარი) პოზიციების დაკავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მყარი პოზიციების დაკავება მაღალტექნოლოგიური და მეცნიერული პროდუქციით. ამისათვის მნიშვნელოვანია საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შერწყმა, მოწინავე ტექნოლოგიების ფართო გამოყენება და წარმოების გადაყვანა მაღალ ტექნოლოგიებზე. უდიდესი რეზერვი – რეგიონულ დონეზე ინოვაციური პროცესის დაჩქარება და სტიმულირება, ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის კონკურენციის გაფართოება (გაძლიერება, გამძაფრება).

დღეისათვის არც ომის ძალა და არც ეკონომიკური სძლიერე არ განსაზღვრავს მსოფლიო ლიდერობას. მსოფლიო ლიდერობას განსაზღვრავს მეცნიერება, ცოდნა, მოსახლეობის განთლება, მომუშავეთა კვალიფიკაცია, რომლებიც დაინტერესებული არიან ინოვაციური პროცესის მასშტაბების მუდმივი ზრდით.

ჩვენი ქვეყნის ინოვაციური მიმართულების განვითარებაზე გადასლვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება. საქართველოს აქვს შესაძლებლობა ასეთი თანამშრომლობა გააფართოოს და გააძლიეროს არამარტო აშშ-სთან არამედ ევროკავშირთანაც.

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ პირობებში გლობალიზაცია არის საქართველოსათვის რეალური შანსი შევიდეს განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებში, მიიღოს არამარტო აუცილებელი გამოცდილება ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის,

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, არა-მედ ასევე მიიღოს ამ მიზნისათვის ფულადი სახსრები.

5. 3 კლასტერიების როლი რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ხანგრძლივი პროცესი ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ახალ მოთხოვნებს უყენებს. კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია შრომის მწარმოებლურობის ზრდა. იგი, მართვის ყველა დონეზე, ინოვაციური სტრატეგიების დანერგვის საფუძველზე განაპირობებს მისი ამაღლების უზრუნველმყოფი ეფექტიანი გადაწყვეტილებების რეალიზაციის აუცილებლობას. მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისას შეიძლება აღინიშნოს, რომ ეფექტიანი გადაწყვეტილებების შემუშავება და რეალიზაცია შესაძლებელია რეგიონული კლასტერების ფორმირების გზით. ტერიტორიები, სადაც ყალიბდება კლასტერები, ეროვნული ეკონომიკისა და მათი საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიდერებად გამოდიან. განსაკუთრებით ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფოს, ზემოქმედება ეკონომიკაზე, ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, უპირატესად უნდა იყოს ირიბი, მარეგულირებელი და უნდა უზრუნველყოფდეს რესურსების შედეგიან განაწილებას. კლასტერული მიდგომა, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რეგიონული და ბიზნეს-სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობით, შესაძლებლობას გვაძლევს სრულად იქნას რეალიზებული ეს ირიბი ზემოქმედება. გარდა ამისა, კლასტერული ინიციატივები სტიმულს აძლევს რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას იმდენად, რამდენადაც ამჟამად მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, როგორც წესი, ამჯობინებენ ინვესტირებას იმ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც უკვე ფუნქციონირებს კლასტერები აუ-

ცილებელ დარგებში, ან თუნდაც ის, რომ უკვე არსებობს წანამძღვრები მათი ფორმირებისათვის.

კლასტერული მიდგომის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ იგი შესაძლებელს ხდის აუსტორსინგის პრაქტიკულ რეალიზებას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მსხვილი კომპანიები დღეს ცდილობენ თავიანთი საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე კონცენტრირებას და შუალედური პროდუქტების წარმოებას, ძირითადი მომსახურეობების სფეროს კი სხვებს გადასცემენ. ამ მიზნით, კლასტერების შექმნა ძლიერ გავლენას ახდენს მცირე ბიზნესზე. ძირითადი კლასტერწარმომქმნელი ფირმების მყარი საერთაშორისო პოზიციები სტიმულს აძლევს მისი მომსახურე საწარმოების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იაპონიის საავტომობილო საწარმოები, რომლებიც ვითარდება ნაციონალური ავტოგიგანტების კვალდაკვალ და ხსნიან თავიანთ ფილიალებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

კლასტერული ინიციატივები წარმოჩინდა, როგორც რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ყველაზე წარმატებული სტრატეგიები, რადგან მათ შეძლეს რეგიონული ეკონომიკის ძირითად მოთამაშეებს შორის ეფექტიანი კავშირების დამყარება. კლასტერების წყალობით სახელმწიფო სექტორები რეგიონებში უკეთ ახერხებენ ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებების რეგულირებას, სამეურნეო განვითარების ტენდენციების პროგნოზირებასა და კორექტირებას დაინტერესებულ მხარეთა ძალისხმევის კოორდინაციის ხარჯზე. სწორედ ეკონომიკის განვითარების ეფექტიან კლასტერულ მოდელს შეუძლია მყარად მოახდინოს ტექნოლოგიათა სიახლეების, ნოუ ჰაუს, აღმოჩენების გენერირება, აგრეთვე სხვა ქვეყნებში შემუშავებული ახალი პროცესების, ტექნოლოგიების, პროდუქტის მიმართ ადაპტირება.

რეგიონის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება როგორც მეურნეობის ამა თუ იმ კონკურენტუნარიანი სექტორის არსებობით, ასევე ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების უნარით – შეუქმნან პირობები რეგიონალურ საწარმოებს გარკვეულ დარგებში კონკურენტული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისთვის. ამავე დროს, წამყვანი როლი რეგიონის კონკურენტული მდგრადობის მიღწევაში ეკისრება ინოვაციურ კლასტერებს, ვინაიდან სწორედ ისინი აყალიბებენ ცოდნის კრიტიკულ მასას და ახდენენ ინოვაციური ნაკადის გენერირებას, რაც აუცილებელია კონკურენტული წარმატებისთვის.

კლასტერის ბირთვად, როგორც წესი, გამოდის მსხვილი ფირმა ან მსგავსი ფირმების გაერთიანება, რომლებიც ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების მეშვეობით ურთიერთქმედებენ კლასტერში მონაწილე სხვა ორგანიზაციებთან. გარდა კლასტერის ბირთვისა, არსებობს აგრეთვე დამხმარე ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელ ტექნოლოგიას, ინფორმაციას, კაპიტალსა და ინფრასტრუქტურას.

საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კლასტერული სტრუქტურების ჩამოყალიბება და სპეციალური სტიმულირების პროგრამების წარმატებით რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ საერთო რეგიონული სტრატეგიის არსებობის პირობებში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საერთაშორისო კლასტერის შექმნა საერთო რეგიონული განვითარებისგან მოწყვეტით, მთლიანობაში, არაეფექტიანია, ხშირად კი შეუძლებელიც.

რეგიონული ხელისუფლების მიერ კლასტერული მიდგომის რეალიზაციისას მიღებული უპირატესობები იმაში მდგომარეობს, რომ კლასტერი იძლევა ყურადღების ფოკუსირების შესაძლებლობას ეკონომიკის პრობლემებსა და უპირატესობებზე. კლასტერების მართვის ორგანოებისათვის, რომელშიც შეიძლება შედიოდნენ სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი და კონცენტრირებული ინფორმაცია საწარმოთა საქმი-

ანობაზე, ეკონომიკის მოცემული სექტორის მდგომარეობასა და შრომითი რესურსების ბაზრის შესახებ, რაც არსებითად ამცირებს ხელისუფლების ორგანოების მიერ შესრულებული ანალიტიკური სამუშაოს მოცულობას და ადიდებს მისი სარწმუნოობის დონეს.

ბიზნეს-სტრუქტურების მიერ მიღებული უპირატესობები დაკავშირებულია პროდუქტის გასაღების ბაზრებზე გასვლისა და ნედლეულისა და მასალების მიწოდების ბარიერების არსებით შემცირებასთან, დანახარჯების შემცირებასთან მასშტაბის ეფექტის ხარჯზე, რომელიც მწარმოებლებისა და მომხმარებლების კოოპერაციისას ვლინდება. კლასტერი მწარმოებლებს აძლევს ახალ შესაძლებლობებს წარმოქმნილი პრობლემების სისტემატიზაციისათვის, მათი დაძლევის გზების არჩევისათვის. რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ურთიერთმოქმედების წყალობით იძებნება მათი იმ ნაწილის გადაწყვეტის მეთოდები და საშუალებები, რომლებიც რეგიონის კომპეტენციის სფეროშია. კლასტერის ავტორიტეტზე გავლენის გამოყენებით ბიზნესი და რეგიონული ხელისუფლება ერთობლივად ეძებენ თავიანთი ინიციატივების ყველაზე ეფექტიანი განხორციელების გზებს რეგიონალური სტრუქტურების მეშვეობით, კანონპროექტების მომზადებისა და რეგიონალური დონეზე რეგიონული და დარგობრივი ინიციატივების გატარების ლობირების ჩათვლით.

რეგიონული მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა ტერიტორიების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, პირველ რიგში ეს ეხება რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანი მოდელის არჩევანთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

კონკურენტუნარიანობა რთული მრავალასპექტიანი ცნებაა, რომელიც ორგანულადაა დამახასიათებელი მეურნეობრიობის საბაზრო სისტემისათვის. ყველაზე ზოგადი სახით კონკურენტუნარიანობა ნიშნავს თავისი ფუნქციის, დანიშნულების, მისიის შესრულებას მოთხოვნილი ხარისხითა

და ღირებულებით კონკურენტული ბაზრის პირობებში. რეგიონის კონკურენტუნარიანობა არის რეგიონის უნარი წარმატება მოიპოვოს ეკონომიკურ შეჯიბრებებში საქონლის გასაღების შიგა და მსოფლიო ბაზრებზე, ასევე ბიზნესის განვითარებისათვის გარემოს, ინვესტიციური მიმზიდველობის შექმნაში როგორც შიგა, ისე უცხოური ინვესტიციებისათვის, ცხოვრების ხარისხში და ა.შ.

არსებობს კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მრავალი თეორია, რომელთაგან ერთ-ერთია ეკონომიკის კლასტერული მართვის თეორია. ეს თეორია ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. კლასტერული მიდგომის გამოყენების შედეგები ცნობილია სახელგანთქმული „სილიკონის ველის“, ფინეთის სატყეო და ქაღალდის, შესაფუთი მასალების და პოლიგრაფიული კლასტერის, ნორვეგიის გემთმშენებლობის კლასტერისა და იტალიის „სამრეწველო რაიონების“ სახით.

კლასტერული კონცეფცია ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე. კონცეფციას საფუძვლად უდევს მ. პორტერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტების სისტემა, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანობის ოთხ დეტერმინანტს. კლასტერში კონკურენტი ფირმების, ასევე მხარდამჭერი და მონათესავე დარგების, რესურსების ძლიერი და მომთხოვნი მომწოდებლებისა და განვითარებული ელემენტების მქონე მომხმარებლების არსებობა რეგიონის ეკონომიკას საერთაშორისო დონეზე კონკურენციის გაწევის უნარს ანიჭებს.

მაიკლ პორტერის თეორიის თანახმად, კლასტერი – ეს არის „ცალკეული ერების, ქვეყნებისა და ქალაქების ცხოვრებაში განსაკუთრებული როლის მქონე ფირმების, მომწოდებლების, უთიერთდაკავშირებული დარგების გეოგრაფიული კონცენტრაცია... კლასტერები განაპირობებენ ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე; ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურ-

თიერთდამოკიდებულებების აგების ახალ ხერხებზე, როგორიცაა ბიზნესი–მთავრობა ან ბიზნესი–ინსტიტუტები“. მ. პორტერი მოცემულ განმარტებაზე ყურადღებას ამახვილებს თავისი ცნობილი წიგნის „კონკურენციის“ შესავალში, რაც მიუთითებს რეგიონული ფაქტორის ცენტრალურ როლზე კლასტერების წარმოქმნის პროცესებში.

კლასტერების ან სამრეწველო ჯგუფების თეორიამ გაგრძელება ჰპოვა მეორე ამერიკელი მეცნიერის მ. ენრაიტის ნაშრომებში. მან შექმნა „რეგიონული კლასტერის“ თეორია და მისცა მას შემდეგი განმარტებები:

რეგიონული კლასტერი – ეს არის სამრეწველო კლასტერი, რომელშიც კლასტერის წევრი ფირმები გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან.

რეგიონული კლასტერი – ეს არის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე მონათესავე დარგში მომუშავე ფირმების ეკონომიკური აგლომერაცია.

ამრიგად, ენრაიტის თეორიის თანახმად, კონკურენტული უპირატესობანი იქმნება არა მარტო ნაციონალურ დონეზე, არამედ რეგიონალურზე, სადაც მთავარ როლს ასრულებს რეგიონების განვითარების ისტორიული წანამძღვრები, ბიზნესის წარმოების კულტურის, წარმოების ორგანიზაციისა და განათლების მიღების მრავალფეროვნება. სწორედ რეგიონული კლასტერები საჭიროებენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიზანმიმართულ მხარდაჭერას.

საბჭოთა ეკონომიკაში თანამედროვე კლასტერული წარმონაქმნების პირველსახე იყო ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი. იგ წარმოადგენდა „სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების სივრცითი ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ყველაზე სრულად პასუხობდა მათი განვითარების ამოცანებს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში“. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის შექმნის ობიექტური წანამძღვრები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების – მინერალური ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული, წყლის, მცენარეული

და მიწის რესურსების თავისებურებებზე. რესურსების ამგვარი დაჯგუფება მათი გამოყენების სპეციფიკური ნიშნების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გადასვლამ მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ელემენტებისა და ურთიერთკავშირების სტრუქტურიდან გააქრო მნიშვნელოვანი სტრუქტურათწარმომქმნელი რგოლი – წარმოებისა და პროდუქტის მიწოდების დავალება. სახელმწიფო გეგმური დავალების ნაცვლად საწარმოებმა იწვნიეს მათ პროდუქტზე მოთხოვნის არარსებობა სხვა სამამულო და საზღვარგარეთული საწარმოების მხრიდან. პროდუქტის ძირითადმა და უმსხვილესმა მყიდველმა – სახელმწიფომ დაკარგა თავისი როლი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის საქმიანობაში საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე განადგურდა და გაქრა არსებული საწარმოო-სამეურნეო კავშირები საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის. ამ პირობებში გადარჩნენ და ვითარდებიან საწარმოები და მათი კომპლექსები, რომელთაც შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ გადახდისუნარიანი მოთხოვნილება არა მხოლოდ და არა იმდენად შიგა ბაზარზე, რამდენადაც საერთაშორისოზე. ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის სამმართველოები დაიშალა. ამის შედეგად, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ფუნქციონირებადი ობიექტებიდან ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსიის უმრავლესობა იქცა საწარმოთა ქაოსურ გაერთიანებად საერთაშორისო ბაზარზე დაბალი კონკურენტული პოტენციალით.

ერთ-ერთი ამოცანა რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში არის რეგიონის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა.

კლასტერს მთლიანობაში უნდა გააჩნდეს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე (ნაციონალურ ან მსოფლიო) მისი წილი აღემატება რეგიონის ეკონომიკის საშუალო წილს, გამოხატულს მთლიან რეგიონულ პროდუქტში აღნიშნულ ბაზარზე; კლასტერის კონ-

კურეტუნარიანობა, ხვედრითი დანახარჯებისა და პროდუქ-ტის ხარისხის მიხედვით, ტოლს არ უდებს სხვა ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკის შესაბამის სექტორებს; კლას-ტერში შემავალი დარგების მდგრადი კოოპერირება და მის საფუძველზე აგლომერაციული პროცესების, ქსელური ფორ-მებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება; კლასტერის სა-წარმოებს შორის საინფორმაციო და მარკეტინგული კავში-რების განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძ-ველზე, რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაციის ფარ-გლებში წარმოების, მიწოდებისა და მმართველობის საერთო სტანდარტების შექმნა, კლასტერული ბრენდების აქტიური განვითარება.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერუ-ლი მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება (სტრუქტურული ცვლილებე-ბი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმარ-თულობის გაძლიერება და სხვ.), არამედ ის ასევე მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგიონული განვითარების სტი-მულირებისათვის, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება მდგომარეობდეს რეგიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირე-ბაში, დასაქმების ამაღლებაში, სხვადასხვა დონის ბიუჯე-ტებში ანარიცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონული მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამალლებაში.

კლასტერების შექმნისაკენ მიმართული პოლიტიკა იწ-ყება რეგიონში მათი წარმოქმნისათვის უკვე არსებული წა-ნამძღვრებით, რომელთაგან უმთავრესია: კლასტერის განვი-თარებისათვის ფუძემდებლური მესაკუთრეებისა და კლასტე-რის ფარგლებში თანამშრომლობით დაინტერესებული სა-წარმოების არსებობა; კოოპერაციული და სხვა კავშირების, ურთიერთქმედების დამუშავებული მექანიზმების, ურთიერ-თნდობის მაღალი დონის არსებობა; საწარმოთა და ორგანი-ზაციათა მაღალი ინოვაციურ-ტექნოლოგიური დონე; კლას-ტერის პოტენციური მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზა-ციების პროდუქტის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფ-

ლიო ბაზარზე, რასაც განსაზღვრავს პროდუქტის მაღალი მოცულობა და, შესაძლოა, მაღალი ტექნოლოგიების იმპორტი; შემდგომი ინოვაციური განვითარების სურვილი; ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება რეგიონის ეკონომიკის განვითარების კლასტერული ვარიანტით და კონკურენციისა და თანამშრომლობის გაფართოებით; ბიზნესთან ურთიერთქმედების გამოცდილების არსებობა ხელისუფლების ორგანოებში, მ.შ. ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიც ნავარაუდევია კლასტერის ფორმირება; კარგი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არსებობა რეგიონში; სისტემატური მუშაობა რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის; რეგიონის ხელმძღვანელების მზაობა ბიზნესთან დიალოგისათვის თანამშრომლობის პირობებით, ბიზნესთან და ხელისუფლებასთან მუშაობის დადებითი გამოცდილება თანამშრომლობისა და კონკურენციის ზრდის პირობებში; პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური სისტემის არსებობა, რომელსაც გააჩნია ეკონომიკის შესაბამისი სექტორებისათვის კადრების მომზადების გამოცდილება

კონკურენტუნარიანობის სისტემაში კონკურენტული უპირატესობების არსთან ასევე მჭიდრო კავშირშია მათი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: უპირატესობათა წყაროები (პოტენციური რესურსები) და ფაქტორები (ის, რასაც შეუძლია გადააქციოს წყაროები კონკურენტულ უპირატესობად მათი უფრო ეფექტიანი გამოყენების და პროცესში ჩართვის გზით).

ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს შორის ეკონომისტები ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რეგიონულ კლასტერებს. კლასტერის როლი რეგიონის კონკურენტუნარიანობის მიღწევაში წარმოდგენილია სქემაზე 5.3.



სქემა 5.3 კონკურენტუნარიანობის მიღწევის ეტაპები

ბევრ ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა მოდელის კლასტერის ფორმირებასთან, ჯერ კიდევ არ გააჩნია საკმარისი თეორიული საფუძველი და სპეციალური სამეცნიერო კვლევები ესაჭიროება. ეს ყოველმხრივ ეხება ტურისტულ სფეროსაც.

კლასტერული ურთიერთქმედება განპირობებულია ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეების - სამეწარმეო და სამომხმარებლო ძალების - ერთდროული თანაარსებობით, მათი ბრძოლითა და შერწყმით. მოწინააღმდეგე მხარეების ბრძოლა და შერწყმა ქმნის დიალექტიკური მოძრაობის არსს. ყოველთვის არსებობს წინააღმდეგობა რეგიონული კლასტერის ფორმირების ეკონომიკურ პროცესში. რეგიონის მწარმოებლური ძალა ქმნის კლასტერს როგორც მატერიალური და ინტელექტუალური, სულიერი წარმოების, საქონლისა და მომსახურების წარმოების, რეგიონის ყველა სახის წარმოებების განვითარების შესაძლებლობას. სამომხმარებლო ძალა კი ქმნის რეგიონულ კლასტერს იმით, რომ იწვევს სამეწარმეო და პირადი მოხმარების მუდმივ აუცილებლობას და შესაძლებლობას. ეს ძალები განაპირობებს ერთიმეორეს, არ არსებობს ერთმანეთის გარეშე. ამიტომაც სამეწარმეო და სამომხმარებლო ძალებს შორის წინააღმდეგობა წარმოადგენს კლასტერის ფორმირების მთავარ პირობას.

რეგიონის სამომხმარებლო ძალა არის მეორადი პროცესის გამომწვევი იმდენად, რამდენადაც მთავარია რეგიო-

ნის სამეწარმეო ძალა, ამასთან ერთი ძალა გაშუალოებულია მეორე ძალით, რადგან ვერც ერთი და ვერც მეორე ძალა ვერ იარსებებს ცალკე. სამეწარმეო ძალა გადადის სამომხმარებლოში როგორც სამეწარმეო მოხმარების, ისე მთავარი სამეწარმეო ძალის - ადამიანის პირადი მოხმარების მეშვეობით. კონკურენციის პროცესში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოებისა და მოხმარების განცალკევებას, არ შეიძლება კონკურენტუნარიანობა გამიზნული იყოს მხოლოდ წარმოების ან მხოლოდ მოხმარების აქტივიზაციაზე. მოცემულ მტკიცებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი ეკონომისტი ყურადღების აქცენტირებას ახდენს რეალური ბიზნესის განვითარების აუცილებლობაზე, ამ წარმოებაში ინვესტიციების ჩადების აუცილებლობაზე. სინამდვილეში მთავარი ამოცანა უნდა იყოს როგორც წარმოების, ისე მოხმარების რეალური განვითარების ერთდროული უზრუნველყოფა რეგიონებში.

მოცემული თვალსაზრისი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ კლასტერი უნდა განვიხილოთ არამარტო როგორც გეოგრაფიულად მეზობელი ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი, არამედ როგორც მრავალპლანიანი ურთიერთქმედება ყველა ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის. აქედან გამომდინარე, ერთი რეგიონის კლასტერის ფორმირებისა და განვითარებისას აუცილებელია ამ კლასტერის საზღვრებს (ფარგლებს) გარეთ გასვლა და სხვა რეგიონის სამომხმარებლო ძალის გათვალისწინება. ეს უზრუნველყოფს კლასტერის მყარ ფუნქციონირებას.

ამავდროულად, სამეწარმეო და სამომხმარებლო ძალების ობიექტური თანაარსებობა და ურთიერთქმედება არ იძლევა კლასტერის არსებობის გარანტიას ამა თუ იმ რეგიონში. მეცნიერების აზრით, კლასტერის იმ ცნობილი ნიშნით, როგორიცაა ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული საწამოს ტერიტორიული ლოკალიზაცია, გამომუშავდა დამატებითი ნიშნები, რომლებიც მოწმობენ რეგიონში კლასტერის არსებობაზე:

1) ტერიტორიებზე ტურისტული ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც ახდენენ კონკურენტუნარიანი ტურპროდუქტების რეალიზაციას, რაც ქმნის ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარების, ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ საქმიანობაში ჩართვის საფუძველს;

2) მყარი ეკონომიკური კავშირების არსებობა ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე;

3) რეგიონში ტურისტული საქმიანობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არაკომერციული ინსტიტუტების არსებობა;

4) უნიკალური ტურისტული რესურსების არსებობა, რაც იძლევა უმცირესი დანახარჯებით ძლიერი ტურისტული ბრენდების შექმნის საშუალებას;

5) ტურფირმების შესაძლებლობა მიიზიდონ ტურისტები, რომლებიც ხარიხზე და ტურისტულ მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნილებებით გამოირჩევიან;

6) ტერიტორიაზე აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა.

აღნიშნული ნიშნები საშუალებას იძლევა განისაზღვროს საკვლევ ტერიტორიაზე ტურისტული კლასტერის არებობა ან არარსებობა თუმცა, ჩვენი შეხედულებით, საჭიროა მოცემული სია შეივსოს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტით – ტურისტულ საქონელზე მყარი სამომხმარებლო მოთხოვნილების არსებობით.

ტურისტული კლასტერის ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი როლი რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებაში ტურისტული მომსახურების ბაზარზე.

2010 წლის მონაცემების შეფასებისას გაირკვა, რომ საქართველოში ტურისტების 60 პროცენტი დსთ-ს სივრცის ქვეყნებიდან ჩამოდის. სტატისტიკაში სამი ქვეყანა - სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი ლიდერობს. 2010 წელს ახალი ტენდენციებიც გამოიკვეთა - გაჩნდა ინტერესი ახალი ბაზრების, მაგალითად, ჩინეთისა და იაპონიის მხრიდან. ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო

ბაზარია ისრაელი და ირანი, საიდანაც 2010 წელს საქართველოში წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ტურისტი ჩამოვიდა.

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კონკრეტულად შემდეგ მაჩვენებლებში გამოიხატება: შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რაოდენობა; ერთი ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილი საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში; ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადამხდელო ბალანსში; ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმის განვითარებით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა. როგორც ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ქვეყანაში ამ სფეროს განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საწინდარი გახდება.

რაში გამოიხატება კლასტერის შესაძლებლობა კონკურენტული უპირატესობების შექმნაში? კლასტერის წარმატება აუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამიტომაც კლასტერებს გააჩნიათ პოლიტიკური მნიშვნელობა ხელისუფლების ორგანოებისათვის, პირველ რიგში სოციალური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კლასტერის ყველა მონაწილე მოგებული რჩება მყარი ურთიერთქმედებით. ისინი ღებულობენ უპირატესობებს სხვა ორგანიზაციებთან შედარებით. გარდა ამისა, კლასტერები ხელს უწყობენ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და ინოვაციების გამოყენებას. კლასტერის რეპუტაციის გამოყენებით, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები ღებულობენ რესურსების მოპოვების ახალ შესაძლებლობებს, ხოლო ამავდროულად ბიზნესს და რეგიონულ ხელისუფლებას შეუძლიათ მოძებნონ გზები სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით საკუთარი ინიციატივების უფრო ეფექტური განვითარებისათვის.

კლასტერის, როგორც რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ფაქტორის, რეალიზაციისათვის აუცილებელია

პირველ რიგში ჩატარდეს მისი თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი მისი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

პირველ ეტაპზე, აჭარის ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის შესწავლით და ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე რომ რეგიონში უკვე არსებობს ტურისტული კლასტერი. ტურისტული კლასტერის კვლევის პირველ ეტაპზე - მისი იდენტიფიკაციის დროს - აუცილებელია განისაზღვროს კლასტერის საზღვრები, მისი გეოგრაფიული კარკასი, სტრუქტურა და განმასხვავებელი მახასიათებლები.

აჭარის ტურიზმის კლასტერის გეოგრაფიული საზღვრები თითქმის მთლიანად ემთხვევა მის ადმინისტრაციულ ტერიტორიას. კლასტერის გეოგრაფიული კარკასის განსაზღვრა გულისხმობს სატრანსპორტო კომუნიკაციების შესწავლას, „საყრდენი პუნქტების" და „ტურისტული ნაკადების ცენტრების" განსაზღვრას. აჭარის ტურისტულ კლასტერს გააჩნია კარკასის „ვარსკვლავური" სახე, რომელიც ფუნქციონირებს „ცენტრი-პერიფერია" – სისტემის მიხედვით.

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით კლასტერი შეიძლება იყოს ტიპიური რეგიონული. კლასტერის სტრუქტურის შესწავლა გულისხმობს „კლასტერის ბირთვების", „კლასტერის საფუძვლების", კლასტერის ინფრასტრუქტურის ანალიზს. „კლასტერის ბირთვს" შეადგენენ ტუროპერატორები და ტურაგენტები. უნდა აღინიშნოს რომ ტურაგენტულ საქმიანობას ახორციელებენ არამარტო რესპუბლიკის ფირმები, არამედ ასევე საქართველოს სხვა რეგიონების ფირმები, რომლებიც ეწევიან შუამავლურ საქმიანობას. ყველა ფირმა, რომელიც ახორციელებს ტურაგენტულ და ტუროპერატორულ საქმიანობას, წარმოადგენს აჭარის კომპანიების ტურმომსახურებაზე მოთხოვნის კატალიზატორებს. ეს არის ის სამეწარმეო ძალა, რომელიც ურთიერთქმედებს სამომხმარებლო ძალასთან (სხვა რეგიონის ტურისტებთან). ამავდროულად ტურკომპანიები და ტურაგენტები ასრულებენ სამომხმარებლო ძალების ფუნქციებს „კლასტერის საფუძვლების"

საწარმოებისათვის. ეს ის ფირმებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტებს სატრანსპორტო მომსახურებით, კვებით, სასტუმრო მომსახურებით, დასვენებით, მკურნალობით და გართობით. ეს მომსახურებები შეადგენს ტურისტულ საქონელს და მოცემული ფირმების გარეშე კლასტერის არსებობა შეუძლებელია. აღნიშნული კლასტერის განმასხვავებელი მახასიათებლებია: ჰაერის მაღალი იონიზაცია; დიდი ტერიტორიული გავრცობა; ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის დომინირება.

ტურისტული კლასტერის კვლევის შემდგომ ეტაპზე განისაზღვრება კლასტერის განვითარების მდგომარეობა და დონე. განვითარების დონის მიხედვით განასხვავებენ ნაკლებადგანვითარებულ (ზრდის ეტაპი) და განვითარებულ ტურისტულ კლასტერს (განვითარებულობის ეტაპი). ზრდის ეტაპზე მყოფი ტურისტული კლასტერისათვის უფრო მიზანმართებული იქნება უპირატესად ექსტენსიური ზრდის სტრატეგიის გამოყენება, ხოლო განვითარებულობის ეტაპზე – ინტენსიური ზრდის სტრატეგია.

იმდენად რამდენადაც კლასტერი არის ნაკლებადგანვითარებული, აუცილებელია ექსტენსიური ზრდის სტრატეგიის გამოყენება (არსებული ტურისტების რაოდენობის ზრდის ხარჯზე და შესაბამისად ტურმომსახურებების წარმოების რესურსებისა და ფაქტორების ზრდის ხარჯზე). მოცემული სტრატეგიის განსახორციელებლად აუცილებელია სამი მთავარი პრობლემის გადაწყვეტა: სეზონურობის ფაქტორის შემცირება - ტურისტული ნაკადის გაზრდა „მკვდარ" სეზონში; კლასტერის „ვიწრო" ადგილების გაფართოება; ინფრასტრუქტურის განვითარების ამაღლება კლასტერისათვის აუცილებელ დონემდე.

ამგვარად, საკვლევი კლსატერის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია: რეგიონში საქმიანი ტურიზმისა და სანატორიულ-კურორტული მიმართულების განვითარება; საგანმანათლებლო პარტნიორობის სისტემის შექმნა (განათლების სისტემის მყარი კავშირების შექმნა ტურისტული კლასტერის სხვა ორგანიზაციებთან); ტერიტორი-

ის აქტიური მარკეტინგისა და შესაბამისი მონიტორინგის ჩატარება; ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება (ფასიანი გზებისა და ხიდების მშენებლობის კუთხით); კომპლექსური მომსახურების შეთავაზებაში ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება საგადასახადო შედავათების, სუბსიდიების, კრედიტებისა და ტურისტული შესასვლელების შეთავაზების გზით მომგებიან პირობებში; სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სისტემის შექმნა (მაგალითად, ერთობლივი პროექტების განხორციელება, მათ შორის ტერიტორიის ცნობილი და ცნობადი სახის შექმნის მიზნით).

აჭარაში ტურიზმის კლასტერის სრულყოფის აღნიშნული საშუალებების რეალიზაცია განაპირობებს კლასტერის „განვითარებულობას". ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს კლასტერს სრულფასოვნად შეასრულოს რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ფაქტორის ფუნქცია ტურისტული მომსახურებების ბაზარზე.

ხაზი უნდა გაესვას საქართველოში მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობენ საჭირბოროტო ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას. ასევე აუცილებელია კლასტერების ჩამოყალიბება ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული სახეების მიხედვით, რომელთა ეფექტიანი საქმიანობა ხელს შეუწყობს რეგიონის კონკურეტუნარიანობის ამაღლებას. მისი შედეგი იქნება ტერიტორიების არსებული რესურსების გამოყენება რეგიონის ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველყოფისათვის.

5.4. რეგიონული კონკურენტუნარიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი[46]

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს რეგიონების როლის ამაღლება. გლობალიზაციის ერთ-ერთ არსებით გამოვლენას წარმოადგენს მსოფლიო კონკურენტული გარემოს კონფიგურაციის ცვლილება, რომლის დროსაც კონკურენციის სუბიექტები ხდებიან ქალაქები, რეგიონები, ცალკეული მუნიციპალიტეტები, რომლებიც ფლობენ ინოვაციების შექმნის და რეალიზების მოქნილ უნარს. კონკურენტულ პროცესებში მათი მონაწილეობის წარმატება დამოკიდებულია როგორც მაკროეკონომიკურ პირობებზე, ისე კონკურენტული უპირატესობების აღმოჩენის, გამოყენების და შენარჩუნების უნარზე.

გვევლინება რა კონკურენტული ურთიერთობების სისტემის სტრუქტურულ ელემენტად, კონკურენტუნარიანობა, წარმოადგენს სინთეზურ მრავალმხრივ კატეგორიას, რომელიც მოიცავს კონკურენციის და მონოპოლიზმის შემადგენელ მომენტებს, ასევე მათ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მარეგულირებლებს. ამასთან კონკურენტუნარიანობის უნივერსალური განსაზღვრება ეკონომიკის ყველა სუბიექტისათვის არ არსებობს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ობიექტის ან სუბიექტისათვის გამოიყენება იგი.

მიკროდონეზე ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" განიხილება როგორც ორგანიზაციების მეტოქეობა, რომლებიც ეწევიან სამეურნეო საქმიანობას მოგების მაქსიმიზაციის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. მოცემულ დონეზე მართებულია ვისაუბროთ კონკრეტული პროდუქცი-

---

[46] საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება განხორციელდა 2008 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №GNSF/ST06/2-067) პროფესორ **ევგენი ბარათაშვილის** ხელმძღვანელობით. იხილეთ მონოგრაფია. ევგენი ბარათაშვილი, ჯანი ზარანდია, კახაბერ ციმინტია. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, თბილისი 2008.

ის, სამუშაოს ან მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე, ანუ მის უნარზე უკეთ შეესაბამებოდეს ბაზრის მოთხოვნებს, მომხმარებლების მოთხოვნებს ანალოგებთან შედარებით.

ერთის მხრივ, კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხით, მათი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლებით, სამომხმარებლო თვისებებით, ხოლო, მეორეს მხრივ - საბაზრო ფასებით.

მაკროდონეზე კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ეკონომიკური ზრდის მაღალ დონეში და მოსახლეობის მუდმივად ზრდადი რეალური შემოსავლებისა და ცხოვრების სტანდარტების გენერირების შესაძლებლობაში. თავის მხრივ, სოციალური და ბუნების დაცვის მიზნების მიღწევა ავსებს კონკურენტუნარიანობის გაგებას მაკროდონეზე და აფართოებს მისი გამომსახველი ინდიკატორების წრეს.

მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს, გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. ფართო გაგებით, რეგიონული კონკურენტუნარიანობა - ეს არის რეგიონების შესაძლებლობა საერთაშორისო კონკურენციის პირობებში უზრუნველყონ შედარებით მაღალი შემოსავლები და მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე. არსებობს ორი შეხედულება რეგიონული კონკურენტუნარიანობის ფორმირებასთან დაკავშირებით. პირველი, რეგიონული კონკურენტუნარიანობა განიხილება როგორც (საკუთრების ყველა ფორმის), სამეურნეო სუბიექტების კონკურენტუნარიანობების ერთობლიობა რომლებიც იმყოფებიან მოცემული რეგიონის ფარგლებში და, მეორე, რეგიონული კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს წარმოებულ მაკროეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის განვითარება გულისხმობს კონკურენციის ოთხ სტადიას შემდეგი ფაქტორების საფუძველზე: წარმოება, ინვესტიციები, ინოვაციები და

სიმდიდრე. პირველი სამი სტადია ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, ბოლო - განაპირობებს მატებას და კლებას.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამამულო ეკონომიკურ თეორიაში და პრაქტიკაში რეგიონის კონკურენტუნარიანობის დიაგნოსტიკა და ფორმირება იმყოფება საწყის სტადიაშია.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომის ანალიზის დროს გამოიყოფა შემდეგი ასპექტები:

– სხვადასხვა მაჩვენებლების სისტემის ფორმირება, რომლებიც ყოველმხრივ ასახავს რეგიონის კონკურენტულ უპირატესობებს და ერთიანდება კონკურენტუნარიანობის საერთო დასკვნით ინდექსში რანჟირებისა და ექსპერტული შეფასებების გზით;

– კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებლების (საქონლის ხარისხისა და ფასების, ინვესტიციური მიმზიდველობის და მოსახლეობის ცხოვრების დონის) გამოყოფა და კომპლექსური ინდექსის გამოთვლა კონკურენტუნარიანობაზე მათი ზემოქმედების ხასიათის მიხედვით, მათი ლოგიკური გაერთიანების საფუძველზე;

– რეგიონის მახასიათებელი პოზიციების ზემოქმედება კონკურენტუნარიანობის დამახასიათებელი მაჩვენებლების შეფასების მატრიცაში მათი მდებარეობის მიხედვით.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ინტეგრალური მაჩვენებლების სინთეზისათვის გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის არაპარამეტრული მეთოდები. არაპარამეტრული მეთოდების გამოყენების მთავარი უპირატესობა მდგომარეობს საწყისი მონაცემების მატრიცის განზომილების შემცირებაში საწყისი ინფორმაციის „შეკუმშვის" გზით. ამასთან მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური შედარებების არაპარამეტრული მეთოდები უმნიშვნელო მგრძნობიარობას ავლენს სტატისტიკური მონაცემების ცვლილებებისადმი და არ საჭიროებს კერძო მაჩვენებლების საზომი ერთეულების შედარებითობას.

აღნიშნული ნაკლოვანებები შეიძლება აღმოიფხვრას მრავალმხრივი არაპარამეტრული მეთოდების დახმარებით, რომლებიც იყენებენ შედარებით შეფასებებს, როგორიცაა, მაგალითად, შედარებითი განსხვავებების მეთოდი.

შედარებითი განსხვავებების მეთოდი გულისხმობს შეფასების მიღებას კერძო მაჩვენებლების მიხედვით ფორმულის ნორმირების დახმარებით. ანუ ***j***-ის კერძო მაჩვენებლის ამაღლება ***i*** რეგიონის მიხედვით შეეფარდება ***j*** მაჩვენებლის ვარიაციას მთელი რიგის მიხედვით.

$$t_{ij} = \frac{x_{ij} - x_{j\,min}}{x_{j\,max} - x_{j\,min}}. \qquad (1)$$

ინტეგრალური კოეფიციენტის მნიშვნელობის მიღება შეიძლება კერძო კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. $T\,i$ კოეფიციენტის მნიშვნელობა მიეკუთვნება [0; 1] შუალედს, $T\,i$ = 1-ის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ***i*** რეგიონს აქვს საუკეთესო მნიშვნელობა ყველა კერძო მაჩვენებლის მიხედვით.

$$T_i = \frac{\sum_{j=1}^{n} t_{ij}}{n}. \qquad (2)$$

აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ კერძო მაჩვენებლების შეფასება ფაქტიური მნიშვნელობების შეფარდებით საუკეთესო მნიშვნელობებთან. ინტეგრალური კოეფიციენტის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$t_{ij} = \frac{x_{ij}}{x_{\max}}. \qquad (3)$$

ჩატარებული გამოთვლები საშუალებას იძლევა განვახორციელოთ რეგიონების დაჯგუფება კონკურენტუნარიანობის დონის მიხედვით. თუ *IK*-მ შეიძლება მიიღოს მნიშვნელობა 0-დან 1-მდე, მაშინ აუცილებელია გამოიყოს რეგიონების ხუთი ჯგუფი თანაბარი ინტეგრალებით:

1 ჯგუფი-კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე $< IK < 1$;

2 ჯგუფი-საკმარისად მაღალი დონე: $0,6 < IK < 0,8$;

3 ჯგუფი-საშუალო დონე: $0,4 < IK < 0,6$;

4 ჯგუფი-დაბალი დონე: $0,2 < IK < 0,4$;

5 ჯგუფი-კონკურენტუუნარო რეგიონები: $0 < IK < 0,2$.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემული პრობლემა განიხილება ქვეყნის რეგიონების კლასიფიკაციის საფუძველზე მათი ეკონომიკური განვითარების მიხედვით. ავტორები განასხვავებენ ასეთი კლასიფიკაციის სხვადასხვა ნიშნებს. მაგ. მ.ი. მურატოვი თვლის, რომ რეგიონების კონკურენტუნარიანობის რანჟირება შესაძლებელია არა ერთი რომელიმე მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამედ ერთობლივი შეფასების მრავალგანზომილებიანი დაჯგუფებების გამოყენებით. საქართველოს რეგიონები დაყოფილია ხუთ ერთგვაროვან ჯგუფად (კლასტერად) - რეგიონის ეკონომიკის მდგომარეობის მიხედვით:

- აყვავებული რეგიონები;
- საშუალოზე მაღალი დონის რეგიონები;
- საშუალო დონის რეგიონები;
- საშუალოზე დაბალი დონის რეგიონები;
- უკიდურესად ღარიბი (დაუცველი) რეგიონები.

ყოველთვის არ არის შესაძლებელი ფაქტობრივი ნიშნების მნიშვნელობის მიხედვით გამოიყოს ეს ექვსი კლასტერი. ამიტომ უფრო მართებული იქნება საქართველოს რეგიონების მთელი ერთობლიობის პირობითად დაყოფა ოთხ ჯგუფად:

1) ჯგუფები კონკურენტუნარიანობის მაღალი დონით (რეგიონები, რომლებიც მ.ი. მურატოვის კლასიფიკაციაში) მიეკუთვნება პირველ და მეორე კლასტერებს;

2) ჯგუფი კონკურენტუნარიანობის საშუალო დონით (რეგიონები, რომლებიც მიეკუთვნება მე-3 კლასტერს);
3) ჯგუფი კონკურენტუნარიანობის საშუალოზე დაბალი დონით (რეგიონები რომლებიც მიეკუთვნება მე-4 და მე-5 კლასტერებს);
4) ჯგუფი კონკურენტუნარიანობის დაბალი დონით (რეგიონები, რომლებიც მიეკუთვნება მე-5 კლასტერს). ზოგიერთი ეკონომისტები თვლიან, რომ რეგიონის კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეფასდეს რესურსების პოტენციალის სიდიდით. მათი აზრით, რეგიონის რესურსების პოტენცილის სიდიდეში იგულისხმება საბოლოო პროდუქტის (საქონლის) ან ეროვნული შემოსავლის ისეთი სიდიდე, რომლის მიღებაც შეიძლება რეგიონის ფაქტიურად არსებული რესურსების პირობებში და შესაბამისი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების პირობებში. ამასთანრესურსების პოტენციალის გამოყენება არ შეიძლება იყოს რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველი, რადგან კონკურენტუნარიანობა თვითონ ასახავს მისი რეალიზაციის პროცესს, ანუ ახორციელებს ეკონომიკურ პროცესებს.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისადმი ნორმატიული მიდგომისას დგინდეება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ინტეგრირებული მაჩვენებელი რეგიონის რანგების საშუალო გადახრით, რეგიონის განვითარების შემდეგი მაჩვენებლების საშუალო ქართული მნიშვნელობების რანგებისაგან, კერძოდ:

– მთლიანი რეგიონული პროდუქტი (მსყიდველობითი უნარის დონის გათვალისწინებით) ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი);
– ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა/ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი);
– საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი);
– რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფა მსყიდველობითი უნარის დონის გათვალისწინებით, ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი);

– მცირე საწარმოებში დასაქმებული მომუშავეების საშუალო სიითობრივი რაოდენობის წილი საწარმოებში და ორგანიზაციებში დასაქმებული მომუშავეების მთლიან საშუალო სიითობრივ რაოდენობაში (%-ში);
– დარეგისტრირებული უმუშევრობის დონე (%-ობით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობასთან);
– ერთ სულ მოსახლეზე ფულადი შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა;
– საარსებო მინიმუმზე ნაკლები ფულადი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი (%-ობით მთლიანად მოსახლეობაში);
– საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და ფასიანი მომსახურებების საერთო ბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარის დონის გათვალისწინებით), ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი);
– ეკონომიკის დარგების ძირითადი ფონდები (მთლიანი საბალანსო ღირებულების საშუალო წლიურ აღრიცხვაში ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, კაპიტალური ხარჯების ზრდის გათვალისწინებით) ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი);
– საავტომობილო გზების სიმჭიდროვის კოეფიციენტი (ენგელის კოეფიციენტი);
– სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონის მაჩვენებელი, რომელიც თავის თავში აერთიანებს შემდეგ პარამეტრებს:
1. სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული ბავშვების უზრუნველყოფა ადგილებით (ადგილები 1000 სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის);
2. სპეციალისტების გამოშვება უმაღლესი და სახელმწიფო საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებით (სპეც. 10000 ადამიანზე);
3. მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმებით და საშუალო მედ. პერსონალით (10000 ადამიანზე (სულ მოსახლეზე));

4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებით (ერთ ცვლაში ვიზიტების რაოდენობა 10000 სულ მოსახლეზე (ადამიანზე).

ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლა მიმდინარეობს ეტაპობრივად გამოყოფილი განმეორებების თანმიმდევრობის რეალიზაციის გზით. არსებობს რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების სხვა მეთოდები. ვთვლით, რომ რეგიონის კონკურენტუნარიანობის კომპლექსურ მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რომელიც შედგება ორი ელემენტისაგან:

$$RC = f(Y;I), \quad (4)$$

სადაც Y – არის ცხოვრების დონის მაჩვენებელი; I – რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობა. შესაბამისად ყოველი მათგანი თავის თავში აერთიანებს:

$$Y = PC + G + L \quad (5)$$

სადაც PC – არის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი; G – შემოსავლების კონცენტრაციის კოეფიციენტი (ჯინის კოეფიციენტი); L – უმუშევრობის დონე.

$$I = I_p + I_r + I_q + Q \quad (6)$$

სადაც: Ip – არის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი; Ir – საინვესტიციო რისკი; Iq – ინვესტიციები რეალური მოცულობა; Q – რეგიონში წამგებიანი საწარმოების რიცხვი.

ნ.ი. ლარინი და ა.ი. მაკაევი რეგიონების კონკურენტული პოზიციების შეფასებისათვის იყენებენ ქვეყნების რეიტინგის განსაზღვრის მეთოდის ანალოგიურ მეთოდს. მისი არსი მდგომარეობს კერძო მაჩვენებლების რიგის აგრეგირებაში საერთო მაჩვენებელში, რომელიც ახასიათებს რეგიონის პოზიციებს მოცემული მაჩვენებლის მიხედვით.

ფაქტორების პირველი ჯგუფი ახასიათებს საქართველოს ცალკეული სუბიექტების ეკონომიკის მდგომარეობას (10 მაჩვენებელი). მეორე ავლენს რეგიონის სამეურნეო სუბიექტების გარე ბაზრებზე გასვლის პირობებს.

ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მიდგომების დაჯგუფების საშუალება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხების არასაკმარისი მეთოდოლოგიური შემუშავების არაპირდაპირ დადასტურებას დღესდღეობით წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს საქმეების მიმდინარე მდგომარეობის დადგენიდან პროგნოზირებაზე გადასვლის მცდელობა.

5. 5. რეგიონული პოლიტიკის ევროპული გამოცდილება. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები

საქართველო უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი ქვეყანა – ეს არის ყველაზე უფრო ხშირად განმეორებადი მოწოდება, რომლის მოსმენაც გვიწევს სხვადასხვა მაღალი ეშელონების პირთა გამოსვლებიდან. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარება და ჩვენი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საქართველოსათვის, რადგან სხვაგვარად ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი ზრდა უახლეს წლებში, ალბათ, ძნელად მისაღწევი იქნება. კერძოდ, რა არის კონკურენტუნარიანი რეგიონი, როგორ შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა რეგიონების კონკურენტუნარიანობა და როგორ გავზომოთ რეგიონის კონკურენტუნარიანობის დონე. უფრო ნათლად, როგორია ასეთი კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა განვმარტოთ, თუ როგორ გვესმის ჩვენ რეგიონული კონკურენტუნარიანობის შინაარსი. ეს არ გახლავთ იოლი ამოცანა, მაგრამ ვეცადოთ ავხსნათ. ცნობილია, რომ საწარმოს დონეზე კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მისი უნარით გასწიოს კონკურენცია, იზრდებოდეს და იღებდეს მოგებას. არაკონკურენტუნა-

რიანი საწარმოები იძულებულნი არიან შეამცირონ თავიანთი მონაწილეობა ბაზარზე, ხოლო საბოლოო ჯამში შეწყვიტონ თავიანთი საქმიანობა. რასაკვირველია, უფრო ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა არის კონკურენტუნარიანობა რეგიონის დონეზე. საქმე იმაშია, რომ კონკურენტუნარიანობა ჩვეულებრივ განიხილება მაკროკონცეფციის ფარგლებში და არა როგორც სპეციფიკური რეგიონული საკითხი. მეორე მხრივ, რეგიონის დონეზე კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა იმიტომ არის ძნელი, რომ არ არსებობს მაკროდონეზე ფართო კონსენსუსი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის თაობაზე და, გარდა ამისა, თვით კონკურენტუნარიანობა დროში ევოლუციას განიცდის. მართლაც, იმ განსაზღვრებისგან განსხვავებით, რომლებიც ემყარებოდა შედარებით უპირატესობათა და ფასობრივი კონკურენციის გაგებას, დღეს უკვე ნათლად იკვეთება გადასვლა ისეთ არამატერიალურ კონცეფციებზე, როგორიცაა სტრუქტურული კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა ავირჩიოთ კონკურენტუნარიანობის ისეთი განსაზღვრა, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება ვიპოვოთ მისი გაზომვის ინდიკატორები. ამ მხრივ მისაბაძია ევროპის კავშირი. მან ეს გააკეთა.

ევროკავშირის მიერ მიღებული დებულების თანახმად, ქვეყნის ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ მის მოსახლეობას აქვს საკმაოდ მყარი, მზარდი ცხოვრებისა და დასაქმების მაღალი დონე. უფრო ზუსტად, ქვეყნის ეკონომიკა კონკურენტუნარიანად უნდა მივიჩნიოთ, თუ ეკონომიკური აქტიურობის დონეს არ მივყავართ ეკონომიკის არამყარ საგარეო საგადამხდელო ბალანსამდე და ის ეჭვქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების კეთილდღეობას. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის და ცხოვრების დონის ტრადიციულ საზომს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წარმოადგენს, თუმცა აუცილებელია კიდევ რიგი ინდიკატორები სოციალური სფეროს, გარემომცველი გარემოს, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის კეთილდღეობის, დასაქმების დონის (შრომისუნარიანი მოსახლეობის და-

საქმების პროცენტი) და შრომისნაყოფიერების (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ დასაქმებულზე) პარამეტრების გაზომვა.

შრომის ნაყოფიერება მიიჩნევა კონკურენტუნარიანობის კარგ მაჩვენებლად იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მისი ზრდა ამაღლებს კონკურენტუნარიანობას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს და გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის უფრო მაღალ ტემპებს. დასაქმებას ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაას იწვევს. დასაქმება და შრომის ნაყოფიერება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ისინი საჭიროა განხილულ იქნეს ცალ-ცალკე, რადგან სინამდვილეში ერთი მაჩვენებლის მაღალი დონე აუცილებლად არ იწვევს მეორის მაღალ დონეს. მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ უმუშევრობის დონის ზრდა რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებში 1980 წელს, როდესაც შრომის ნაყოფიერების დონის მაღალი ზრდა და დასაქმების უმნიშვნელო ზრდა შეინიშნებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, დასაქმების ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევა აუცილებლი არაა ეწინააღმდეგებოდეს შრომის ნაყოფიერების მაღალი დონის მიღწევას, თუ ეკონომიკის ზრდა განსაზღვრულ მნიშვნელზე მეტია (ევროკავშირისათვის 2%) და მისი დონე გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნებულია. ეს ყოველთვის გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ყოველთვის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერებასა და დასაქმების დონეს შორის.

კონკურენტუნარიანობასთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკა მდგომარეობს ცხოვრების დონის ამაღლებით, სოციალური და მორალურ ფასეულობათა მხარდაჭერით არაფასობრივი კონკურენციის განვითარებაში. შესაბამისად, ევროკავშირი აქცენტს აკეთებს სტრუქტურულ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობენ გარძელვადიან ზრდას, კერძოდ, ინოვაციების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ადამიანური კაპიტალის სფეროში. ევროკავშირის საბჭოს ლისაბონის

სხდომაზე წამოყენებულ იქნა ამოცანა, რათა მიღწეულ იქ-ნეს ის, რომ ევროკავშირის ეკონომიკა მომავალი ათწლეუ-ლის განმავლობაში მსოფლიოში გახდეს ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და მეცნიერტევადი, რომელსაც მყარი ზრდის უნარი შესწევს დიდი რაოდენობის უფრო ხარისხო-ვანი სამუშაო ადგილების შექმნითა და სოციალური შემ-ჭიდროების ერთიანობის მაღალი ხარისხით.

კონკურენტუნარიანობის მიმართებით არსებობს გამოკ-ვეთილი ურთიერთკავშირი ინოვაციებს, ადამიანურ კაპი-ტალსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის.

ინოვაციებისადმი ყურადღება გლობალური კონკურენ-ციის ტექნოლოგიების ადაპტირების და მუდმივად ახალი პროდუქტის წარმოების, ანუ წარმოების პოსტფორდული სისტემის ელემენტების საუკეთესო პასუხად მიიჩნევა. ინოვა-ციების დავერგვისა და ათვისების უნარი პირდაპირ კავშირ-შია მოსახლეობის საგანმანათლებლო დონესთან. იგი საინ-ფორმაციო ტექნოლოგიები ცოდნის განვითარების პროცესის საფუძველია.

მთლიანად ევროკავშირში რეგიონების კონკურენტუნა-რიანობის განვითარება დამოკიდებულია საწარმოო სტრუქ-ტურის (მეცნიერტევადი სამეურნეო საქმიანობისა და ინოვა-ციების განვითარების გზით) მოდერნიზაციასა და დივერსი-ფიკაციაზე, რაც განაპირობებს ინფრასტრუქტურის, ფიზიკუ-რი და ადამიანური კაპიტალის დონის ამაღლებას. ამასთან, აუცილებელია ჰორიზონტალური პირობების აღრიცხვა, რაც გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მყარ განვითარე-ბას განსაზღვრავს.

ევროკავშირში რეგიონების კონკურენტუნარიანობის განვითარების ფუძემდებლურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს სტრუქტურული ფონდები, რომლებიც გარძელვადიან პერ-სპექტივაში შემოსავლების გაზრდისათვის რეგიონული ეკო-ნომიკების კონკურენტუნარიანობისა და შრომისნაყოფიერე-ბის ამაღლების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს აერთიანებს. ფონდები მხარს უჭერს ინფრასტრუქტურაში, ადამიანურ კაპიტალში, ინოვაციური შესაძლებლობების რეა-

ლიზაციაში და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაში ინვესტირებას.

ევროკავშირის რეგიონების კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების განსაზღვრისათვის, ევროპული კომისიის მიერ გამოიყენება ბენჩმარკინგის მეთოდიკა (სტრუქტურულ ინდიკატორებზე ინოვაციების სფეროში, საწარმოების საქმიანობის პირობებზე, ახალ ტექნოლოგიებზე და ა.შ. აქცენტით ლისაბონის კონფერენციაზე მიღებული სტრატეგიის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანობის სფეროში).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების განსაზღვრისათვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ და შრომის ნაყოფიერების გარდა, გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ელემენტებიც (სოციალური სფერო, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და ა.შ.). აღნიშნულ სფეროებში პროგრესის გასაზომად აუცილებლია შემუშავდეს დამატებითი მეთოდები. გარდა ამისა, სტატისტიკა გვაძლევს მონაცემებს კონკურენტუნარიანობის ფაქტორებზე, რომლებიც დადებითად მოქმედებს, მაგალითად, ინოვაციების განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, ინოვაციების სფეროში არსებობს სირთულეები, რომლებსაც ამ პოლიტიკის გამტარებლები ხვდებიან, რაც იმ ფაქტორების ერთდროულ გაზომვაში მდგომარეობს, რომლებიც კონკურენტუნარიანობაზე მათი განხორციელებისა და ზემოქმედების საშუალებას იძლევა. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია ის, რომ ევროკავშირში კონკურენტუნარიანობა სტრუქტურულ რეფორმებზეა დაფუძნებული (და არა მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და საფასო კონკურენციაზე). ამიტომ ინდიკატორების შერჩევა ძნელია.

განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის გასაზომად ინდიკატორების გამოყენების ორი შემთხვევა: 1. ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ და სოციალური ინტეგრაციის ანგარიშებში; 2. მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები, რომლებიც სტრუქტურული ფონდების ჩარჩოებში (ფარგლებში) გამოიყენება.

1. ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ანგარიშები ევროკავშირის რეგიონების გამოკვლევების შედეგს წარმოადგენს, რომელსაც რეგულარულად ევროპული კომისია აწარმოებდა. რეგიონების ერთმანეთთან შესადარების, მათი განვითარების დონისა და კონკურენტუნარიანობის დასადგენად შემოთავაზებულ იქნა ძირითადი რეგიონალური ინდიკატორების შემდეგი კლასიფიკაცია:

- ✓ ეკონომიკა (ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი, მსყიდველობითი უნარიანობის დონე, მეურნეობის დარგებში დასაქმება, 1 მლნ. ადამიანზე ევროპულ პატენტზე განაცხადების რაოდენობა);
- ✓ შრომის ბაზარი (უმუშევრობის დონე, პირველ რიგში, ქალებსა და ახალგაზრდებში; მყარი უმუშევრობა, მოსახლეობის 15-64 წლის ასკის ადამიანებში დასაქმების დონე);
- ✓ დემოგრაფია (მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ. მოსახლეობის პროცენტი 15 წლამდე, 15-64 წლამდე და 65 წლის ასაკის ზემოთ).
- ✓ განათლება (განათლების დონე 25-29 წლის ასაკის პირებში).

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს მეთოდოლოგია არ გულისხმობს ყველა იმ ფაქტორების შედარებას, რომლებიც რეგიონების კონკურენტუნარიანობას ამაღლებენ, მაგრამ შესაძლებელს ხდის ანალიზი გაუკეთდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც მასზე არსებით გავლენას ახდენენ, რამდენადაც კონკურენტუნარიანობის ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობა განსხვავდება რეგიონების ტიპების მიხედვით.

2. 2000-2006 წწ. ევროკომისიამ წარმოადგინა მონიტორინგის ინდიკატორები და პროექტების და პროგრამების შეფასებები, რომლებიც ფინანსდებოდა ან ღებულობდა დამატებით დაფინანსებას სტრუქტურული ფონდებიდან. მოღვაწეობის სფეროები კლასიფიცირდება კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად. მოღვაწეობის ყველა სფეროს აქვს თავისი ინდიკატორი (რომელთაც სთავაზობენ, მაგრამ იძულებით არა-

ვის თავზე არ ახვევენ). ქვემოთ ნაჩვენებია ინდიკატორები მოღვაწეობის რამდენიმე სფეროსათვის, რომელიც დაკავშირებულია რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან.

სამეცნიერო გამოკვლევების სფეროში, ტექნოლოგიების განვითარებასა და ინოვაციაში შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება:

✓ ***პროდუქტის ინდიკატორი:*** კვლევითი პროექტებისა და დოქტორების რაოდენობა (მამაკაცები, ქალები), რომელსაც მხარი დაუჭირეს.

✓ ***რეზულტატის ინდიკატორი:*** წარმატებით დასრულებული პროექტების პროცენტული რაოდენობა (პუბლიკაციების და ა.შ.), მკვლევართა რაოდენობა, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი მიენიჭათ (ქალები, კაცები); სამეცნიერო სამსახურში მიღებული თანამშრომლების რიცხვის ზრდა (კაცები, ქალები);

✓ ***ზემოქმედების ინდიკატორი:*** შემუშავებული ინოვაციების რაოდენობა, ახალი საწარმოების რაოდენობა, რომლებიც მკვლევარი პერსონალის მიერ გაიხსნა.

საწარმოებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ინოვაციების, ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში შესაბამისი ქსელის შექმნასა და პარტნიორული ურთიერთობის შექმნაში შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება:

✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** კომპანიების რაოდენობა, რომელთაც სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების სფეროში ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს, ტექნოლოგიების შეძენაში მხარდამჭერი პროექტების ფირმებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის ჩატარებული კონსულტაციების და ტრენინგების რაოდენობა;

✓ **შედეგის ინდიკატორები:** საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მხარდაჭერა თანამედროვე სამეცნიერო კვლევით პროექტებში, კაპიტალდაბანდებების ზრდა სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარების და ინოვაციების სფეროში, რომლებიც ხორციელდება იმ საწარმოე-

ბის მიერ, რომლებმაც ერთობლივ პროექტებში მიიღეს მონაწილეობა;

- ✓ **თანხმობების რაოდენობაზე ზემოქმედების ინდიკატორები:** თანამშრომლობაზე კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომლებმაც მიიღეს ერთი წლის შემდეგ ფირმების დახმარება. საწარმოების რაოდენობა რეგიონებში, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამაში და აღნიშნეს დადებითი ეფექტები ტექნოლოგიების გადაცემით წელიწად-ნახევრის შემდეგ; მხარდამჭერი კომპანიების რაოდენობა, რომლებმაც შეიძინეს პატენტი, ლიცენზია და ერთი წლის შემდეგ ერთობლივ პროექტებში მიიღეს მონაწილეობა; ახალი პროდუქტების/პროცესების რაოდენობა, რომლებიც ფირმებმა ბაზარზე წარმოადგინეს და მიიღეს ფინანსური მხარდაჭერა; ორი წლის შემდეგ მიღებული დამატებული ღირებულება; შექმნილი სამუშაო ადგილები და მთლიანი დასაქმების პროცენტი.

სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ინფრასტრუქტურაში შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება:

- ✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** წარმოდგენილი ტერიტორია (ჰა), აშენებული და გადაიარაღებული ფართობი (კვ.მ.); ერთობლივად შექმნილი სამსახურების რაოდენობა;
- ✓ **შედეგის ინდიკატორი:** სამეცნიერო კვლევების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და კაპიტალის სფეროში მიღებული თანამშრომლების (კაცები, ქალები) რაოდენობა, მცირე საწარმოების რაოდენობა;
- ✓ **ზემოქმედების ინდიკატორი:** მცირე საწარმოების რაოდენობა, რომლებშიც ერთი წლის შემდეგ პარკის ჩარჩოებში შექმნილია მაღალი ტექნოლოგიები. საწარმოების რაოდენობა, რომლებიც შექმნილია პარკის ჩარჩოებში ერთი წლის შემდეგ, სრული დასაქმება, (შექმნილი ან შენარჩუნებული ერთი წლის შემდეგ. სამუშაო ადგილების რაოდენობა და საერთო დასაქმების ზრდის პროცენტი).
- ✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა, რომლებიც საინფორმაციო ტექნოლოგი-

ებს ემსახურებიან (ონლაინ-მომსახურება, ელექტრონული ვაჭრობა და ა.შ.);

✓ **შედეგის ინდიკატორი:** მცირე საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ფინანსური მხარდაჭერა, რათა წარმოდგენილ სამსახურში შეაღწიონ (მაგ., ინტერნეტში). მცირე საწარმოების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროების სამსახურს და ორგანიზებას უკეთებენ მათ კომერციულ რეალიზაციას. ინტერნეტის მომსახურების რაოდენობა წერტილებისა ადგილობრივი კავშირის ზონაში;

✓ **ზემოქმედების ინდიკატორი:** ორი წლის შემდეგ შექმნილი ან შენარჩუნებული მთლიანი/წმინდა დასაქმება (სამუშაო ადგილების რაოდენობა ან პროცენტი საერთო დასაქმების).

ბიზნესის საკითხების კონსულტაციების სფეროში (ინფორმაცია, ბიზნეს-გეგმა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ექსპორტი, მართვა და ზემოქმედება გარემომცველ პირობებზე, ტექნოლოგიების შეძენა, სამეცნიერო კვლევების კონკურენტუნარიანობის ზრდა) შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება:

✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** მცირე საწარმოების რაოდენობა (მფლობელები – კაცები, ქალები), რომლებიც კონსულტაციებს იღებენ.

✓ **შედეგის ინდიკატორი:** მცირე საწარმოების რაოდენობა, რომლებიც გახდნენ ექსპორტიორები და რომლებმაც ახალ ბაზარზე ექსპორტი დაიწყეს; მცირე საწარმოების პროცენტი, რომლებიც წარმოდგენილი სამსახურით არიან კმაყოფილნი;

✓ **ზემოქმედების ინდიკატორი:** მცირე საწარმოების ექსპორტული გაყიდვების ბრუნვის პროცენტი, რომლებმაც დახმარება 1,5 წლის შემდეგ მიიღეს; ნამატი ღირებულების 1,5 წლის შემდეგ გაზრდა; 2 წლის შემდეგ შექმნილი ან შენარჩუნებული სრული დასაქმება; (სამუშაო ადგილების რაოდენობა და საერთო დასაქმების პროცენტი).

ადამიანური რესურსების შეფასებისათვის (ადამიანური სამუშაო ძალის და საწარმოო საქმიანობის მოქნილობა,

ინოვაცია, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგია) გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- ✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** თანამშრომლების რაოდენობა, რომლებმაც ტრენინგი გაიარეს (ტრენინგის ხანგრძლივობა, ტიპი), მცირე საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც ტრენინგის ჩატარებაზე ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს (დაფინანსების ზომა, ტიპი, ტრენინგის ხანგრძლივობა), ბენეფიციარების რაოდენობა;
- ✓ **შედეგის ინდიკატორი:** მცირე საწარმოების ბიუჯეტის გაზდა და კადრების მომზადება (%);
- ✓ **ზემოქმედების ინდიკატორი:** ბენეფიციარი პირების რაოდენობა რომლებმაც დაიწყეს ბიზნესი 2 წლის შემდეგ (კაცები, ქალები), 1,5 წლის შემდეგ ნამატი ღირებულების ზრდა; მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად შრომის ნაყოფიერების ზრდა (ერთ მოსამსახურეზე ბრუნვის ზრდის პროცენტი); 2 წლის შემდეგ სრული დააქმება სამუშაო ადგილების შექმნილი ან შენარჩუნებული (რაოდენობა და საერთო დასაქმების პროცენტი).

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება:

- ✓ **პროდუქტის ინდიკატორი:** აშენებული ან რეკონსტრუირებული ჩქაროსნული რკინიგზის სიგრძე, მშენებლობის დამთავრების ხარისხი, გაუმჯობესებული რკინიგზის ლიანდაგის სიგრძე;
- ✓ **შედეგის ინდიკატორი:** დრო, რომელზეც გაკეთდა ეკონომია (მგზავრების დრო, გამრავლებული მომსახურების რაოდენობაზე), დროის ეკონომია (მგზავრების დრო გამრავლებული სატვირთო ან სამგზავრო ნაკადზე), ხელმისაწვდომობა (სიჩქარის ეკვივალენტის შემცირება სწორ ხაზზე);
- ✓ **ზემოქმედების ინდიკატორი:** სატვირთო და სამგზავრო ნაკადის გაზრდა 1 წლის შემდეგ: ზემოქმედება გარემოზე (ამაღლება, დადაბლება), ხმაურიანი დატვირთვის შეცვლა; შექმნილი ან შენარჩუნებული სრული დასაქმება, 2 წლის შემდეგ (სამუშაო ადგილების რაოდენობა და საერთო დასაქმებულობის პროცენტი).

5. 6. კონკურენტუნარიანი რეგიონების სხვა ინდიკატორები

ევროპული კომისიის გარდა, ჩატარებული სხვა გამოკვლევების მიზანია გამოერკვიათ რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი.

„მსოფლიოსთან შეჯიბრი“. გამოკვლევა ჩატარებულია ბანკ „ბარკლაის“ ექსპერტების მიერ. შედეგები გამოქვეყნებულია 2002 წელს. შედარებულია მსოფლიოს 15 კონკურენტუნარიანი რეგიონი (მათ შორის 10 ევროსაბჭოს რეგიონი) და მიღებული მცდელობის შედეგად გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის საერთო ფაქტორები. მხედველობაშია მისაღები 15 რეგიონის სირთულე, თანმიმდევრული და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები. გაკეთებულია დასკვნა, რომ თითოეულ რეგიონში არის საერთო ფაქტორების მცირე რაოდენობა, რომლებიც წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს.

„ რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდიკატორი “. გამოკვლევა ჩატარებულია ბრიტანეთის ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს მიერ. ავტორების აზრით, შერჩეული 14 ინდიკატორი იძლევა რეგიონების კონკურენტუნარიანი დაბალანსების სურათს. ამასთანავე, მრავალი ფაქტორი მოქმედებს არა რეგიონალური კონკურენტუნარიანობის დონეზე, არამედ შედეგებზე.

„ბრიტანეთის ცენტრალური საგრაფოების კონკურენტუნარიანობის ბენჩმარკინგი“. გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 1997 წელს. ჩატარებულია ამ რეგიონის კონკურენტუნარიანობის შედარება, ევროპის სხვა რეგიონებთან. გამოკვლევების მცდელობით მიღებულია ზომები, რომლებიც რეგიონების კონკურენტუნარიანობას ამაღლებენ. კვლევისას გამოყენებულია ბენჩმარკინგის მრავალგანზომილებიანი მოდელი, რომელიც 55 შედარებით მაჩვენებელს შეიცავს და თითოეულ მათგანს განსაზღვრული რეიტინგი გააჩნია.

„რეგიონის ინვესტიცირებული კლიმატის გამოკვლევა“. აღნიშნულ გამოკვლევაში ბენჩმარკინგის რეგიონალური ინვესტიცირებული კლიმატის ხარისხის გასაზომად ჩრდი-

ლო-დასავლეთ ევროპის 40 რეგიონში შემუშავებულია მეთოდოლოგია, რომელიც რეგიონების გამოკითხულ მეწარმეთა შედეგების მიხედვით არის განსაზღვრული. ცვლილებები გამოყენებულ გამოკვლევაში დაყოფილია 2 ჯგუფად: 1. ინდიკატორები, რომლებიც გამოხატავენ ბაზრის ურთიერთობებს და 2. საწარმოო სფეროს ფაქტორები.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების უნივერსალურ მეთოდად კოოპერაციის მეთოდია მიჩნეული, კერძოდ, მონეს მეთოდი. ეს მეთოდი გამოყენებულია ევროკავშირის განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის მაასტრიხტის 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის თებერვლის, აგრეთვე 2000 წლის ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც ითვალისწინებდნენ ევროკავშირის გაფართოებას 27 მონაწილე ქვეყანამდე.

ევროკავშირის „ძველ“ წევრებზე საუბრისას დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონალური პოლიტიკა დასახულ ამოცანას თავს კარგად ართმევდა. მან გადაწყვიტა ძირითადი ტერიტორიული დისპროპორციების საკითხი და შექმნა ევროკავშირის რეგიონების კონვერგენციის წინაპირობები.

XXI საუკუნის პირველმა წლებმა წარმოაჩინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – რეგიონების, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური ურთიერთობის უშუალო სუბიექტთა მზარდი როლი. რეგიონების წინააღმდეგობა რაც უფრო მეტად გაცდება ნაციონალური დონეების ჩარჩოებს, კონკურენციისა და სპეციფიკურ „რეგიონულ კორპორაციებად“ რეგიონების გარდაქმნის პირობებში, მით უფრო რთულდება ევროკავშირის ამოცანა დაძლიოს რეგიონთაშორისი დისპროპორციები, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებში (ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკიდან). ამ ამოცანის სირთულეზე მეტყველებს დღემდე შენარჩუნებული ტერიტორიული წინააღმდეგობები ევროპის კავშირის უკეთ განვითარებულ ზონაშიც კი (15 „ძველ“ მონაწილე ქვეყანაში).

5.7 რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მეთოდი

საინვესტიციო პროცესები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მთავარ ფაქტორს. საინვესტიციო შემადგენელი არის ეკონომიკის რეგულირების ყველა ბაზისური მოდელის ფუძემდებლური ელემენტი (კლასიკური, მონეტარისტული, კეინზიანური). საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაწილია, შეიძლება იქცეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების კატალიზატორად.

საბაზრო გარდაქმნების დასაწყისში საქონელმწარმოებლების საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკამ. საფინანსო-საკრედიტო სისტემამ მიიღო ჰიპერტროფული განვითარება, საინვესტიციო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გამორიცხავდა მისი გამოყენების შესაძლებლობას საწარმოო მიზნებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს რეგიონებში საკუთარი რესურსების მობილიზაციის და გარე წყაროების მოზიდვის ქმედითი მექანიზმების არ არსებობა. უაღრესად დაბალია ხარჯების დონე საინოვაციო საქმიანობაზე (ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების შეძენაზე მოდის მთელი საინოვაციო ხარჯების 2,2%).

ინვესტიციების ინდექსი ძირითად კაპიტალში 2001 წელს შეადგენდა 21%-ს (1990წ.=100%). თუმცა ინვესტიციების მოცულობის შემცირების ფონზე ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება მათი კონცენტრაციის ტენდენცია.

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობის საწყის წერტილს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებასთან. საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული

არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ. ასეთი ინფორმაციის შესაქმნელად საინვესტიციო პროექტის იდენტიფიკაციისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე. შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ-ინვესტორის რანგი (საერთოეროვნული კორპორაცია, რეგიონული კორპორაცია და ა. შ.). ანალიზი შეიძლება ჩატარდეს, როგორც ზოგადად საქართველოს მასშტაბით, ასევე მეზოდონეზე;
- რეგიონის (მეზოდონე) და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს - საინვესტიციო პროექტის დონეზე.

პირველი ორი დონის გამოსაკვლევად საინვესტიციო პროექტის შეფასება მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას რეგიონის, საწარმოო სექტორის შესახებ, აგრეთვე რესურსების ანალიზს და წარმოების განვითარების კომპლექსური გეგმის შედგენას. მიკროეკონომიკური მიდგომა, უმთავრესად, მოიცავს მეწარმეების, ინვესტიციების ხელშემწყობი ორგანიზაციების და საფინანსო დაწესებულებების საინვესტიციო იდეების ანალიზს.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მაგალითად, იმპორტი წინა პერიოდში, მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდა) ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

მონაცემები შეიძლება შეივსოს ინფორმაციით, რომელიც მოიცავს კონკრეტული პროდუქციის წარმოების მეთოდებს და ტენდეციებს. ეს მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორისათვის – რადგანაც მან უნდა შეძლოს შეაფასოს არსებული შესაძლებლობები, მათი სარფიანობა, იმისათვის რომ გადავიდეს პროექტის მომზადების შემდეგ სტადიაზე.

ინფორმაციის რაოდენობრივი შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევა.

საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევის ფარგლებში ანალიზს უკეთებენ შემდეგ ასპექტებს:

- ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ვარგისია წარმოებისათვის, მაგალითად: ხის მასალა გადამამუშავებელი წარმოებისთვის;
- სოფლის მეურნეობის არსებული სტრუქტურა, როგორც სამრეწველო დარგების საფუძველი, რომლებიც ბაზირდება სოფლის მეურნეობაზე;
- მოთხოვნა გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მსყიდველობითი უნარის ზრდით;
- იმპორტი;
- გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა რეგიონებსა და ქვეყნებში;
- შესაძლებელი ურთიერთკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური მასშტაბის სხვა დარგებთან;
- არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძველზე, მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობპროდუქტების გამწმენდი წარმოების გაერთიანება;

- შესაძლებელი დივერსიფიკაცია, მაგალითად, ნავთობქიმიური კომპლექსის გარდაქმნა ფარმაცევტიულ წარმოებად;
- არსებული საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;
- საერთო საინვესტიციო კლიმატი;
- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;
- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ღირებულება;
- საექსპორტო შესაძლებლობები.

გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს საერთო (სექტორული მიდგომა), ან კონკრეტული პროექტის (მიდგომა საწარმოს დონეზე) შესაძლებლობების შესწავლა, ან ორივეს ერთად. საერთო შესაძლებლობის გამოკვლევა შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

- რეგიონის გამოკვლევა, იქნება ეს ადმინისტრაციული პროვინცია, ჩამორჩენილი რაიონი, ან პორტის მახლობელი რაიონი;
- საწარმოო გამოკვლევები, მათი დანიშნულებაა გამოავლინონ მოცემული წარმოების დარგის შესაძლებლობები;
- გამოკვლევები, რომელთა დანიშნულებაა, გამოავლინონ ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობები, სასოფლო-სამეურნეო ან საწარმოო პროდუქციის შესაქმნელად.

ამგვარად მეზოდონეზე ეკონომიკის სუბიექტების შესაძლებლობების და საფინანსო-ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შეფასება შეუძლებელია მათი საინვესტიციო პოტენციალის ანალიზის გარეშე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ეკონომიკის სუბიექტების რესურსების ერთობლიობა მეზოდონეზე ხშირად დანაწევრებულია სხვადასხვა წყაროებებისა და შემადგენლობების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ეროვნული ან მეზოდონის საინვესტიციო პრო-

ცესების აღწერის დროს არსებობს ტერმინოლოგიური ერთიანობის პრობლემა.

“რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი – ტრანსფორმირებად გარემოში რეგიონის დამოუკიდებელი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ინტეგრალური მახასიათებელია”[47].

საინვესტიციო პოტენციალის შეფასების, ტერიტორიების საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით რანჟირების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ხარროდის მოდელის ბაზაზე აგებული თეორია.

ხარროდის მოდელში პირველად იყო ნაჩვენები ფაქტორული პარამეტრების ურთიერთკავშირი, რომლებიც ახასიათებდნენ განვითარების პოტენციალს შემოსავლების მაჩვენებლებით. მოცემული მოდელის ფარგლებში საწყის ცნებებს წარმოადგენს: “ეკონომიკური შემოსავალი” და “კაპიტალი”. “ეკონომიკური შემოსავალი” წარმოადგენს სამეწარმეო მომსახურების ღირებულებით გამოხატულებას.

ცნება “კაპიტალი”, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ხარისხის სირთულის ობიექტების (ქვეყანა, დარგი, რეგიონი, საწარმოო) საინვესტიციო პოტენციალის შედარებითი შეფასების მოდელებში, არის სხვადასხვა ანალიტიკური მიდგომების შედეგი:

ა) “კაპიტალი” არის განცალკევებული რესურსების ერთობლიობა. ეს უკანასკნელი შედგება ქონების, მოწყობილობის, საბრუნავი სახსრების, საქონლის და შუალედური პროდუქტების მარაგის, აგრეთვე მოხმარების საგნებისაგან, რომლებიც გამოიყენება მოხმარების საგნების და მომსახურების წარმოებისათვის. მთელი ეს განცალკევებული რესურსები იძენენ “ფასეულობას” და წარმოადგენენ საინცესტიციო პოტენციალის სტრუქტურულ ელემენტებს. “საინვესტიციო ფასეულებების” შექმნის ძირითადი ფაქტორია სამე-

[47] Рясков С.Н. Формирование инвестиционного потенциала и оптимизация его использования (региональный аспект) – Автореферат. – М.: РАГС, 2000 г.

წარმეო უნარი და “ეკონომიკური მინდობილობის” მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური შემოსავლების მიღების შესაძლებლობას (ალბათობას). წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალური რესურსები გადაიქცევა ინვესტიციებად, თუ ისინი უზრუნველყოფენ მოგების მიღების შესაძლებლობას;

ბ) “კაპიტალი” - ეს არის შუალედურ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელთა მთავარი დანიშნულებაა გაზარდონ საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერება;

გ) “კაპიტალი”- ეს არის ყველა კვლავწარმოებული საქონლის ერთობლიობა. “კაპიტალის” ეკონომიური არსი იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რას ქმნის იგი, არამედ მის კვლავწარმოებაშია;

დ) “კაპიტალი” არის სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებიც ცვალებად რესურსს აქცევს ეკონომიკურ შემოსავლად. კაპიტალის ღირებულება განპირობებულია შემოსავლის ღირებულებით (“კაპიტალური რესურსები-შემოსავალი-შემოსავლის ღირებულება-კაპიტალის ღირებულება”).

ქართული პრაქტიკა ადასტურებს, რომ საინვესტიციო პოტენციალის დაცემის პირველ სიგნალს წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული კადრების გადინება. ეს პროცესი ამცირებს ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო ბაზას, რაც განაპირობებს მოსახლეობის რიგი სოციალური ჯგუფების მდგომარეობის გაუარესებას, რომლებიც შემოსავლებს ღებულობენ ბიუჯეტიდან. საერთო კეთილდღეობის შემცირებას პრაქტიკულად ყოველთვის თან სდევს კაპიტალის გადინება. ეს კი რეგიონულ პროცესს აძლევს კუმულატურ ხასიათს. აქედან შეიძლება გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: რეგიონების ეკონომიკური კეთილდღეობა და ვარდნა არის თვითგანვითარებადი პროცესი, რომელიც აძლიერებს არათანაბარ რეგიონულ განვითარებას.

პრაქტიკისათვის ცნობილია საინვესტიციო კლიმატისა და რისკების ეროვნული რეიტინგები, რომლებიც ცნობილი საექსპერტო სააგენტოების მიერ Moody's, Standard & Poor,

IBCA პერიოდულად ქვეყნდება მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ჟურნალებში Euromoney, Fortune, The Economist.

საინვესტიციო მიმზიდველობის ინტეგრალური შეფასების სისტემა დაფუძნებულია ორი ზომვადი სიდიდის, ორი ძირითადი მაჩვენებლის ურთიერთკორელაციაზე: საინვესტიციო რისკი და საინვესტიციო პოტენციალი. ამის საშუალებით ერთის მხრივ შესაძლებელია რეგიონში სავარაუდო ბიზნესის მასშტაბების შეფასება, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელია დადგინდეს რამდენად სარისკოა ამ ბიზნესის განვითარება. რისკ-პოტენციალის სიბრტყეში მოცემულია შემდეგი გრადაცია.

პოტენციალი:

მაღალი (ციფრული აღნიშვნა 1),

საშუალო (2),

დაბალი (3).

რისკი:

დაბალი (ანბანური აღნიშნვა A),

საშუალო (B),

მაღალი (C),

ძალიან მაღალი (D).

შესაბამისად ყოველი რეგიონის რეიტინგი აღინიშნება ანბანურ-ციფრობრივი კომბინაციით. ზოგადად აღნიშნული მეთოდიკა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საინვესტიციო კლიმატის შეფასების მეთოდიკა, რომელიც აერთიანებს ქვეყნისა და რეგიონის ობიექტურ შესაძლებლობებს (საინვესტიციო პოტენციალი) და ინვესტორის საქმიანობის პირობებს (საინვესტიციო რისკი).

გასაგებია, თუ რატომ არ არის საკმარისი გადაწყვეტილებების მისაღებად მხოლოდ პოტენციალის, ან მხოლოდ რისკის განხილვა. რეგიონი შეიძლება საუკეთესო იყოს პოტენციალის თვალსაზრისით - მაგალითად, იქ არის ნედლეული, რესურსები ან მოსახლეობაა მდიდარი, მაგრამ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია, ან გარემო იმდენად დაბინძურებული, რომ კიდევ ერთ ქარხანას მოსახლეო-

ბა უბრალოდ ვერ აიტანს, ინვესტიციებზე ცოტანი თუ დათანხმდებიან.

საინვესტიციო პოტენციალი (ტერიტორიის საინვესტიციო ტევადობა) წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელების ობიექტურ წინაპირობათა ჯამს, რომელიც დამოკიდებულია როგორც ინვესტირების ობიექტების, სფეროების არსებობაზე და მრავალფეროვნებაზე, ასევე - მათ ეკონომიკურ ჯანმრთელობაზე.

საინვესტიციო პოტენციალი ითვალისწინებს ძირითადად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს, ტერიტორიის გაჯერებას წარმოების ფაქტორებით, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვა მაჩვენებლებს. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი ყალიბდება რვა კერძო პოტენციალისაგან:

- ნედლეულ-რესურსული (ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეების საბალანსო მარაგით უზრუნველყოფა);
- შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე);
- საწარმოო (რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთიანი შედეგი);
- ინოვაციური (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე);
- ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების ხარისხი);
- ინფრასტრუქტურული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა);
- საფინანსო (საგადასახადო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა);
- სამომხმარებლო (რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი მსყიდველობითი უნარი).

მაშასადამე, საინვესტიციო პოტენციალის შეფასება ეფუძნება მოყვანილი რვა პოტენციალიდან ცალკეულის ეტა-

პობრივ შეფასებას, ხოლო შემდეგ ამ საინფორმაციო ბაზაზე დაყრდნობით ყალიბდება ერთიანი, ინტეგრალური შეფასება.

რეგიონების რანჟირების აღნიშნული მეთოდიკის მეორე შემადგენელს წარმოადგენს საინვესტიციო რისკის მაჩვენებელი. საინვესტიციო რისკის სიდიდე აჩვენებს ინვესტიციების დანაკარგების და მათგან მოგების მიღების ალბათობას. განიხილება რისკის შემდეგი სახეები:

- ეკონომიკური (ტენდენციები რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში);
- საფინანსო (რეგიონული ბიუჯეტისა და საწარმოების ფინანსების დაბალანსებულობის ხარისხი);
- პოლიტიკური (არჩევნების შედეგების მიხედვით მოსახლეობის პოლიტიკურ სიმპატიათა განაწილება, ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტულობა);
- სოციალური (სოციალური დაძაბულობის დონე);
- ეკოლოგიური (გარემოს დაბინძურების დონე, რადიაციულის ჩათვლით);
- კრიმინოგენური (რეგიონში დამნაშავეობის დონე, დამნაშავეობის სიმძიმის გათვალისწინებით);
- საკანონმდებლო (ამა თუ იმ სფეროში ან დარგში ინვესტირების იურიდიული პირობები, წარმოების ცალკეული ფაქტორების გამოყენების წესი). ამ რისკის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც სახელმწიფოს, ასევე რეგიონების დონეზე მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები. აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს საინვესტიციო საქმიანობას ან არაპირდაპირად ეხება მას.

რისკი თითქოს აჯამებს "თამაშის წესებს" საინვესტიციო ბაზარზე. საინვესტიციო პოტენციალისაგან განსხვავებით ბევრი რამ ამ წესებიდან შეიძლება უეცრად შეიცვალოს იმდენად, რამდენადაც იცვლება ადამიანის ხასიათი და აზრი, ამიტომ რისკი თვისობრივი მახასიათებელია.

კანონმდებლობა წარმოადგენს საინვესტიციო რისკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს. რეგიონთაშორისი მიდგომის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონთა უმრავლესობის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს საერთოსახელმწიფო საკანონმდებლო ფონი, რომელიც აწესრიგებს საინვესტიციო საქმიანობას მხოლოდ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. გარდა ამისა კანონმდებლობა, როგორც წესი, არა მარტო გავლენას ახდენს საინვესტიციო რისკის ხარისხზე, არამედ აწესრიგებს ამა თუ იმ სფეროში ან დარგებში ინვესტირების შესაძლებლობებს, განსაზღვრავს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცალკეული ფაქტორების გამოყენების წესს.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება შეიძლება ავაგოთ შემდეგი კლასიფიკაციით:

1A ტიპი - მაქსიმალური შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში.

2A ტიპი - საშუალო შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში.

3A ტიპი - ჯგუფი დაბალი შესაძლებლობებით და მინიმალური რისკით.

1B ტიპი - ჯგუფი მაღალი პოტენციალით და ზომიერი რისკით.

2B ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და ზომიერი რისკით.

3B ტიპი - ჯგუბი დაბალი პოტენციალით და ზომიერი რისკით.

3B1 ტიპი - დაქვეითებული პოტენციალი და რისკის ზომიერი ინდექსი.

3B2 ტიპი - რეგიონები უმნიშვნელო პოტენციალით და რისკის ზომიერი ინდექსით.

1C ტიპი - რეგიონების ჯგუფი მაღალი პოტენციალით და მაღალი რისკით.

2C ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და მაღალი რისკით.

3C1 და 3C2 ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და მაღალი რისკით.

3D ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და ექსტრემალური რისკით.

აღნიშნულ რეგიონებში ჯგუფები 1 A და 2 A, 1 B , 2B შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციური "ზრდის პოლუსები".

საექსპერტო შეფასებები მომავალში ჰპოვებენ ფართო გავრცელებას. თუმცა რეიტინგების საყოველთაო გამოყენება შექმნის მრავალ პრობლემას მათი უტყუარობის შემოწმებასთან დაკავშირებით[48], რადგანაც ექსპერტთა შეფასებები სუბიექტურია. მათზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ფაქტორები. ეს კი იწვევს ერთი და იმავე ეკონომიკური ინდიკატორის და მოვლენის სხვადასხვანაირ ინტერპრეტირებას.

დიდი მოცულობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინების შესაძლებლობა წარმოადგენს საექსპერტო მოდელების უმთავრეს ღირსებას. თუმცა ობიექტურობის დონის ამაღლებისათვის საჭიროა მათი შევსება სტატისტიკური მონაცემების სისტემით და გამოთვლებით, რაც შესრულებული იქნება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მეთოდიკის გამოყენებით.

საბიუჯეტო-საფინანსო ფედერალიზმის განვითარების პირობებში იქმნება პირობები პრინციპულად ახალი საინვესტიციო კავშირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის რეალურ ჩართვას კვლავწარმოებით პროცესში.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის სივრცითი და დროითი "გაშლა" განაპირობებს მისი როგორც სისტემის განხილვას. ამ სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის კავ-

---

[48] Рожков Ю. Терский М. Инвестиционный потенциал региона и масса регионального инвестиционного риска. Вестник Хабаровской государственной академии экономики и права, 2001 г.

შირები უნდა იყოს მოწესრიგებული საინვესტიციო პოტენციალის ეფექტიანი რეალიზების თვალსაზრისით ობიექტების, ფორმების, დონეების და დროის მიხედვით.

ამრიგად რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი (რსპ) წარმოადგენს რიგი პარამეტრების ფუნქციას: წარმოების ფაქტორების არსებობა, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ინსტიტუციალური გარემოს განვითარების მაჩვენებლები და სხვა:

$$\text{რსპ} = f(x_1 + x_2 + x_3 + ... + x_n).$$

ამასთან, ზემოქმედების ფაქტორები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად:

- პირობით-მუდმივი, რომელთა დონე უცვლელი რჩება ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მოცემულ დონეზე (ბუნებრივ-კლიმატური, რესურსული, გეოპოლიტიკური და ა.შ.), ანუ მათ ცვლილებებს აქვს გადატანითი ხასიათი;
- ცვლადები, რომლებიც შეიძლება შეიცვალონ ტექნოლოგიების მოცემული დონის ჩარჩოებში. მათი მოძრაობის ხასიათი - უწყვეტია. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცვალებადი ფაქტორების მაგალითია მოცემულ რეგიონში ინვესტორის საქმიანობის საკანონმდებლო სფერო.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\text{რსპ} = \sum \text{პმფ} + \sum \text{ცფ},$$

სადაც

პმფ - პირობით-მუდმივი ფაქტორებია;

ცფ - ცვლადი ფაქტორები.

პრაქტიკული გამოთვლებისათვის მიზანშეწონილია შემოვიტანოთ ფაქტორთა ორივე ჯგუფის მნიშვნელობის კოეფიციენტები, რადგანაც მათ შესაძლებელია არ გააჩნდეს ადექვატური წონის მნიშვნელობები, ანუ:

$$\text{რსპ} = k_1 \sum \text{პმფ} + k_2 \sum \text{ცფ}, \text{ თანაც } k_1 + k_2 = 1$$

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი, საინვესტიციო ტევადობის ცნებისაგან განსხვავებით განსაზღვრავს რეგიონში დაბანდებული ინვესტიციების მაქსიმალურად შესაძლებელ მოცულობას, მიზანშეწონილობის (ეკონომიკური ეფექტიანობის) პირობების გათვალისწინებით.

ამრიგად დავადგინოთ ცნებათა თანამიმდევრობა. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი მოიცავს კატეგორიებს - საინვესტიციო მიმზიდველობა, საინვესტიციო კლიმატი, ეკონომიკური პოტენციალი. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ორი ტერმინი - საინვესტიციო და ეკონომიკური პოტენციალი. შეფასების შემოთავაზებული მეთოდების ანალიზის დროს, როგორც ეკონომიკური პოტენციალის შემთხვევაში, ისე საინვესტიციოს, შეიძლება შევამჩნიოთ მათი გასაოცარი არა მხოლოდ კორელაცია, არამედ სინქრონულობაც. თუმცა, გავრცელებული თვალსაზრისით, ეკონომიკური პოტენციალის ცნება მთავარი დომინირებადია ცნებათა იერარქიაში, მაგრამ ჩვენი აზრით ადგილი აქვს შემდეგს: კატეგორიები "საინვესტიციო პოტენციალი" და "ეკონომიკური პოტენციალი" სინონიმური ცნებებია და მიეკუთნებიან ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზის განსხვავებულ ასპექტებს. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც კორექტირებულია ზოგადეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. იგი გამოიყენება ეკონომიკური მეცნიერების უფრო ვიწრო სფეროში - საინვესტიციო საქმიანობაში.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ რეგიონების რანჟირება, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის აბსტრაქტული შეფასება არ იქნება დაკავშირებული კონკრეტული დარგის და სამეურნეო სუბიექტის მოთხოვნილებებთან ის სრულყოფილად ვერ ასახავს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მთელ არსს და პრაქტიკულ მნიშვნელობას. ისევე, როგორც ყველა გასაშუალოებული მაჩვენებელი - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მაჩვენებელი წარმოადგენს მხოლოდ მიახლოებით ორიენტირს, რომელიც მნიშვნელოვანია მაკრო-

დონის პროცესების ეკონომიკური შეფასებისას, და არა მიკროდონის - საწარმოს დონის. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის მაჩვენებელს არ შეუძლია შეაფასოს კონკრეტული დარგის საქმიანობა და კორპორატიული ეფექტიანობა.

როგორც გვიჩვენა ჩატარბულმა ანალიზმა მეზოეკონომიკის სუბიექტის საინვესტიციო პოტენციალის ცვლადები, როგორც მაკროეკონომიკური გარემოს ელემენტები, დინამიკაში იცვლებიან. აქედან გამომდინარე სუბიექტს თავისი საქმიანობის ძირითადი პარამეტრების შენარჩუნებისა და განვითარების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შეუძლია მონიტორინგის განხორციელება, საინვესტიციო პოტენციალის ცვლილების პროგნოზირება, საქმიანობის დაგეგმვა ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, მაგალითად: პესიმისტური, სტაბილიზაციური, ოპტიმისტური.

თითოეულ სცენარში საინფორმაციო-ანალიტიკურ ბაზას წარმოადგენს მეზოეკონომიკის სუბიექტის საინვესტიციო პოტენციალის მახასიათებელთა ნაკრები. კერძოდ, მაკროეკონომიკურ გარემოში საინვესტიციო საქმიანობის პროგნოზირების მიზნით შეიძლება შევადგინოთ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცვლილების ტენდენციების მატრიცა (ცხრილი 1), რომელიც ასახავს მეზოეკონომიკის სუბიექტის რეაქციისა და ღონისძიებების რამოდენიმე ვარიანტი.

ცხრილი 5.1

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ტენდენციების მატრიცა

გარემო / ტენდენციები	ეკონომიკური	სამართლებრივი	ინსტიტუციონალური
პოზიტიური	+1	+1	+1
სტაბილური	0	0	0
ნეგატიური	–1	–1	–1

ზოგადი სახით, მაკროეკონომიკური გარემოს ცვლილების მეტად შესაძლო ინტეგრალური ტენდენცია (T_{Pmax}), შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გაანალიზებულ ტენდენციათა გასაშუალებით:

$$T_{P\max} = \sum_{i=1}^{N} (a_i * x_i),$$

სადაც a_i ($\sum a_i = 1$) მაჩვენებლის კუთრი წონაა, როგორც წესი, წონა გამოითვლება ყოველი კონკრეტული ტენდენციის მნიშვნელობის ხარისხის შესაბამისად;

x_i – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ერთ ტენდენციას;

N – მაკროეკონომიკური გარემოს შემადგენელთა რიცხვია.

ზემოგანხილული შემთხვევისათვის (ცხრილი 5) შესაძლო ინტეგრალურ ტენდენციას აქვს სახე:

$$T_{P\max} = \sum_{i=1}^{3} (a_i * x_i).$$

რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$T^{\rho}_{P\max} = \sum_{i=1}^{3} \left(a_i * \sum_{j=1}^{K_i} z_j \right),$$

სადაც

$T^{\rho}_{P\max}$ – ინტეგრალური ტენდენციაა;

$\sum_{j=1}^{K_i} z_j$ – რეგრესიის განტოლება i-ური ტენდენციისათვის;

j – i-ური ტენდენციის რეგრესიის განტოლებაში ნიშნადი პარამეტრების რაოდენობაა.

განვიხილოთ დაწვრილებით რამოდენიმე სასაზღვრო სცენარი.

პესიმისტური სცენარი. პესიმისტური ეწოდება სცენარს, რომლისთვისაც $T_{Pmax} = -1$, ანუ ეკონომიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ გარემოებს აქვთ ნეგატიური ტენდენ-

ცია. პრაქტიკაში, ეს ხშირად ნიშნავს, რომ ეკონომიკურ გარემოში, მაგალითად, მცირდება მოსახლეობის ჯამური მსყიდველობითუნარიანობა, იზრდება წარმოების დანახარჯები; სამართლებრივ გარემოში - ღებულობენენ საკმაოდ მკაცრ კანონებს, ილახება აქციონერთა უფლებები, ვიწროვდება ინსტიტუციონალური გარემო. ამ შემთხვევაში, მაგალითად, კორპორაციას შეუძლია დაიწყოს ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება.

ზომიერად-პესიმისტური სცენარი. ზომიერად პესიმისტური სცენარი მიმდინარეობს მაშინ, როცა ერთ ან ორ გარემოს გააჩნია ნეგატიური ტენდენცია, დანარჩენები კი სტაბილურია, ანუ: $-1 < T_{Pmax} < -0,3$. პრაქტიკაში, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ეკონომიკურ გარემოში იზრსება ინფლაციის მოლოდინი, მცირდება რეალური მოთხოვნის ინდექსი, სამართლებრივი გარემო არ იცვლება, ინსტიტუციონალურ გარემოში კი, მაგალითად, არსებობს უთანხმოება მომწოდებელთან. ამ სიტუაციაში კორპორაცია ატარებს კერძო ღონისძიებებს თითოეული კონკრეტული მიმართულების შესაბამისად და მათი შედეგების მიხედვით იღებეს გადაწყვეტილებებს ინვესტირების შესახებ.

სტაბილიზაციური სცენარი. სტაბილიზაციური სცენარი ($-0,3 < T_{Pmax} < 0,3$) მიუთითებს, რომ ნებისმიერ განსახილველ გარემოში არ არსებობს რაიმე სახის ნეგატიური დინამიკა. ეს ნიშნავს, რომ კორპორაციისათვის იქმნება განვითარებისა და ეფექტიანობის ზრდის პირობები. ამიტომ საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ფინანსირების ახალი წყაროების მოზიდვა წარმოების გაფართოების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დანახარჯების ოპტიმიზაციისათვის.

ზომიერად ოპტიმისტური სცენარი. ეს სცენარი მიმდინარეობს მაშინ, როცა ერთ ან ორ გარემოს აქვს პოზიტიური დინამიკა, დანარჩენი კი, სტაბილურია. მაგალითად, $0,3 < T_{Pmax} < 1$. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკას გააჩნია ზრდის ტენდენციები, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა იზრდება, ღებულობენ ახალ კანონებს, რომლებიც ასა-

ხავს ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე რეალიებს. ინსტიტუციონალური გარემო სტაბილურია, ანუ ყველა ვალდებულება სრულდება ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ასეთ სიტუაციაში კორპორაციას შეუძლია ინვესტორების აგრესიული სტრატეგიის გამოყენება, ცალკეულ გარემოებში პოზიტიური ტენდენციების გამოყენებით შეეცადოს განახორციელოს გარღვევა დანარჩენებში. მაგალითად, კორპორაციას შეუძლია განახორციელოს PR აქციები ინსტიტუციონალური გარემოს ახალ მონაწილეთა (აქციონერები, მომხმარებლები და სხვა) მოზიდვისათვის.

ოპტიმისტური სცენარი. ოპტიმისტური სცენარი, რომელსაც ახასიათებს $T_{Pmax} = +1$ თანაფარდობა, მიუთითებს ძალიან ხელსაყრელ კლიმატზე ინვესტიციების განხოციელებისათვის. ამ პირობებში საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები შეიძლება იყოს:

- მართვის ოპტიმიზაცია, მისი მომზადება კორპორაციის შესაძლებელი გაფართოებისათვის;
- ახალი კაპიტალის მოზიდვისათვის ემისიის მომზადება და განთავსება;
- შემოსავლების გადანაწილება საინოვაციო პროცესში.

მაკროგარემოს ცვლილების დინამიკის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ განსაზღვრული ინსტრუმენტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად დავაკვირდეთ ტენდენციებს და მოვახდინოთ სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმარება.

კერძოდ, სამართლებრივი სფეროს მდგომარეობის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სამართლებრივი ველის ეფექტიანობის მაჩვენებელი ($M_{სვ}$). სამართლებრივი გარემოს და საკანონმდებლო წინააღმდეგობების კომპლექსური შეფასება, საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ სამართლებრივი გარემოს მიმდინარე მდგომარეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, 2005.
2. აბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001.
3. ასათიანი რ., ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 5, თბილისი, 2005.
4. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, ახალი ეპოქა, თბილისი, 2009.
5. ასათიანი რ., ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, თბილისი, 2010.
6. ასათიანი რ., გლობალიზაცია : ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010.
7. ასლანიშვილი ნ., საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD_ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, მაისი, 2008.
8. ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2002
9. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004
10. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა). ჟურნალი "ეკონომიკა", 2006, №11
11. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. ჟურნალი "ეკონომიკა", 2007, №5-6
12. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება. ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა", 2008, №1
13. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ. კლასტერი, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი. ჟურნალი "ეკონომიკა". №1. 2011

14. ბარათაშვილი ე., როსტიაშვილი თ. რეგიონული კონკურენტუნარიანობის პრინციპები და შეფასების მეთოდები. ჟურნალი "ეკონომიკა". №10-12. 2010
15. ბარათაშვილი ე., ბაგრატიონი თ. ბაზარზე კონკურენციული პოლიტიკის ასპექტები. ჟურნალი "სოც. ეკონომიკა" №3. 2009.
16. ბარათაშვილი ე., ბულია ლ. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების კლასიფიკაცია და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების შედარებითი ანალიზი (საქართველოს და შავი ზღვის აუზის ქვეყნების (ბისეკი) მაგალითზე) ჟ. "საქართველოს ეკონომიკა" №1, 2009. (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)
17. ბარათაშვილი ე., ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება (სახელმძღვანელო) თბ. 2010.
18. ბეგი დ., ფიშერი ს., დორნბუში რ., ეკონომიკა. გამომც. "ცისარტყელა" თბ. 1999
19. გაეროს განვითარების პროგრამა (2008), ჰუმანური განვითარების ანგარიში 2007/2008, http://hdrstats.undp.org/indicators/147.html and http://hdrstats.undp.org/indicators/24.html
20. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. გამომცემლობა "სამშობლო", თბ., 1999
21. გეჩბაია ბ. რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინოვაციური ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება" №1 (3) თბ., 2011.
22. გეჩბაია ბ. რეგიონული კონკურენტუნარიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება" №1 (4) თბ., 2011.
23. გეჩბაია ბ., გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საქართველოს რეალობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი, ჟურნალი 2011.

24. გეჩბაია ბ, ქევხიშვილი გ. ტურისტული კლასტერი როგორც ტურისტული მომსახურების ბაზარზე რეგიონის კონკურენტული უპირატესობის შექმნის ფაქტორი (აჭარის ა.რ-ის მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული, ბათუმი 4-5 ივნისი 2011.
25. გეჩბაია. ბ. ბარათაშვილი, ე. როსტიაშვილი თ. რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები როგორც მენეჯმენტის ობიექტი. რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ქუთაისი, 1-2 მაისი 2010.
26. ბ. გეჩბაია. გლობალური კონკურენცია და ეროვნული ინტერესები. პროფესორ-მასწავლებელთა II რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქუთაისი 18 დეკემბერი 2010.
27. გეჩბაია ბ. ახალაია ნ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა საქართველოსათვის. პროფესორ-მასწავლებელთა II რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქუთაისი 18 დეკემბერი 2010.
28. გელაშვილი ს., დარსაველიძე დ., ქალაქების კონკურენტუნარიანობის შედარებითი ანალიზის მოდელი გლობალიზაციის პირობებში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, 1, იანვარ-თებერვალი, 2009.
29. გველესიანი რ., კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი”, №3, 2010 წელი.
30. გველესიანი რ. ფირმების ინოვაციური და კონკურენციული უპირატესობების განმსაზღვრელი პოლიტიკა მსოფლიო ბაზარზე. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №4, თბ., 2005
31. გოგიაშვილი შ. „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. წიგნში: „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“ (თავი 9). თბ., 2003
32. გოგიაშვილი შ. „კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში“. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, თბ., 2006

33. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, 2009.
34. გოგიაშვილი შ. ფეტელავა ს. „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი)“. გამომცემლ. „ლოი“, თბ., 2007
35. გოგიაშვილი შ. „კონკურენცია და კანონმდებლობა“. ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ს ყოველთვიური დამატება „ბიზნეს-კურიერი“, №1, თბ., 2008
36. ერქომაიშვილი გ., ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2010.
37. ერქომაიშვილი გ., ბიზნესის როლი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. თსუ I საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009
38. კვარაცხელია დ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: გამოწვევები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, ჟ. საქართველოს ეკონომიკა, 2007, №10.
39. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თსუ, თბ., 1995
40. მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ. მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი, 2003
41. მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო გ. თოდუასა და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი, 2001.
42. პაპავა ვ, ნეკროეკონომიკის ზომბირება, თბილისი, 2010.
43. პაპავა ვ, პოსტკომუნისტური გარდამავლი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005.
44. ქარქაშაძე ნ., თოდუა ნ., მუშკუდიანი ა. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. ჟურნალი “ეკონომიკა”, 2006, №4
45. შენგელია თ. ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. საქპროფგამი. თბ., 1997
46. წერეთელი გ. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები. კრებულში: საბაზრო ეკონომი-

კის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. II. “მეცნიერება”. თბ., 2002
47. ღაღანიძე გ., ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა, თეუსუ შრომების კრებული, თბილისი, 2011
48. ღლონტი ვლ. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოდელი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, 2003 წ., №5.
49. ღლონტი ვლ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მართვა (რეგიონული ასპექტი). ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, 2003 წ., №6.
50. ღლონტი ვლ. რეგიონი (ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები). ბათუმი, გამომცემლობა ”აჭარა”, 2007, - 385 გვ.
51. ღლონტი ვლ. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასების მეთოდი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, №2, 2006, გვ. 88-94.
52. ღლონტი ვლ. სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური რეგულირების დეცენტრალიზაცია – ეკონომიკური განვითარების ფაქტორი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, №3, 2006, გვ. 19-28.
53. ღლონტი ვლ. რეგიონული საბიუჯეტო პროცესის შეფასების მეთოდიკა. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, №3, 2006, გვ. 92-100.
54. ღლონტი ვლ. საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის სოციალური ბარომეტრი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, №3, 2007, გვ. 17-24.
55. ღლონტი ვლ. რეგიონის საფინანსო დამოუკიდებლობა და სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის საფინანსო სტიმულირების პრობლემები. ჟურნალი “ეკონომიკა“, №2, 2007, გვ. 60-68.
56. ყორდანაშვილი ლ., საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები. თბ., 2009.
57. ხარაიშვილი ე., მამარდაშვილი ფ., ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობა და ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგიები, საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბილისი, 2009.
58. ხარაიშვილი ე., მამარდაშვილი ფ., საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება,

I საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბილისი, 2009.
59. ხარაიშვილი ე., აგრარული სექტორის განითარების რეტროსპექტული ანალიზი, აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ახალციხე, 2009.
60. ხარაიშვილი ე., ლოკალური სასურსათო ბაზრების კონკურენტული უპირატესობები, საქართველოს ინსტიტუტთაშორისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები და რისკის მართვა”, თბილისი, 2009.
61. ხარაიშვილი ე., ღვინის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ფირმების ქცევის სტრატეგია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №6, 2009.
62. ხარაიშვილი ე., ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა“, მაისი, 2009.
63. ხარაიშვილი ე., ნაცვალაძე მ., მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა ქართული ბიოპროდუქტების ბაზარზე, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი”, № 4, 2009.
64. ხარაიშვილი ე., საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი), ბათუმიდტრაპიზონი, 2010.
65. ხარაიშვილი ე., აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და მიკროეკონომიკური რისკები, საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010.
66. ხარაიშვილი ე., კონკურენტუნარიანობა და მდგრადი განვითარების პრობლემები აგრარულ სექტორში, საერთაშორისო-სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2010 წელი.

67. ხარაიშვილი ე., გეჩბაია ბ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი", №2, 2010.
68. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ტერსპექტივები. თბილისი, 2010.
69. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. "საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა. დეკემბერი, 2005
70. Advani A. Industrial Clusters: A Support System for Small and Medium Sized Enterprises. Occasional Paper no 32, World Bank, 1997
71. Armstrong M., Taylor J. Regional Economic and Policy. Third Edition. Blackwell Publishers, Great Britain, 2000
72. Audretsch D., Feldman M. Innovative Clusters and Industry Life Cycle. Discussion Paper no 61, Centre for Economic Policy Research, 1995
73. Batra R. The Great American Deception. John Wiley & Sons, Inc., 1996
74. Bender Ch., Harms R., Rindermag G. Du Clusters matter? Empirical Evidence from Germany. Vniv. of Muenster, 1999
75. Brown R. Cluster Dynamics in Theory and Practice with Application to Scotland. Glasgow, 2000
76. Christensen G. The Past and Future of Competitive Advantage. Oslo, 2001
77. Engel J., Warshw M., Kinnear T. Promotional Strategy. Irwin Publishers, 1991
78. Feser E., Luger M. Cluster Analysis as a Mode of Inquiry: Its use in Science and Technology Policy-making in North Carolina. European Planning Studies. 2003
79. Gabszewicz J. Concurrence Imparfaite. Mass Market Paperback, 2003
80. Hart A Jeffey. Rival Capitalist: International Competitiveness in the United State, Japan and Western Europe. L. Cornell University Press, 1992
81. Lopez-Claros A., Altinger L., Blanke J., Drzeniek M., Mia I. The Global Competitiveness Indexes: Identifying the Key Elements of Sustainable Growth. The World Competitiveness Report 2006-2007

82. Motta M. Competition Policy: Theory and Practice. Cambridge, 2004
83. National Economic Policies, handbook of Comparative Economic Policies by Domenick Salvatore, Greenwood Press, 1991
84. Nertog P. Approaches to Cluster Analysis and Its Rationale as a Basis of Policy. Brighton, 1999
85. Noen A. An International Comparison on National Clusters. CPB Report, 2001
86. Paija L. the Finnish ICT Cluster in the Digital Economy. Helsinki, 2001
87. International Society Technologies: Partnership for the Future. European Commission, MS Consulting, Birmingham, 2002
88. Person T., Tabellini G. Political Economics: Explaininig Economic Policy. Cambridge Mass.: Mit Press, 2000
89. Pharald C.K., Ramaswamy V. The Future of Competition. Harvard Business School Press, 2004
90. Porter M. On Competition. A Harvard Business Review Book, 1999
91. Porter M. The Competitive Advantage of Nations. New York: Free Press, 1990
92. Sachs J.D., Warner A.M. The World Competitiveness Report. Davos, 2000
93. Salvatore D. National Economic Policies, handbook of Comparative Economic Policies, Greenwood Press, 1991
94. Spencer M. Contemporary Economics. Worth Publishers, 1990
95. Азоев Г.Л. Конкуренция: анализ, стратегия и практика. — М.: Центр экономики и маркетинга, 1996
96. Ведута Е. Стратегия и экономическая политика государство. Москва, 2004
97. Гаджиев К. С. Введение в геополитику., М., 1997
98. Гечбаия Б. Современное состояние и совершенствование методики мониторинга конкурентоспособности аграрного предприятия. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, №21, 2007.
99. Гечбаия Б. Девадзе А. Международная конкурентоспособность Грузии и ее определяющие факторы. III международная научно-практическая интернет-конференция «проблемы

формирования новой экономики xxi века» 23-24 декабря 2010 года - (http://www.confcontact.com
100. Гечбаия Б. Инновационные тенденции развития конкурентоспособности экономики Грузии в условиях глобализации. Материалы Международной научно-практической конференции, Иваново, 2011.
101. Глонти В. Переходный период: социально-экономические проблемы регионального развития. Издат. «Аджара», Батуми, 2003 г.
102. Глонти В. Социальная структура Грузии в условиях рыночных преобразований (региональный срез). Журнал «Социологические Исследования», №10, 2004 г.
103. Глонти В. К проблеме разграничения бюджетных полномочий в Грузии. Журнал «Финансы», 2003 г., N 8.
104. Глонти В. Проблемы становления бюджетного федерализма в Грузии. Журнал «Финансы и кредит», 2003 г., N11.
105. Глонти В. Межбюджетные отношения в Грузии: проблемы финансовых взаимоотношений центра и Аджарской автономной республики. Журнал «Финансы и кредит», 2003 г., N14.
106. Глонти В. К вопросу создания свободных экономических зон в Грузии. Журнал «Проблемы теории и практики управления», 2003 г., N5.
107. Глонти В. Управление формированием налоговых доходов региональных бюджетов в Грузии. Журнал «Финансы и кредит», 2004 г., N2.
108. Глонти В. Направления совершенствования деятельности региональных налоговых органов Грузии. Журнал «Финансы и кредит», 2004 г., N7.
109. Глонти В. Социальные проблемы мотивации и стимулирования деятельности хозяйствующего субъекта на муниципальном уровне. Журнал «Городское управление», 2003 г., N12.
110. Глонти В. Совершенствование муниципальной структуры контроля по формированию налоговых доходов бюджета. Журнал «Муниципальная экономика», 2004 г., N2, стр. 1-100.

111. Зевин Л. Проблемы регулирования глобальных экономических процессов. Мировая экономика и международные отношения, №7, 2002
112. Кулешова А Б. Конкуренция в вопросах и ответах. Учебное пособие, Изд-во Проспект, Москва, 2004
113. Маконнелл. К., Брю. С . Экономикс: принципы, проблемы и политика. Республика, Т. 1, 2. Москва, 1992
114. Николаев М.В. Кластерная концепция эффективной интеграции регионов в глобальную экономику. Проблемы современной экономики, №1(13), 2005
115. Ойкен В. Основные принципы экономической политики. Москва, 1995
116. Пилипенко И.В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория, опыт малых стран Западной и Северной Европы. Москва-Смоленск, 2005
117. Портер М. Конкуренция. Исправленное издание, Изд. "Вильямс", Москва, Санкт-Петербург, Киев, 2005
118. Портер М. Конкуренция. Изд. "Вильямс", Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002
119. Портер М. Международная конкуренция. Изд. Москва Межд. отношения. 1993
120. Сален П. Конкуренция. Пер. под. ред. Г.Е. Алпатова, Изд. "Нева", Москва, 2004
121. Самуэльсон П., Нордхаус В. Экономика. Москва, 1999
122. Фахтудинов Р. Конкурентоспособность: экономика, стратегия, управление. Москва, 2000
123. Философова Т.Г., Быков В.А. Конкуренция и конкурентоспособность. "Юнити", 2007
124. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика. Дело. Москва, 1993
125. Хайек Ф. Познание, конкуренция и свобода. Санкт-Петербург, 1999

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

დანართი №1 საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2005-2010 წლებში



დანართი №2 ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა თვეების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



დანართი № 3. ზრდა 2010 წელს წინა წლებთან შედარებით



დანართი № 4. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010 წლის ბრუნვის მიხედვით

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	**1 583 397,0**	**100,0**	**5 095 072,8**	**100,0**	**6 678 469,9**	**100,0**
მათ შორის:						
თურქეთი	216 049,4	13,6	888 644,6	17,4	1 104 694,0	16,5
აზერბაიჯანი	243 989,3	15,4	464 112,5	9,1	708 101,7	10,6
უკრაინა	103 334,4	6,5	558 900,6	11,0	662 235,0	9,9
გერმანია	31 762,0	2,0	330 018,5	6,5	361 780,5	5,4
ჩინეთი	24 250,5	1,5	334 318,6	6,6	358 569,1	5,4
აშშ	180 498,8	11,4	173 401,5	3,4	353 900,4	5,3
რუსეთი	34 298,3	2,2	279 672,9	5,5	313 971,2	4,7
სომხეთი	160 289,7	10,1	45 547,6	0,9	205 837,3	3,1
ბულგარეთი	62 105,9	3,9	131 723,1	2,6	193 829,0	2,9
არაბთა გაერთიანებული ემირატები	27 793,5	1,8	159 229,6	3,1	187 023,1	2,8
დანარჩენი პარტნიორი ქვეყნები – სულ	499 025,2	31,5	1 729 503,3	33,9	2 228 528,5	33,4

დანართი № 5. უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს ექსპორტში

	2009 წელი		2010 წელი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
ექსპორტი – სულ	**1 133 622,4**	**100,0**	**1 583 397,0**	**100,0**
მათ შორის:				
ფეროშენადნობები	130 081,3	11,5	263 937,8	16,7
მსუბუქი ავტომობილები	78 461,6	6,9	227 296,8	14,4
შავი ლითონების ჯართი	63 616,0	5,6	109 370,9	6,9
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული	116 189,3	10,2	85 788,3	5,4
აზოტოვანი სასუქები	60 213,6	5,3	72 113,4	4,6
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	61 868,0	5,5	70 675,6	4,5
თხილი და სხვა კაკალი	69 955,8	6,2	64 035,9	4,0
სპირტი ეთილის არადენატურირებული 80 მოც. % -ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით და სპირტიანი სასმელები	54 019,4	4,8	54 573,3	3,4
სპილენძის ჯართი	19 013,2	1,7	41 666,7	2,6
ყურძნის ნატურალური ღვინოები	31 997,0	2,8	39 269,0	2,5
დანარჩენი პროდუქცია – სულ	448 207,1	39,5	554 669,4	35,0

დანართი № 6. უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის ათეული 2010 წელს (%)



დანართი №7. უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში

	2009 წელი		2010 წელი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
იმპორტი – სულ	**4 366 105,7**	**100,0**	**5 095 072,8**	**100,0**
მათ შორის:				
წავთობი და ნავთობპროდუქტები	555 311,7	12,7	694 568,1	13,6
მსუბუქი ავტომობილები	254 701,9	5,8	309 599,7	6,1
სამკურნალო საშუალებები	175 162,0	4,0	188 384,5	3,7
ხორბალი	104 123,1	2,4	171 715,4	3,4
წავთობის აირები და აირისებრი				
წახშირწყალბადები	151 930,8	3,5	133 645,0	2,6
სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან				
სხვა უსადენო ქსელებისთვის	78 559,8	1,8	110 445,3	2,2
სიგარეტები	57 424,7	1,3	78 991,8	1,6
შაქარი	50 407,8	1,2	74 233,1	1,5
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	35 073,1	0,8	56 432,6	1,1
მაწგანუმის მადნები და კონცენტრატები	8 006,3	0,2	55 934,4	1,1
დანარჩენი პროდუქცია – სულ	2 895 404,4	66,3	3 221 122,9	63,2

დანართი № 8. უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ათეული 2010 წელს (%)



ევგენი ბარათაშვილი, ბადრი გეჩბაია
ვლადიმერ ღლონტი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები

გამომცემლობის რედაქტორი:
იზა ხარებავა

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ჟუკა პაიჭაძე

ტირაჟი 300

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ევგენი ბარათაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საინჟინრო აკადემიის და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. არის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული სადოქტორო საბჭოს წევრი.

2007 წლიდან დღემდე არჩეულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორად და დანიშნულია ბინზნეს- ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსად.

გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნიერო ნაშრომი. არის მრავალი ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორისაა მონოგრაფია და ორი დამხმარე სახელმძღვანელო თანაავტორობით.

არის რამდენიმე მაპროფილებელი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ვლადიმერ ღლონტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორისაა ორი მონოგრაფია.